

ISSN 0134 3459

საქართველოს
განათლებლის
კავშირები

ქრონიკა

1984 1

652 /
1984/2



ჭოჩოხი

ლიბერატორულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ-პოლიტიკური
ჟურნალი

საპარტეზლოს მფინალთა კავშირისა
და აჭარის განყოფილების
ორგანო

გამოცემის 26-ე წელი

1

1984

რა მშვენიერი ზღვა გვაქვს, აჭარა,
რა მომავალი, ძვირფასი შუბლი...
ქალაქი — ჩვენი ქვეყნის ფანჯარა
აღმოსავლეთით და დასავლეთით.

იანვარი

თებერვალი



გათუვი

აჭარის ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა

ნოქარში დაბეჭდილია:

პოეზია, პროზა

ჯემალ ქათამაძე	3 საახალწლო (ლექსი)
ნვსტორ მაღაზონია	5 პირველად ბათუმში (მოგონებათა წიგ- ნიდან)
ქსენია შაჰვია	13 ლექსები
გენრიეტა ქუთათელაძე	16 უმთავრესი თვისება (მოთხრობა)
ვახტანგ ასვლუდიაძე	20 ძახილი (პუბლიცისტური პოემა)
რევაზ ოსუფიშვილი	34 ჩემი დუმილი შენი განაჩენია (რომა- ნის ფრაგმენტები)
ნაირა ისევდიანი	45 ლექსები
ბადრი თევზაძე	48 ლექსები

სუთწლები: პრობლემები, კერძოკამეზები

ისევთ დიასამიძე	50 ნაპირს ამავრებს... შტორმი
იოსებ ბეჰირიშვილი	

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

შოთა შაჰარიაძე	55 პოეტი-ჯარისკაცი
კავლუ ჯორაგანაძე	58 რომანტიზმის გენეზისის საკითხი

ხელოვნება

ზაზა კებრიაშვილი	71 დიალოგი სახალხო არტისტთან
------------------	------------------------------

მეღუზა

შალვა კვასვავაძე	77 სემინარი
რევაზ სანაღირაძე	83 საფეხბურთო დიალოგები

საორბი

ანდორ ზაბაძე	84 ვაშა დინამოელებო!
გიორგი შერვაშიძე	91 გასულ ორ თვეში

გარეკანის 1-ლ გვერდზე — ბათუმის ნავსადგური. მხატვარი ა. ლო-
პაძე

ტექნიკური ხელმძღვანელი შ. ღარჩია.

ს ა ა ს ა ლ ფ ლ ო

დამილოცისხარ, ახლო წელო,
შენს მობრძანებას სალამი წრფელი.
მინდა ვადილო და ვადლეგრძელო
მშვიდობიანი სტუწრობა შენი.

კილით-კიდემდე დიდება ჟღერდეს,
უვიცი კაცის ნუ გინდა ძღვენი...
კვირტების ენით სიცოცხლეს წერდეს,
სიყვარულს წერდეს სურვილი შენი,

სადაც მიწვდები, იმერ-ამიერ,
მშრომელი კაცი ყველგან ადიდე.
შენს გზაზე ქუხდეს „მრავალჟამიერ“,
უსიყვარულოდ არსად წახვიდე,

შროშის ფერხულში იყავ გართული,
შუქად დაღვარე ენგურის ჩქერი.
სართულს დაადგი მხარზე სართული,
დალოცე შვილი, ფუძე და ჭერი!

იყავ მართალი, მაღალი, მხნე და
მხოლოდ სიცოცხლის აანთე ალი,
არ გააშავო არცერთი დედა,
არ დააქვრივო არცერთი ქალი.

უნათე მუდამ, ვინც მიახატა
ცას დიდი გზები, დიდი მიზნები,
ვინაც ლეგენდებს ფარდა ახადა
შროშით, გონებით, წვით და წიგნებით...

პურის თავთავეს ვინაც დაჰხარის,
ვაზს თავს ევლება და ეფერება,
ვისი თვალები, როგორც ლამპარი
ანთებულია ბედნიერებად,

17.708

ვინაც სითბოს და ღიმილს არიგებს,
ვინაც დაადო ომს მძიმე ხუნდი,
ვინაც მზის შუქით ანთებს თარიღებს
და დილას ხვდება მტრედების გუნდით.

ვინაც მართალი, პატიოსანი
შრომით და ნიჭით ღომაველს ჭედავს,
ვინც უნდა იყოს — გლეხი, მგოსანი,
მუშა, ექიმი, მამა თუ დედა,

ამ ლაღაზ ღოცვას სულში გადავწერ
და დროშაჲ გავშლი გუმბათებს ზემოთ.
მრავალ ახალ წელს,
მრავალ ახალ წელს,
ჩემო ხალხო და სამშობლო ჩემო!



ნესტორ მაღაზონია

პირველი ბეთუმში

თავიდანვე მიყვარდა მუსიკა, სიმღერა და ჩონგური. ოჯახი ღარიბი გვქონდა, ყველანი ვმუშაობდით, მგონი ზედმეტადაც, მაგრამ სიმღერის, ჭოლხენის დროსაც ვშოულობდით. მე ჩონგურზეც ვუკრავდი და ხალხურ სიმღერებში კრიმანჭულსაც მუდამ მე ვამბობდი. ბავშვებიც ასე შრომასა და სიმღერაში ვაზრდებოდით. რვა ძმას ერთი და გვყავდა და იმასაც (გასაკვირია!) ბანი ჰქონდა, დედაჩემი იხუმრებდა ზოლმე: ესპაც ზიჰად მყავდა ჩაფიქრებულად, მარა შეცდომით ქალი გამოვიდაო!

იშვიათი და-ძმობა გვქონდა: უფროსები უმცროსებს ვუვლიდით, ვეზირებოდით, ვასწავლიდით.

მახსოვს, საიდგომოდ აღექსანდრეს, რომელიც მოჯამაგირეობდა. მე-ზობელ სოფელში, ჯამაგირი აეღო და სამი უმცროსი ძმისათვის წულები ეყიდა, ყველაზე უმცროსისათვის ფული არ ეყო და უწულოდ დაგვრჩა. ძამას და დედას მოვთხოვეთ მისთვისაც ეყიდათ, უარი გვითხრეს: ფული აღარ გვაქვსო. მე ყველაზე ენაკვიმატი ვიყავი და განვაცხადე: თუ პოლიასაც წუღას არ უყიდით, ჩვენც არ ჩავიცვამთ-მეთქი. ამ განცხადებამ მოშობლები გააოცა და ჩააფიქრა, პოლიაქტორს კი უსიტყვოდ ცრემლები მოჰგვარა. მაგრამ დრო ცოტა რჩებოდა და რა უნდა ეღონათ!.. ბოლოს დედამ და ძამამ ერთმანეთს გადახედეს და, ეტყობოდათ, რაღაცაზე შეთანხმდნენ, ჩვენთვის კი არაფერი უთქვამთ... ან კი რა საჭირო იყო თქმა, როცა ბავშვის თვალზე მომდგარ ცრემლებს ხედავდნენ.

ფიქრიანი ღუმილის შემდეგ დედა სწრაფად მივიდა სამზადი სახლის გაჭვარტლულ კუთხეში, სადაც სახარჯო ყველიანი დერგი იდგა. სუფთა გობი ჩამოიღო ოზანდარიდან, ყველი ამოალაგა, გარეცხა და უსიტყვოდ ჩააწყო კალათში, მერე მე და პოლიას თავზე ხელი გადაგვისვა, „ჭკუით იყავით“, და დატვირთულმა ჭიშკარი გაიხურა.

ძამამ ერთადერთ ქალიშვილს ესმას უხმო და უთხრა:

— ხომ იცი, რომ ქვეყანა საიდგომოდ ემზადება? აბა, დაუტრიალდით ეზოს! დედა გაახარეთ!

მეტი თქმაც არ დაგვჭირვებია: შევესიეთ უკვე მომზადებულ ფარჩხის ცოცხებით. ყველაზე ზანტი იყო უფროსი ძმა ვასილი, მაგრამ ისიც ამოშავდა. პოლიას ცრემლი შეაშრა და ისიც ცოდვილობდა.

სალამოს ნამდვილი ზეიმი იყო.

პოლია სულ იძრობდა ფერად წულებს და ხელახლა იცვამდა. ბავშვებიც ზეიმობდნენ გამარჯვებას და მშობლებიც. ერთი სიტყვით, მთელი ოჯახი ზეიმობდა. მადა ჭამაში მოდისო, ნათქვამია. სწორედ ასე მოვიდა მამაჩემსაც. დამიმართოვა, მომეფერა და მითხრა:

— ამ ბაღნების საქმე კი გავაკეთეთ. ყოჩაღად იყო დედაშენიც: გვიან წავიდა და მაინც ლამაზი წულა მოიტანა.... ცოტა ძვირია, მარა ზომ ძალიან ლამაზია?

— კაია, მარა ჩემსას ვერ ჯობია, — ვუბასუხე მე.

— ახლა ერთი საქმე კიდევ უნდა გააკეთო... მარა დედაშენს არ უთხრა ჯერ. შენ უკვე დიდი ბიჭი ხარ... ჩაქვში ხომ ეახელი დედაშენს?

— კი, ვიყავით... მამა, გამიშვებ კიდევ წელს, არდადეგებზე?

— კი. ნამდვილად გაგიშვებ, ჩარა ერთი ბიჭობაც უნდა გააკეთო. ბათომი ხომ იცი საითაა?

— ნენამ თქვა, ამ ზღვას იქითააო. კიდევაც შემპირდა, ერთს ჩაგიყვან ბათომშიო.

— ადვილია... ჩაქვს ხომ იცნობ? და იმის შემდეგ არის ბათონი. თუ ივაჟაკებ, გაყობი იმავე მატარებელს და ჩაგიყვანს ბათომში.

— მერე მე რა უნდა გავაკეთო ბათომში?

— კოწიე „კრიმანჭულა“ გახსოვს? იმ ზაფხულზე ჩვენთან რომ იყო? მერე რა მოლხენა იცის! იგი ყოველთვის მეხვეწებოდა, ბათომში ჩამომიყვანე ბალანაო... ჰოდა, ცოტა საადღგომო ძღვენს გაგიკეთებთ, გზის ფარას მოგცემთ... მატარებელი ლანჩხუთში სად ჩერდება ხომ იცი? იქ ბილეთს იყიდო... იმავე კასაშია, სადაც ჩაქვის ბილეთი იყიდება... და ამ კონტა წულებით ჩაპაკუნდები ბათომში.

— კაი ბატონო, ჩავაკუნდები... მერე?

— ბათომში რომ ჩახვალ, მატარებლიდან ჩამოხვალ... ორი პალმაა... მერე არც მარჯვნივ წახვალ და არც ჩარცხნივ — პირდაპირ წინ წახვალ. მიხვალ ბაზართან, ბაზარში არ შეხვალ, ახლა ბაზრის გვერდით გაყობი მარჯვენა ხელისაკენ. მიხვალ ძალიან დიდ სახლთან, უპრავას ეძახიან. ახლა ჩარცხენა ხელისაკენ შემოუხვიე და ცოტას რომ გეიარ, იკითხე კოწია ლეჟავა, ყველა გასწავლის. მერე შენ და შენმა კოწიამ იცით.

ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ამ ამბავმა: ლანჩხუთში ვიყიდი ბილეთს, ჩაქვში გადავიხედავ ფანჯრიდან (ძირს არ ჩამოვალ) და როცა ბათომს ღივადგებით, მაშინ ჩამოვალ მატარებლიდან...

დალაშქრებულ ერთი საათი იქნებოდა და სულ ამაზე ვფიქრობდი, ვი-
მეორეები ჩემს მარშრუტს... და თურმე სულ გამოვიცვალე.

— ნენა, შენ სხვაფერ გამეფურები. დადინჯებული ზეგნები, ა-
— ჩამამ მითხრა, კოწიასთან გაგიშობო, მარა... — ტუჩებზე ვიკბინე,

აკი მამამ გამაფრთხილა, დედაშენს ჯერ არ უთხრაო!.. ღარა სანამდღო,
არაფერი უთქვამს, — თავი ვინუგეშე.

ვახშამი უგემურად ვჭამეთ. ყველას თავიანთი ფიქრები გვექონდა, მა-
გრამ დედამ არ გამცა და აღრე დამაწვინა...

ერთხანს არ დამეძინა, მაგრამ ბოლოს ძილმა თავისი გაიტანა.

მამას დედამ უსაყვედურა თურმე, მაგრამ ეს ბავშვებს არ გვაკრძო-
ბინა.

დილით დედამ მითხრა:

— ნენა, ვეფურე, რა წასაღები გავიმზადოთ! აბა, ცარიელი ხომ ვერ
ჩახვალ ქალაქში.

დედას ექვსი დიდი ყველი ამოერჩია და ოცი კვერცხი შეეღება... დი-
დი შავი დედალი დაიჭირა და ჭინჭით ფეხები შეუკრა, ფრთებიდან ბუზ-
ბული მოგლიჯა და კერიის უკან დადვა, — „ხელს არ გადაჰყვესო“. მამამ
ჭურიდან ამოიღო რამდენიმე ცალი ხეჭეჭური მსხალი და ვაშლი, გამოი-
ტანა ერთი კოთხო თხილი, სუფთა ნაჭერში გამოახვია ცოტა შინგაკე-
თებული ჩაი, ათი უღელი ჯანჯუხა და შაშხის ნაჭერი...

დედამ ყველაფერი ეს ჩაალაგა შინნაქსოვ კალათში, ნაძვისა და ბზის
ტოტები გადააფარა და პარმალში გაიტანა.

— ყველაფერი მზადაა... ხელდამშვენებული კი მიდიხარ, მარა შენ
იცო, ნენა, რაუა ჭკუით იქნები! — თქვა დედაჩემმა და მოზრდილი კალათი
წომიწიწა.

მამამ დამასწრო, კალათი მხარზე შეიდგა და წინ გამიძღვა. წავედით,
ლანჩუთისაკენ.

მიხაროდა, რომ მამა ჩაცილებდა, მეტი იმედი მომეცა, მაგრამ თანაც
მწყინდა, ამით ხომ ჩემს ვაჟკაცობას ფასი აკლდებოდა!

— აბა, თუ იცი სად იყიდება ბილეთი? — მკითხა მამამ, როცა ლანჩ-
ხუთის სადგურში მივედით.

— როგორ არ ვიცი, შარშანაც ხომ მე ვიყიდე, ჩაქვში რომ მივდიო-
დიო...

მატარებელიც მოვიდა, კონდუქტორი ფორმაში იყო განოწყობილი,
მამამ ყაბალახი მოიხადა და მიმეცა შესასვლელთან.

— ქართველი კაცი ხარ?

— ვერ მატყობ, შე კაცი? — უპასუხა კონდუქტორმა.

— გამიხარდა! — ხმამაღლა თქვა მამაჩემმა. — ახლა აი ბაღანაი პირ-
ველაო მიდის ბათოში, და, გინდაც შენი ბაღანა იყოს, ისე ჩამიყვანე...

— რისი გეშინია, ბიჭო?... მართლა გეშინია?

— რა მაქ საშიშარი! — და ზარიც გაისმა, — წავედით.

შევატყვე მამაჩემი კულანუყვებული მიყურებდა...

ვაგონში ხალვათობა იყო და მე ცალკე დავჯექი. ჩაქვთან რომ მივალ-წიე, გადავხედე ნაცნობ ადგილებს. შემდეგ მატარებლის მონოტონურ ჯაფჯაყში ჩამეძინა და მხოლოდ კონდუქტორის ხმამ გამომადვილა.

როგორც ჩამაჩემმა გამაფრთხილა, ჯერ კალათს მივხედე, კალათი რიგზე იყო. ორი შავ-შავი ბიჭი მოშორებით იჯდა: ხან მე შემომხედავდნენ, ხან კალათს და ხან კონდუქტორს... შეშინებულმა კონდუქტორს ეჭვით შევხედე... ხალხმა ჩასვლა დაიწყო.

— რას უყურებთ, ბოვშევებო, რატომ არ ჩადიხართ, თუ ტრაპიზონში მიდიხართ?! — წაით, ბაბა, სახლში, ამას იქით მატარებელი არ ჩიდის... შენ მე მომიცადე, არ მომშორდე! — ხმაწაღლა მითხრა კონდუქტორმა და ბიჭები აიძულა ჩასულიყვნენ.

ჩვენც გამოვედით ვაგზლიდან, ბიჭები კვლავ გვითვალთვალებდნენ.

— ბიჭო, სად უნდა მიხვიდე, იცი? — ჩკითხა კონდუქტორმა.

— ვიცი. ამ პირდაპირ გზას ბაზრამდე გავყვები, მაგრამ ბაზარში არ შევალ, მერე უპრავესკენ მოვუხვევ მარჯვენა ხელისკენ, მივალ დიდ სახლთან, ეს უპრავეა, იქ მარცხნივ მოვუხვევ და ცოტა ხანში ვიკითხავ კოწია ლეჟავას სახლს...

— კოწიასი რა ხარ, ბიჭო?

— მოყვარეა ჩვენი, მამიდაშვილია და ამ სააღდგომოდ მასთან ვიქნები.

— ოო, გზა ერთი გვქონია... ყოჩაღ ბიჭო! — და წამიძღვა წინ.

უპრავესთან მარცხნივ მოვუხვიეთ და პირველ მოსახვევში გავჩერდით.

— ეს იმერეთის ქუჩაა, ბიჭო. კოწიე ლეჟავა აგერაა, ამ ღუქანს იქით, ორსართულიანი პატარა სახლი რონაა, ქვედა სართულზე მისი საპარიკმახეროა, მაღლა კი ოჯახით ცხოვრობს... მაგრამ მე მივიყვან.

ჩვენ ვეცადეთ უხმაუროდ შესვლა, მაგრამ უჩაღ მთელი ეზო განათდა და გაისმა „პრიბორ“, იმავე ხმით „სიჩას“ და კაცი ლანდივით მიიჭრა კუთხეში.

ეს ლანდი კოწია ლეჟავა იყო. თურნე იგი მუშტრის მოლოდინში იყო და ცხელ წყალს დარაჯობდა — კლიენტის გასაპარსავად. ჩვენი ფეხის ხმა აწ გამოეპარა კოწიას და ნათქურას გული აუწია წყლის გასაცხელებლად.

— მობრძანდით, ნობრძანდით! — და ჩვენსკენ მობრუნებულმა დალაქმა გაკვირვებით შეწოვძახა:

— ბიჭო! ვის ვხედავ ამას! — შეიძახა კოწიამ და ჩამკოცნა, სახე-

ლოსნო დატოვა და ბინაში ამიყვანა. ბინა სავსე იყო სარეცხით. თურმე კოწიას მეუღლე ვარდო საავადმყოფოს მრეცხავი იყო.

ვარდოს ძალიან გაუხარდა ჩემი ზისვლა და ჩამომართვა ძღვენი. პირველად ქათამი ამიყვანა და გაიკვირვა, ქათამია თუ ინდაური ამხელაო!..

— იაგორ, შენთან მადლობელი ვარ, დანარჩენს, ჩამოვალ და მერე ვეტყვი! — უთხრა კოწიამ კონდუქტორს და ცოლს მოუბრუნდა:

— წააძრე თავი მაგ ქათამს!

— ახლა დიდი მარხვაა, კაცო, ქათამი სააღდგომოდ შევინახოთ.

— ქალო, მარხვა ღარიბებისაა!.. აბა, მდიდრებს ჰკითხე ერთი, როდის მიირთმევენ ქათმებს?

ვარდო იძულებული გახდა ქათამი დაეკლა, მოხარშა, გამოხვია ტილოში და წაუღო კოწიას „ქვევით“, სარდაფში.

თურმე ეს კონდუქტორი იმერელი იყო (გვარი არ მახსოვს). ღვინის სარდაფი იმერული ღვინოებით იყო გატენილი. კონდუქტორი ზისთვის მოხერხებულ დროს დადიოდა ამ სარდაფში და თან ღვინის მოყვარულებიც მოჰყავდა, რითაც ხეირს აძლევდა „ხაზინს“. კოწიაც ამ სარდაფის ხშირი სტუმარი იყო. ხეშს თავის ვარდოს ამხადებინებდა ღვინოზე დასაყოლებლად. ზეც იმას ჩაეყვით.

სარდაფს ემსახურებოდა ახალგაზრდა ყმაწვილი კაცი, რომელსაც ქართული წულა-მესტი ეცვა. ქერა სახე და პატარა ახალწამოსული უღვაშები ჰქონდა, ახალგაზრდა კაცის გარეგნობაც და წულა-მესტებიც მომეწონა, ჩემს წულასაც სჯობდა.

სარდაფში 3-4 სუფრა იდგა, რომელსაც ეს ყმაწვილი ემსახურებოდა. იმ საღამოს სიმღერაც ითქვა, იოხუნჯეს, მე უკვე ძილი მეკადებოდა.

— რა გქვია, ბიჭო, შენ?

— ნესტორაი, — მოკლედ ვუპასუხე.

— კლასში დადიხარ?

— მესამე განყოფილებაში ვარ, პაწაი რუსულიც კი ვიცი.

— წიგნი გიყვარს?

— ძალიან მიყვარს, უფრო ლექსები... ხანდახან ნენაიც ქი ვაძოთ-ქვამს ლექსებს და ჩონგურზე ამღერებს კიდო. გამოთქვამს და ხშირად მე გადამაწერიებს, კაი ხელი გაქო.

— ჰოო! აბა, შენ თუ ასეთი კაი ბიჭი ხარ და ლექსიც ძალიან გიყვარს, ამასთან მეღექსე, ჩეჩონგურე და მომღერალი დედაც გყავს, მეც ჩემი ლექსების წიგნს გაჩუქებ...

ამოიღო ჯიბიდან პატარა წიგნი და გაღრმცა, რომელსაც ყდაზე ეწერა „ევარლამ რუხაძე“, ხოლო ქვემოთ, შუა ადგილზე — უფრო ზსხვილი ასოებით (მგონი წითლად) — „თაიფული“.

მეც მადლობა ვუთხარი და გამოვართვი. მან შუბლზე მაკოცა.

თუ გინდა, ორ-სამ ლექსს წავგიკითხავ. — პასუხიც არ ჩაცალა, ისე გადაშალა და წამიკითხა სამი ლექსი:

ჩვენთვის ყურადღება მოუქცევიათ მესუფრეებს და ლექსის შემდეგ ტაში დაუკრეს.

— კიდე წაიკითხე შენს გაზრდას! — სთხოვა ერთმა ჰალსტუხიანმა ხანშიშესულმა თანაჩესუფრემ.

აღბათ, ამ თხოვნამ გაახარა გამოსვლას დანატრებული პოეტი და. სიამოვნებით წაიკითხა კიდეც სამი ლექსი: ყველაზე უფრო ერთი მომეწონა, რომელიც ისე კარგად წაიკითხა, ჯერ ასეთი არ მომესმინა. მთელი „აუდიტორია“ დიდხანს უკრავდა ტაშს.

— კიდეც არ გაქვთ მაგი წიგნი?! — იკითხა ერთმა, რომელიც ყასაბი აღმოჩნდა.

— არა, უკანასკნელი ცალია! — უპასუხა პოეტმა!

დაიშალნენ, ყველა თავის გზას ეწია.

მე ერთი სული მქონდა სანამ წიგნს წავიკითხავდი.

წოწონებული ლექსი ორ-სამჯერ წავიკითხე და მერე ჩამძინებოდა.

მეორე დღეს პირის დაბანამდე, ლოგინშივე დავიწყე კითხვა და მალე ზეპირად ვიცოდით:

დღეს აქ მოსულა, თანვე უწმინდურს
წმინდა სანთელი მოუტანია,
და პირჯვარს იწერს, ღმერთს ეხვეწება,
ვითომ და იგიც ქრისტიანია.

ამ სტროფს ისე ხშირად ვიმეორებდი, რომ ვარდოს თავიც მოვაბეზრე:

— ბიჭო, რა სული ამომხადე ამ ლექსით? აღარ მოგწყენდა მაინც?

— დეიდა ვარდო, პოეტის ნაჩუქარი კაი ლექსია...

როცა წაკითხვა მომინდებოდა, ერთ ციციქნა ეზოში გავიდოდი.

ჩემი სტუმრობაც გათავდა. წასვლისას „ქვეით“ ჩავედი. ვარლამს გამოვემშვიდობე და მადლობაც ვუთხარი.

ცარიელი კალათი და ჯამი არ წამომიღია. აბაზიანი ჩამიდევს ჯიბეში, ნაჩუქარი წიგნიც თან ჩქონდა, წიგნი მამათამდი არც მომიკითხავს, მაგრამ იმ ლექსის რეფრენს ხან უხმო და ხან დაბალი ხმით ვიმეორებდი.

დღეაჩემი სიხარულით კინაღამ შეიშალა და ორჯერ მაკოცა, ეს მაშინ, როცა ბავშვებს იშვიათად გვკოცნიდა. ბაღანას მოვლა უნდა და არა კოცნაო! მამასაც გაუხარდა. უწიგნური იყო, მაგრამ მაინც მითხრა, საღამოობით წამიკითხო.

სკოლაში ერთი აურზაური შეიქნა. მასწავლებელმა როსე სამსონიამ

თქვა, ვარლამ რუხაძე კი გამიგონია ხონში, მაგრამ არ მინახავს და ვერ ვიცნობდიო.

მე იშვიათად ვუჩვენებდი წიგნს ვინმეს — არ დამეკარგოს-მეთქი. ვუფრთხილდებოდი. და წიგნი მაინც დაიკარგა: მთხოვა ვინმემ და აღარ დამიბრუნა... იქნებ მოჩპარეს, არ ვიცი...

მაგრამ დაიკარგა.

მერე და მერე, როცა უკვე ჩემი წიგნები გამოჩნდა, სულ ვწუხდი, რომ ვერც ერთი საკუთარი წიგნი ვერ მივაწოდე ვარლამ რუხაძეს. იქნებ კიდეცაა გახსენებოდა ის პატარა ბიჭი, რომელიც შემთხვევით მნახა სარდაფში. მაშინ ხომ ვერც წარმოიდგენდა, პოეტი თუ გამოვიდოდა (და რა თქმა უნდა, არც მე)...

...და „ჭოროხი“ № 6, 1982 წლის გამოცემა, გამეხარდა და მადლობის გრძნობით ავივსე, როცა ვნახე პოეტ შოთა ზოიძის სტატია „უქეგლო მომღერლები“, სადაც მოხსენებულია ვარლამ რუხაძეც და სხვები, რომლებსაც თავის დროზე ჭირისუფალი არ აღმოაჩნდათ.

ჩავიხედოთ ისევ იმ დალაქის ბიოგრაფიაში. კოწიას ტერორისტობა დააბრალებს, დააპატიმრებს და სასამართლომ გადასახლება მიუსაჯა შორეულ ჩრდილოეთში — ვოლოგდის გუბერნიაში.

ძველ გადასახლებულებს ქალაქში საპარიკმაზერო გაეხსნათ, როგორც ჩანს, ღათ მოეწონათ და შეიბრალებს კიდეც ეს ცქვიტი, სიცოცხლით სავსე, ენამახვილი, მზიარული კაცი და მიიღეს დამხმარე ზეშად, — ხელსაწყოს ღიმწოდებლად. მისი მოვალეობა იყო წყალი მუდამ ცხელი ჰქონოდა და ოსტატისათვის მიეწოდებინა მოთხოვნისთანავე.

როგორც ზემოთ ვთქვით, კონსტანტინე ლეჟავა სასამართლოში მისცეს ტერორისტისათვის. ვერ მტკიცდებოდა ეს ბრალდება და ბრალდებული ხერვიულობდა, ბოლოს გულმოსულმა მიახალა მოსამართლეს: მე ტერორისტი არასდროს არ ვყოფილვარ, მართალია, ნადირობა მიყვარდა და „ბერდანკის“ თოფით ვნადირობდი... მოსაკლავი და დასასჯელი თქვენ ხართ, რომ ამ მართალ კაცს მაწვალებთ, მაგრამ ნიკოლოზ, მეორეს რაფერც მოუხდება, ისეთი ბრალდება და სასჯელი მომაკეროთ უნდა! — ჰეი გიდი, მოსაკლავის მეტი რაა ჩვენს ქვეყანაში, მარა ვნანობ, რომ ერთიც ვერ მოვკალი. ჩემი დროც იქნება, ენახოთ მაშინ, ვინ გაიძარჯვებსო. კაცის ცოდვა კი, იცოდეთ, არა მაქვს!..

გადასახლებაში დაახლოებით ერთი წელიწადი იყო და წაყენებული „ბრალდების“ დაუმტკიცებლობის გამო გაანთავისუფლეს.

თვითონ კოწია თავის გამართლებას — ამ საქმის წოსპობას უმადლიდა ოზურგეთელ ცნობილ ადვოკატს გოგიტიძეს, რომელმაც მეგობრების დავალებით გაასაჩივრა ეს საქმე და განთავისუფლებაც მოახერხა.

ჩამოვიდა კოწია ლეჟავა ისევ ბათუმში. ნიჭიერმა ახალგაზრდამ,

რომელმაც არც წერა-კითხვა იცოდა და ვერც რუსული ენა ისწავლა, გარდა იმ ორი სიტყვისა, რომელსაც რიხით წარმოსთქვამდა, დაღაქობა დაიჩემა და გახსნა პატარა სახელოსნო (ამჟამად იმ ადგილას სასწრაფო დახმარების სადგურია). შემდეგ კლიენტებზე გაიწაფა ხელი და ხელოსნობა შეისწავლა, ოჯახი შექმნა.

შემდეგში მუშაობდა არტელში.

ნაღირობას არ დასთხოვია. ჰქონდა თოფი და ჰყავდა გაწვრთნილი მონადირე ძაღლი, რომელსაც კრიმანჭული ასწავლა, „გუუყივლე, ბიჭო, ერთი“, — ეტყოდა კოწია ძაღლს, რომელიც ჩაიყუნწებოდა, თავს ასწევდა, და გამოსცემდა ხმას, როგორც კრიმანჭულს.

გარდაიცვალა ამ ათიოდე წლის წინათ...

რედაქციისგან:

„გარდაიცვალა ამ ათიოდე წლის წინათ“... — ასე მთავრდება „მოგონებათა წიგნის“ ის თავი, რომელიც ნესტორ მაღაზონიამ სპეციალურად „ჭოროხის“ საახალწლო ნომრისთვის შემოგვთავაზა, მაგრამ რომლის დაბეჭდვასაც, სამწუხაროდ, ვეღარ მოესწრო...

ვეღარ მოესწრო, რადგან მისივე სიტყვები რომ ვისმართ, „გარდაიცვალა ამ ორიოდე დღის წინათ“, სწორედ მაშინ, როდესაც ჩვენი ჟურნალის უკანასკნელი გვერდები იბეჭდებოდა.

წავიდა ჩვენგან ნესტორ მაღაზონია — ცნობილი ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე, ამოღარი ადამიანი, კაცური კაცი...

„მოგონებათა წიგნიდან“ ჰქვია მის უკანასკნელ ნაწარმოებს, და ჩვენც, მაღლიერ მკითხველებს, ნათელ მოგონებად დაგვრჩება ნესტორ მაღაზონიას შემოქმედება, მამულიშვილობა, და, რაც მთავარია, პოეტის ჭაღარასავით სპეტაკი ცხოვრება.



შეუცნობელო სულის დინებაჲ —
ჩემო მეუფეჲ და განმგებელო,
გათქვირულ ვარდებს ნუ ეწყინებათ,
ნამღევა იებს უნდა ვეფერო.
თეთრი აფრები უნდა გაეშალო,
რომ ქარიშხალმა ვეღარ დაღეწოს,
ყველა ბილიკი,
ყველა გზაშარა
ჩიტებს დაეთმოს საასპარეზოდ.



საოცარია ბუნება კაცის —
დაძებებს,
ბორგავს,
შფოთავს,
წწერაღია...
და გზა მთავარი როცა გალია,
სიცოცხლეს მაშინ ედება ფასი.
როცა ლაზათი აკლდება მაისს
და შემოდგომას — მსუყე ფერები...
სიცოცხლის აზრი ღელვაა მაინც,
ციოთ მოვლენილი მშვენიერებით.



შეწყდა ნიავის ქვებზე თამაში
და მიმოზამაც თვალი მილულა,
ჩემ ჩაიჭვრიტა ზღვის ფანჯარაში
და გადაეშვა შიგ მოხიბლულმა.

თოლიები კი ანძაზე სხედან.
ტალღებმა გული გადაუშალეს...
მზე თავს იხრჩობსო, —
იცინის დედა,
ბავშვი შეკრთება:
„რა დაუშავეს?!“



ლამის დაიწვა სულიც, სხეულიც,
ლექსო, შენ შევრჩეს ძარღვი მფეთქავი!
უჩინარი და ფერმილეული
რას დაფათურობ გულში ნეტავი?
აამზეურე ფერების გამა,
გზებზე შემოხვდი მოხუცს და მოყმეს,
შენს მოლოდინში გატეხილ ღამეს
შენი ლანაზი სიცოცხლეც მოჰყვეს!



რად უნდა ვიყო უკმაყოფილო?
ბევრი მალბინე,
ბევრი მაკვნესე...
როცა მოგინდეს, წუთისოფელო,
მითხარ, მიბრძანე და გამაძწესე.
რა მაქვს სადაო, ჩემო ბატონო,
შენივ შექმნილი
შენგნით დავიწვი...
ოღონდაც ვალი არ გამაყოლო —
არც ზეცისა და არც დედამიწის.



საკვალალოა და უნუგეშო
ეს განშორება საბედისწერო.

ახლა — ატომის საუკუნეში
ზოკითხვის ბარათს აღარა სწერენ.
მე კი ყოველდღე გიგზავნი წერილს,
ცრემლით განბანილს და ვედრებიანს,
მოაქვთ ენძელებს
ფარული კდემით
და შენს საფლავზე ჩუმად კვდებიან.



საბრალო ჩიტი!
ბუდეს მოსცილდა
და ხელში შერჩა ქარებს ვნებიანს;
თურმე სიზმარში ვარდებს კოცნიდა,
ცხადში ჩათ ტუჩებს არც შეხვებია.
არ შეხვედრია სხივი ციციმა,
ცა თავს დაატყდა ჭექა-ქუხილად;
ისე გათოშა ზამთრის სიცივემ,
ჯერ გაზაფხული არც კი უხილავს.



სათნოებისგან უარყოფილი,
სიკეთისაგან განზე გამდგარი,
მინახავს უნდო, ცრუ და ორბირი,
მინახავს ფლიდი, მაგრამ ამგვარი?!
შეხედავს —
ტანში გაცრის იელებს,
გაიყინება ვაზი ჭიგოზე...
ღმერთო, რა ზოგცე სამაგიერო,
რომ მოთმინების ნიჭი მიბოძე!



უმთავრესი თვისება

ფიზიკის მასწავლებელი ლადიკო თავაძიაშვილი იშვიათად ბრანდე-
ბოდა, მაგრამ ზომ გაგიგონიათ, ცხვარი, ცხვარია და თუ გაცხარდა, ცხა-
რეაო. ხანდახან ლადიკო მასწავლებელიც გამოდიოდა მოთმინებიდან,
ცოლის სიტყვები რომ მოვიშველიოთ, ნერვები ეშლებოდა. არ იქნა და
არა, იმხელა გოგო-ბიჭები კვანტურ თეორიაში ვერ გაარკვია.

გულმოსულმა ცარცი დაფაზე დააკაუნა და კუსტად მოჭრუტა თვა-
ლები.

— გთხოვთ თქვენს ყურადღებას, ახალგაზრდებო. მაშასადამე, სივრ-
ცისა და დროის ცვალებადობას გრავიტაციული ველი იწვევს. მას მო-
ჭვება სივრცის გაზრდება და სხვადასხვა ადგილზე დროის სხვადასხვა-
ნაირად დინება, ამ დროს სამკუთხედის შიდა კუთხეების ჯამი აღარ
უდრის 180 გრადუსს და ორ წერტილს შორის აღარც სწორი ხაზია
ჯროკლესი მანძილი. ახლა უკვე შეგვიძლია წარმოვიდგინოთ სინათლის
სიჩქარის სამი თვისება, სამა ბარიერი, რომელთა გადალახვა არაფრით
არ შეიძლება. სწორედ სინათლის სიჩქარეს ამ სამმა საოცარმა თვისე-
ბამ...

— დათეშიძე, თუ არ გინდა აქ, წადი ჰაერზე, გაიხეივნე, შე კაცო,
რას იტყვას თავს, ნიუტონი და აინშტაინი კი არა, ზრდილობა ვერ გას-
წავლეს მე შენ...

— მასწ, მწყურია, ღავლევ და მოვალ.

— წადი, წადი.

ლადიკომ თავი გადააქნია ჩუმად, ამოიოხრა და დაფას მიუახლო-
ვდა, ცარცი აიღო და წერას შეუდგა, დაფაზე პლანკის ფორმულა გამო-
სახა, ფორმულას მკვეთრი ხაზი გაუსვა და ალაპარაკდა.

— ეს ფორმულა გვიჩვენებს, თუ როგორ განსხვავდებიან ერთმანე-
თისაგან სხივური ენერგიის სხვადასხვა კვანტები ელექტრომაგნიტური
ველის რხევის სიხშირით, ანუ ელექტრომაგნიტური ტალღების სიფ-
რძით.

— მასწ, კარზე აკაკუნებენ.

— გაუღე, ცეცხლაძე, გაუღე!

ოთახში აელიტა პიონერებმძღვანელი შემოვიდა.

— ხეალ დილისათვის ჯართი და მაკულატურა თუ ღოგიტანიათ ზომ

კარგი, თვარა თქვენს ლანდს სკოლაში არ გავაჩერებ! — გულმოსულმა უთხრა ბავშვებს და მერე ლადიკო გაიხმო გვერდზე:

— ბატონო ლადო, ქვევით ერთი ქალია, გელოდებათ.

— მე?

— კი, ბატონო, ლადიკო მინდა, თავამაიშვილიო.

— მშობელია, ალბათ.

— ვკითხე, ვინ ბრძანდებით-მეთქი, და მშობელი არა ვარ, ისე მინდა ნახვა, ამხანაგი ვარ მისიო.

— ვინ უნდა ყოფილიყო? — ლადიკომ მხრები აიჩეჩა, კლასს მიუბრუნდა, დავალებები ჩაანიშნინა და მშვიდად, აუდელებლად, ისე, როგორც მას სჩვეოდა, დაუბარა მოსწავლეებს:

— აქედან ფეხი არ გაადგათ, სანამ ზარი არ დაირეკება, დადებოხართ ახლა თქვენ, ჩოწიფული ხალხი, გამიგეთ?

— გაგიგეთ, მასწ, ჩუმად ვიქნებით.

ლადიკო დერეფანს გაუყვა, დერეფანი გრძელი იყო.

ვინ უნდა იყოს მაინც? — უკვირდა ლადიკოს, — თუ მშობელი არაა, აბა, ვინაა?

45-ს გადააბიჯა და კარგა ხანია, საინტერესოდ აღარ ეჩვენებოდათ ქალებს ლადიკო. თუმცა ქალებზე გამოდევნებული კაცი ახალგაზრდობაშიც არ ყოფილა; არა, მოსაგონრად მასაც კი ჰქონდა ერთი-ორი რომანტიკული შემთხვევა, მაგრამ მას გულის სიღრმეში ისე ინახავდა, საკუთარ თავსაც არ უმხეღდა. მისი ძმაცაცები კი... ჰყვებოდნენ და ჰყვებოდნენ გაუთავებლად სამიჯნურო ეპიზოდებს. ერთხანს სჯეროდა ლადიკოს, მერე ეჭვი შეეპარა, მიხვდა, ამ ლაპარაკით გულის ჯავრს იქარვებდნენ ბიჭები, თავიანთ უნიათობასა და უგერგილობას ფარავდნენ. შენ რა იცი, ძმაო, ქალების ამბავი, აგერ ჩვენ გვეკითხო, — ჩჭახედ ეტყოდნენ ლადიკოს, როცა ეშხში შევიდოდნენ. იყო ერთი გაუთავებელი კამათი, რომელ ასაკში იყო ქალი ყველაზე მომხიბლავი. 30-დან 40-მდეო, — ერთნი ამტკიცებდნენ: 18-დან 22-მდეო. — მეორენი არ უთმობდნენ. შენ რას იტყვი, ლადო, ეტყოდნენ ხანდახან. რას ვიტყვი და... ქალი, მე თუ მკითხავთ, ყველა ასაკში ღამაზია, ქალია და იმიტომოო. ატყებდნენ სიცოცხლეს ბიჭები, კი, რაღა არა, ისე აგაშენდა თავიო; ჯობია, ისევ ფიზიკას მიხედო, ფოტონების ორმაგი ბუნება არკვიო, — ქირქილებდნენ. ისინი მეტწილად ფილოლოგები იყვნენ, ზედაპირულად მსჯელობდნენ ფიზიკაზე, სასკოლო სახელმძღვანელოდან მცირედი ცოდნა შემორჩენოდათ და უკვირდა ლადიკოს, მაქს ბორნიკს თეორიებს რომ ეპოტინებოდნენ. ვერა-ფრით ვერ გააგებინა ბიჭებს, ბუნებაში თუ ყველაფერი კანონზომიერი იყო, ამავე დროს ბუნება რატომ არ იყო ზუსტი, როგორ ერწყმოდა ეს

დებულებები ერთნაირად. რას გაიგებთო, ბრაზობდა ლადიკო, მუდამ ქალბუთს ფიქრობთ და თავში რა შეგევითო.

ვინ ელოდებოდა მაინც დაბლა? ვინ უნდა ყოფილიყო?

არა, ლადიკო უკვე იმ იდეალურ სიყვარულზე, სიყრმის ასაკში რომ ოცნებობს ადამიანი, აღარ ფიქრობდა; საცოლე ბიჭები ჰყავდა და ლადიკოს ათასი პარობლემა ჰქონდა მოსაგვარებელი. ოღონდ ეს კი იყო... თავს აბეზრებდა ცოლის ბუზლუნი. მატისა შინ მუდამ თავწაქრული, შეწუხებული, გაბრაზებული იყო, გარეთ კი... სახეს ისე საოცრად იცვლიდა, ისე გადასხვაფერდებოდა, ყველა შენატროდა ლადიკოს, რა ბედნიერი კაცი ხარ, როგორ წამოგვევა ასეთი მშვენიერი ქალიო. ერთი ლადიკოსათვის ეკითხათ, თუმა რომც ეკითხათ, მაინც არ გაამხელდა ლადიკო, რას იზამ, ბედი ჰქონია ასეთი!

ფიქრისათვის დროს რომ მოიხელთებდა ლადიკო, მზეონა ელანდებოდა, ჰაეროვანი, პოეტური ქალი. იმდენად ლამაზი იყო იგი, ისეთი ჭკვიანი, ეშინოდა ლადიკოს, ასეთ ქალს როგორ შეიძლება ჩოვეწონო? აქ რაღაც სხვა ამბავია. ქალი ფილოლოგი იყო და როგორც უმეტეს ფილოლოგებს, დასაც უყვარდა სინათლის სიჩქარის სამ თვისებაზე საუბარი. ეს სიცილს ჰკვრიდა ლადიკოს, მაგრამ მაინც ცდილობდა აეხსნა ქალისათვის ყველაფერი, ბოლოს ნივთიერების მეოთხე, აგრეგატულ მდგომარეობაზეც რომ გააბა საუბარი, დაშინ კი გაბრაზებით უთხრა ქალმა, არ ვცოდნია შენ, ჩემო ლადიკო, სინათლის უმთავრესი თვისებაო. დაიბნა ლადიკო, რას ჰქვია, არ ვიცი, რომ მომენდომებინა, ჩაგ საკითხზე დისერტაციასაც კი დავიცავდიო. არა, არ გესმისო, ჯუღუტობდა ქალი. კაი აბა, მითხარი ერთი, რა არის ეს უმთავრესი თვისებაო, სთხოვა. მე ასე მგონია, რომ სიყვარულიაო, უთხრა ქალმა და სანამ მავას არ გაიგებ შენ, ვერაფერს ვერ გაარკვევ ამ ქვეყანაზეო. აღარ უნახავს ამის მერე ლადიკოს ზეონა, ოღონდ ეს კი, იყო, ხანდახან სევდა რომ მოეძალებოდა, ახსენდებოდა მზეონას სიტყვები და გრძნობდა, როგორ ივსებოდა რაღაც უზილავი სინათლით.

დერეფნის კუთხეში ქალი იდგა. იცნო ლადიკომ, კოლეგა იყო, ყოფილი თანაკურსელი, თინიკო უგრეხელიძე. გაუკვირდა, არ ელოდა, ნეტავ რა უნდაო, გაიფიქრა.

— გამარჯობა, ლადიკო, რა ხანია არ მინახიხარ. ასე უნდა, ბიჭო, ერთი არ გამოიარე, არ გრცხვენია?

— რა ვქნა, თინა, ხომ იცი, საქმე...

— უჰ, კარგი ერთი, უსაქმო ვინაა ახლა!

— რა იყო, რაშია საქმე?

— სათხოვარი ჯექს.

— სათხოვარი?

— ჰო, ვიცი, შენი გულის ამბავი, არ გამაწბილებს, ყველასთან ითქმება ეს.

— რა იყო, გოგო, აღარ იტყვი?

— ხომ გახსოვს ლალი?

— ლალი? კი, როგორ არა... დაემართა რამე?

— სიყვარული.

— რა თქვი?

— ჰო, რა გაგიკვირდა, შენთან იმიტომ მოვედი, სხვა კაცი ხარ და გაიგებ-მეთქი.

— ვერაფერი გავიგე, რა სიყვარული, რის სიყვარული, თხოვდება?

— რა ვიცი, გათხოვდება, ალბათ, ჩაგრამ ჯერ მაქამდე არაა საქმე.

— აბა?

— მოვედი, ლადიკო, არ გაგეცინოს ახლა, საიდუმლოს გაგიმხელ, ვიცი, არავისთან იტყვი; ჩვენს ლალის ერთი კაცი შეუყვარდა, არ თქვა, ახლა რა დროს ლალის სიყვარულიაო, შეუყვარდა და...

— კაი ახლა, არ იტირო, თუ ქალი ხარ, მერე?

— ჰოდა, ის კაცი არაა ისე ცუდი კაცი, მაგრამ...

— იტყვი თუ არა?

— ერთი სიტყვით, ის კაცი ახლა აქეთ არაა, ერთხანს აი იქნება. ლალიმ არც კი იცის ეს, არც მინდა ვუთხრა, გული მოუკვდება, როგორც კი სამსახურიდან გათავისუფლდება, არის შინ და ელოდება ტელეფონის ზარს. ჰოდა, რომ არ დაურეკავს, ვიცი ინერვიულებს, საქმეზეც გულს აიგდებს. არ მინდა დაბადების დღე ჩაუშხამდეს... ჰოდა, შენ რომ დაურეკავდე და ეტყოდე, მარტო ერთ სიტყვას, „მომილოცავს-თქვა“, და დადე მერე ტელეფონი. ლალის ის ეგონება და მეტს კი არაფერს ითხოვს. ჰოდა, მერე იქნებ ის კაციც გამოჩნდეს, ვინ იცის. ძალიან გთხოვ, ან ნომერზე დაურეკო ლალის ზვალ და მხოლოდ ერთი სიტყვა უთხრა. კარგი? ხომ მაჩირღები? აბა მაღლობელი ვარ... არც მეეჭვებოდა. აბა, დროებით.

თინიკო სწრაფად დაემშვიდობა ლადიკოს და კარებს ჩააშურა.

იღვა ერთ ხანს ლადიკო ჩაფიქრებული, დასევდიანებული; კვლავ მზეონა მოაგონდა. ჩასთან საუბარი დაუდგა თვალიწინ, ახლა უფრო ნათლად იგრძნო ბუნების ის უმთავრესი თვისება, რომელიც ყველაფერს გადალახავდა...



ძ ა ხ ი ლ ი

პუბლიცისტური პოემა

I.

ნიუწყებოდი სოფლის შარას გვიანი მგზავრი,
ვერცხლის ჩქერებად იღვრებოდა პირბადრი მთვარე
და ჩემი სულიც, თითქო სავსე იღუმალ ჩქამით,
ნაღველნარევი სიხარულით მიიმღეროდა

„ვარსკვლავიანსა ღამეს...“

ამოივრავნენ ჰორიზონტიდან უცებ, ერთბაშად,
და ბანჯგვლიანი, ჩოსავსავე მკლავების ტოტვით,
შემოეჯარნენ, შემოეკერნენ მთვარეს ქათქათას
პირდაღებული უჩრხულები — ღრუბლების ფრონტი.

ლევა ნისლმა შთანთქა უცებ ღამის მნათობი
და ჩემს ირგვლივ ჩამოეშვა მრუწე სიბნელე,
ვარსკვლავებით მოჭიქული ზეცის ტატნობი
დაეფარა გამჭვარტლულ და გაჩაჩხულ ხელებს...

აცა-ბაცად მივდიოდი სოფლის შარაზე,
ღამე ჰგავდა ჩემს წინ თაღხად დაშვებულ ფარდას,
შუქის ყველა ხვრელი თითქო ერთად ჩარაზეს —
დედამიწა ეშწაკეულ სამყაროს ჰგავდა...

უცაბედად წამოეკარი რაღაცას ფეხი
(ან, ვინ იცის, მომეჭიდა უჩინო ჭინკა)

იხე მწვავედ, ი-სე მწვავედ დავეცი პირქვე,
რომ ვიხსენებ, უცნაური ტკივილი მიტანს...

იმ გზას იქვე ჩოწანწკარე რუ ჰკვეთდა თურმე,
იდგა ჭანჭყოც, ჩვეულებრივ, როგორც ეს არი,
სახე მსუყედ გამითხვარა ტლაპომ და წუშპემ,
ხოლო შუბლი ამოშვერილ ქვაზე დაეპკარი...

ზოზინ-კლაკნით წამოვდექი დამარცხებული,
სქელი სითხე წვეთავდა და ჩითხერიდა პიჯაკს,
თვალწინ ავად წრიალებდა წინწყლთა კრებული,
კობი, კობი დაემსგავსა მჭლე კაცის იდაყვს...

მწარე ღიმით ქვა მოვსინჯე იქავე, რუსთან,
და ჩემოვჯექ, უნებურად ფიქრში წასული...
ჩუმაღ-ჩუმაღ ჩურჩულებდა წყარო და, უცებ
გამახსენდა გასული წლის ცხელი ზაფხული:
ბასრი ცულით ხე რომ მოვჭერ, ამაყად მდგარი
და მის ჩრდილში მოქლურტულე დავაშრე წყალი...
ვიჯექ ასე,
შეპყრობილი უცნაურ გრძნობით,
სულში,
სულში ბრმა სიბნელის
მტკიოდა კოპი...

2

იქ, სიშორეში, სად ბავშვობის ცისფერი და იისფე-
რი ქანაობს ნისლი, პატარა ქოხი, ღახურული ყავრით
თუ ისლით, ჭრიალებს ქარში... და უსაშველოდ გამხდა-
რი და ღიდთვალა ბიჭი — ხუჭუჭი თმები, ტალიკები და
ორი კიჭი — ღედის რმისა და ფაფის ნაცვლად მიირთმევს
ყვავილს. და ჩან არ იცის, რომ შორს — შორს-შოლორს,
ნისლში აღწართულ მთების კალთებზე ზარბაზნებიდან
გამონანთხევი, გორავს სიკვდილი, სადღაც შორეთში,
იწვის ტრამალი, ხოლო გაზის კამერებში იკრუნჩხები-
ან მისი ტოლები...

აქ კი ეს ბიჭი-ხუჭუჭი თმები, ტალიკები და ორი კი-
ჭი — მიირთმევს ყვავილს უსაშველოდ გამხდარი ყბებით,
რათა შემდგომ, აუტანელი ტკივილისაგან გაოცებული,
მოკუნტული, დაოსებული დაგორდეს იქვე, როგორც
შორს-შოლორს, გაზის კამერებში მისი ტოლები

3

ეს მე ვარ! —
შენი სიბრძნით წოსული —
შენი სინდისი, — ძე და ასული,
შენი გმირი ვარ ტყვე მსაჯული —
შენი ვარძია, შენი ხახული,
ვარ შენი კანტი, შენი ჰეგელი,
ჟანა დარკი და ავგუსტ ბებელი,
შენი ბახი და შენი რაველი,

ბერნჰი, გოეთე და რუსთაველი,
შენი სიკეთის ნათელი სვეტი —
გაბილონი და ტაო-კლარჯეთი,
შენი ზღაპარი, ლეგენდა, მითი —
თუთმოს მესამე და ნეფერტიტი.
ვარ შენი ლექსი, შენი სონეტი,
შენი ჯარჯი და შენი ოდეტა,
ძიება, პოვნა, პოვნა, ძიება,
ღვარძლი, შური და გულგაციება...
ვარ შენი მრთელის დანაყოფია —
აწაოების ფილოსოფია,
შენი სისუსტე და შენი დაღლა,
შენი ბერმუდი და მეცხრე ტალღა,
ჭექა-ქუხილი და შავი წვიმა,
შენი კივილი და...

ხ ი რ ო ს ი მ ა ! ! !

4

სამყარო, დიდი სამყარო, გაოცებული თვალებით, გა-
ოგნებული გონებით, ათრთოლებული სულით, ატკივე-
ბული სხეულით, შეჰყურებდა სურათს საოცარს:

შოროით-შორიდან — ცისკიდურიდან, ჰორიზონტიდან
თუ უშველებელი მზის გორგალიდან (მერე იტყვიან, ნე-
ბითო ღმერთის) გამოიყო ციციქნა-ციციქნა

წერტილი

ერთი.

ასკინკილებით ხტოდა წერტილი, ეზოტოდა და
თანდათანობით იკვეთებოდა ქვეყნიერების მეფის და
შვილის

გაფარჩხული,

სუსტი სხეული...

მ ზ ე მ შ ვ ა ა დ ა ნ ი ა ნ ი ! ! !

და ბედნიერი იგი სხეული, ჯერ ასე მარტო,
ერთი,

ეული,

მოისწრაფოდა ცხოვრებისაკენ

ღია თვალებით,

ღია გულით,

ღია გრძნობებით,

ღია სიცლით,
სამყაროს ფერის, შუქის ხილვით

გადარეული!..

და თითქოს წთელმა სამყარომ დიდმა, იდუმალებით
აღსავსემ, მშვიდმა, იმ საოცარ დღეს

ამოთქვა თრთოლვით:

„წა მ ო, შ ე ჩ ე რ დ ი, მ შ ე ე ნ ი ე რ ი ხ ა რ შ ე ნ !!!“

დედამიწამ ფიანდაზად გაშალა ჩკერდი, ზეცამ ლაჟვარ-
დის სიწმინდის და ფერადოვნების გახვია შუქში...

არ იყო ლისტი,

არ იყო ვერდი,

არც პობ-რიტმები,

შეიკი,

ტვისტი,

მაგრამ მუსიკა, დიიდი მუსიკა, იღვრებოდა და

გვრგვინავდა,

ჟღერდა, და სულიც მისი ან ფერებით, ამ ბგერებით

აღსავსე,

მღერდა:

„მზე დედაა ჩემი!

მთვარე მამაა ჩემი!

ვარსკვლავები... ვარსკვლავები დები და ძეგბია ჩემი!“

ზღვამ ძლიერების,

ქარმა შეუბოვრობის,

მთებმა სიამაყის და შეუდრეკლობის,

მიწამ სიკეთის,

ტყემ იდუმალების,

წვიმამ გრძნობიერებას,

მზემ...

მზემ გონიერების, ცხოველმყოფლობის, სულგრძელობის

და მზეგრძელობის

უ მ დ ე რ ე ს ჰ ი მ ნ ი ...

სამყარო ექოდ გამოსცემდა კაცის გულისთქმას, წყვეტილ
აზრებს, ნაბიჯებს, სუნთქვას, უტყვინო ხითხითს, კისკასს,
ყივილს, ცხოველურ ინსტინქტს, გულის და-გა-ღუგს:

„სამყარო ჩემი. — კაცობა ჩემი —

დიდია შენით,

ვრცელია შენით,

ნიჭია შენით,
იჭვია... შენით,
ღა კიდევ რაღაც... რაღაც... რაღაც...
გამოუთქმელი ენით...
ვარ შენი მიწის და შენი ფერის,
ვარ შენი ჩრდილის და შენი მტვერის,
შენი იწედის, შენი ოცნების
გატრუების თუ გასხივოსნების
უკუნისამდე,
უკუნისამდე,
უკუნისამდე,
მლაღლებელი
ა და მ ი ა ნ ი!!!
და მიდიოდა სამყაროს შვილი —
მძლავრი,
უღრეკი,
უღონო,
ჩვილი,
ცის და მზის შუქით განათებულ
ღა-
რა-
ღი-
უ-
ლო-
ბა-
ში...

ტყის მღუმარების საბავშვო

მოვისმენიათ ოდესმე მღუმარე ტყის სიმღერა?
არა?

გარწმუნებთ, ვერაფერს გაიგონებთ უფრო დიდებულს,
მრავალხმიანს, ძაღვანს, ერთიანს, საოცრად ზელოდიუ-
რსა და წარმტაცს.

მეფურად ღვანან ცადაწვდილნი მუხის, წიფლისა და
ცაცხვის ხეები.

ნიავეიც არ იძვრის...

ამაყი, მედიდური მღუმარებით სღუწს ტყე!

და უცებ ამ სიჩუმეში შორიდან, ძალიან შორიდან,
თითქოსდა შენივე სამყაროს შორეული წიაღიდან, გეს-

მის სიწღერა შეგუბებული, შინაგანი, დამატყვევებელი,
ძალიან ნაცნობი და ახლობელი, მაგრამ მაინც პირვე-
ლადქმნილი, განუმეორებელი...

უცნაური გრძნობა გიპყრობს. კანი გეზორკლება, სი-
ხარულითა და ბედნიერებით გევსება სხეული და ნელ-
ნელა წვეები გულადმა ზავერდოვან ბალახებში.

მზის სხივები აბრეშუმის უამრავ გამჭვირვალე და
ბრჭყვიალა ჩქერებად ჩამოდვრილა მახლობელი ხის
კენწეროდან და მიმოხეულა ირგვლივ...

წევხარ ასე გარინდული და შეჰყურებ ტოტებს შორის
ალავ-ალავ გამომიზიარალ ცის სილურჯეს, ხარბად ისუ-
ნოქავ ბალახების დამატრობელ სურნელებას, მთელი
სხეულით შეიგრძნობ ღიწის სასიამოვნო სივრიდეს.

და ახლა უფრო მკაფიოდ გესმის იგი...

ეს შენში ჟღერს ტყის მეფური მღუმარების მარადიუ-
ლი საგალობელი!

5

...მაგრამ

ერთ დღეს მან ვერ გაუძლო

რადაც ცდუნებას,

ათვალწუნებით გადახედა ღედა-ბუნებას და
აიბზუა

ტუჩი:

„მე უნდა გარდაგქმნა შენ!“

არ დააყოვნა არც ერთი წუთი,

უღვთოდ გაჩეხა

ტყე,

ჭალა,

ბუჩქი,

გადააშენა შველი და შურთხი,

„წამლად აქცია“

თართი და

ზუთხი,

გზააბნეულმა მეუფის როლით,

გონწართმეულის ყიჟინით, ბრძოლით

დაატრიალა,

დაატრიალა,

დაატრიალა,

და
შიგ გულში
კ
პ
რ
ა
დედა-მიწას
დიდი ჰოროლი.

ლირიკული ინტერმეცო

მე ახლა ჩემი ცხოვრების შუაგზიდან ჩავცქერ ვზახ
ჩემგან
ნავალს. ო, რა ზიგზაგი ყოფილა იგი, და მაინც სწრაფად
ამოსარბენი!
„ვაჰ, ღრონი, ღრონი, ნაგებნი მტკაბარად!“ — შუბლზე
ნაოჭმა
დამკვნესა ცერად, და დამცინავი ობერტონების იდუმალ
ჟღერად
შოროით-შორიდან შემომესმა იგი ნათქვამი:
„მარქვი, რა იქმნენ საკვირველი ესე აღთქმანი?!“

6

საგამოფენო დარბაზი დიდი და ნახატების, ნახატების
უწყვეტი რიგი...
გენიოსივით მოჭუტული თვალების უკან უნიჭო და
უტიფარი
გონების ჭყლეტით შექმნილ ტილოზე
კლავის აწვალბს
გრივი...
ვიღაც კაცი კი ყალბი პათოსით, ყალბი ჟესტებით და
პათეტიკით აზასიათებს ნახატს,
და ამ უტვინო ფერთა ქაოსში
პოულობს რაღაც ახალს:
„ორიგინალური...
თვითნყოფადი...
ხედვა...
გამები...
როგორი ჭკრეტა...“

ფიქრი...

წვდომა...

ცხვირი...

თვალები...

მე ახლა მესმის ამ ნახატიდან ჟღერა კლავიშთა სიმის!..“

მე კი —

პოეტის ამონაკვნესი:

„გულო,

გაუძეღ ტკივილს!..“

7

აღრიან გაზაფხულზე, როდესაც ტყეწლის ტოტებში
იფეთქებენ თეთრად პირველად, და პირველ სწულზე დას-
კუპდება ქურდი ბელურა, პატარა ბიჭმა, მოხუპრული ფო-
თლის ქვეშ, ველად, აღმოაჩინა თეთრი-თეთრი ბურ-
თულა ციცქნა, ობობას ქსელით ნაქსოვი მჭიდროდ.
ერთხანს უცქირა ინტერესით, მერე — შუა გახლიჩა
ბურთულა იგი... და საოცრება! — გამოცვივდნენ ათასი
პატარა ნარინჯისფერი ობობუკები, თავის კორტოხზე სა-
საცილოდ დასკუპული ორი წერტილით, და შეპყრობილი
პანიკურ შიშით, რაღაც ერთ

წამში გაიფანტნენ აქეთ და იქით...

დარჩა... დარჩა ჩხოლოდ დედა-ობობა...

ო, არა, არა!

გამომშრალი, გამოწოვილ-გამოწუნული

ფიტულა მისი...

კაცი ზონზროხა და ჭკუამრუდი

პატიოსნების მაგიდას უზის,

და სვირინგით მოქარგული ღისი სხეული —

მატიანე ცხოვრებისა სულით გრძნეულის,

უტიფარი და გამჭოლი მზერა თვალების...

წარსული თუ მომავალი ცხოვრება დიდი,

ცის ლაჟვარდი,

კაცის ვალი

გონებაფლიდის

მრუდ პრიზმაში გარდატყდება

ისე ჩრუდედ,

ი-სე მრუდედ,

ისე მახინჯად,
ისე მშვიდად,
ისე დინჯად,
ისე ფაქიზად,
ისეთი დიდი ფანტაზიით,
ისეთი წვდომით.
ისეთი დიდი ხელოვნებით,
ისეთი ნდომით —
„ვაჰ, დრონი, დრონი!..“

8

...ჰორიზონტს უმზერს პერსპექტივაში უჰორიზონტო,
სულმრუდე ვინმე, გრივალში ისევ კენესის სივაში.
ზღვა გაშმაგებით ლოკავს ნაპირებს:
სულმრუდე ვინმე,
გულმრუდე ვინმე,
ხელმრუდე ვინმე,
ჭკვამრუდე ვინმე
პლანეტის ბედის მართვას აპირებს!!!

რატომ ხდება, რატომ ხდება
ასეთნაირად —
ღირიჟურობს,
სმენაზე კი ძალზე მწყვრალია?!
...ვინ სტვირს აწვალებს
ვინ ბაიანს,
ვინ კი ღაირას,
ვინ კიდევ რომანსს,
სერენადას,
ვინ ლათაიას,
ზოგს თვალმიბნელებით აღუპყრია
საზანდარია,
ზოგი კი ხელებგაშვერილი
კლავის არაღს...
ვინ საქსაფონზე იგრიხება,
გიჟურად როკავს,
ვინ კიდევ დაბლა დაცემულა,
მუცელზე ხობავს,
ზოგიც უსტვენს,
ამ აზარტულ რიტმში მყოფელი,

და სარხარებს ამაზრზენად მეფისტოფელი..
...ბნელი კრება! —
იგი ხედება დეტონაციებს
და უმართავს ბნელ სოლისტებს
ბნელ
ოვაციებს...

ცივი და ცხელი ომი!
ოქროს ციებ-ცხელება!
ატ-

ომი!

წყალბადი!

ნე-

იტ-

რო-

ნი!

ენერგეტიკული კრიზისი!

რეკლამა!

ზაზაში ჩაჩრილი ბურთი და ეკრანი!

რეკლამა!

რეკლამა!

რეკლამა!

რეკლამა!

სენსაციები და აურ-ზაური, ჯაზ-შეშლილების ჭექა და
ზმაური, ცეცხლოვებული გარსიას ლექსი, კაბარეები
და ურცხვი სექსი, სისხლმორეული თვალების ბანდი,
ცივი გასროლა და...

მ ა რ ტ ი ნ კ ი ნ გ ი!!!

სიგარეტარტობილ კბილების ღრჭენა —

ს ო ნ გ მ ი ს გ ო დ ე ბ ა ს ვ ე რ ი ტ ე ვ ს ზ ე ნ ა ც!

ყალბი ღიმილი, პირმოთნე ტაში —

ქ ვ ე ე ნ ა დ

რ ა მ დ ე ნ ი

მ შ ი ე რ ი

ბ ა ვ შ ე ი!!!

სიზართლეს ვერ იტანს, ვერ იტანს ტყუილი
და ისმის შორიდან ყეფა და ღმუილი, ნერვები,
ნერვები აწყდება კაცს, რაღაცა სწამდა და
აღარა სწამს, პირს ადებს სათქმელად —

ხელკეტი — ლაწ!
და კიდევ ვინ იცის,
ვინ იცის,
რა!

სამყარო, დიდი სამყარო, შიშაზღვარი ღია თვალებით
შეჰყურებს თრთოლვით სურათს საოცარს... ხან

იდუმალი

შფოთით, ტკივილით, ხან მუდარით და ხანაც კივილით,
ფერგაცრეცილი გვაფრთხილებს, გვიხმობს:

— NO!

— NO!

— NO!

— S O S !!!

9

ერთ ხრიოკ მთაზე, კლდე-ღორღებს შორის
პატარა ხე ამოვიდა ობლად

უწყო და სუსტი — სუსტი იყო იგი.

— ეუშველოთო! — ერთხმად იყვირეს
ღრუბლებმა

და

სულ დაბლა-დაბლა დაეშვნენ ფრენით,

და დააფრქვიეს ყუყუნა წვიმა,

ჩიტბატონებმა,

საიდანაც მოფრენილმა ჩიტბატონებმა

ნესტიანი ფოთლები მოზიდეს ტყიდან

და მზრუნველობით ჩიმოუპნიეს,

ხოლო ლოდებმა,

ერთი შეხედვით ქუშმა ლოდებმა

მიიწიეს-მოიწიეს და

მიწა დაუთმეს უღონო ფესვებს.

— ო, გმადლობთ, გმადლობთ, მეგობრებო! —
ამბობდა ხე და

მიიწევდა სულ მაღლა-მაღლა,

ვაჟკაცდებოდა თვალსდახელსშუა,

ეფარებოდა მდელოებს, ლოდებს,

და გოლიათის სიღარბაისლით

აშრილვებდა ამაყად ფოთლებს.

მოულოდნელად მახლობელ კლდიდან
იფეთქა

წყარო?!..

სიმღერ-სიმღერით ჩაურბინა
სიცხისაგან გათანგულ ლოდებს,
გადარუჯულ-გადაზრუკულ
ბალახებს, ბუჩქებს
და მაცოცხლებელ ღვთიურ ბალზამად
ჩაიღვარა

იმათ

სხეულში...

და მოხდა სასწაული!
ოღრო-ხოღროებზე,
მთის ფერდობებზე,
კლდის ქიმებზე და
კბოდე-მდელოებზე
ერთი-წეთრის მიყოლებით
წამოიშარტნენ
წიფლის ხეები...

— ჰე-ჰე-ჰეიო! —

მძლავრი ტოტების ამაყი რხევით
შესძახა დედო-წიფელმა და
უღიადეს მშობლიურ გრძნობით გადახედა
მრავალრიცხოვან
თვის ჯალაბობას, —
იზარდოსო, იმრავლოსო ჩვენა ჯილაგმა!!!
გამოხდა ხანი.

არვინ იცის, წელი რამდენი.

ჰოდა, ერთ დილით,

ჩვეულებრივ ზაფხულის დილით,

ადამიანმა შემოალაჯა უსიერ ტყეში,

მხარზე ავად მოჭიატე ბასრი ნაჯახით...

ღაღარულ ხესთან შეჩერდა იგი.

— და-ბე-რე-ბულ-ხარ!.. —

წარმოსთქვა ჩან და

დამცინავად აბრიცა ტუჩი.

მერე ნერწყვით დაისველა დაკოჟრილი

ხელისგულები

და მთელის ძალით

აღმართა

ცული.

უცებ გახვედა!

ხის ტოტებიდან თუ ფესვებიდან

კენესა მისწვდა მას იღუმალი,

ჩოსხებილივით ჩამოუვარდა ბასრი ნაჯახი

და შემკრთალ სახით

ააყოლა

თვალები

წიფელს...

წიფლის ტოტებში დაჰქროდა ქარი,

განუწყვეტლივ ჩურჩულებდნენ ფუღუროები,

ჭრატუნობდნენ ხმელი ტოტები

და ცაზცახებდნენ

აქა-იქა შემორჩენილი

უფერული და უღონო ფოთლები...

შეუცნობელმა რაღაც ტკივილმა შესძრა

უცნობი,

ჭაღარაზე გადაისვა ნაჯაფი ხელი

და ღონემიხდით

მიეყრდნო

წიფელს...

დიდხანს იდგა ასე ერთად

ორი

მოხუცი.

10

„შეზე ზეცას ლაჟვარდიანს,

ჩიწას, ხელებს ძარღვიანებს,

მთას შეხედე ფართომხრიანს

და ვაჟკაცებს ნაკვთიანებს,

ფრიალოზე ჯიხვთა ჭიდილს,

ტყეს, ფოთლებს რომ აშრიალებს,

თვალუწვდენელ ზვრებს და ტაძრებს,

ნაჩეს-ნალეწ-ნატყეიარებს,

მუშაკაცის შუბლს და სინდისს,

დედებს, მრავალბაღლიანებს,

კლდის ქიმიდან მომსკდარ ჩანჩქერს

და ზღვის ტალღებს ზათიანებს,

„ხორუმსა“ თუ „ხაბანერას“,
ქუხილივით ღომსკდარ ბანებს,
ყმაწვილების სიჩაუქეს,
ქალიშვილებს ტან-ტატანებს,
სათიბებს და პირღრმა ხნულებს,
ცის ლაქვარდის სიკანკამეს,
პოეზიის ჯადო-ძალას
და პოეტის დაღლილ თვალებს...
ხალხის სიბრძნეს ვენაცვალე,
სიკეთის რომ თესავს ყანებს,
მისთვის ვიმღერ, მხოლოდ მისთვის,
მისთვის დავწერ
მ ა ტ ი ა ნ ე ს!..“

ის ღიღიოდა სამყაროში ოცნებით სავსე ღია თვალებით,
უსასრულობას ახლავს იმედად
ადამიანის

ნა-

ტერ-

ფა-

ლე-

ბი...



ჩემი დუმილი შენი განაცხადი

რევაზ ოსეფაიშვილის რომანმა „ჩემი დუმილი შენი განაცხადი“ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 60 წლისთავისადმი მიძღვნილ კონკურსში საქართველოს მწერალთა კავშირისა და პროფსაბჭოს პრემია დაიმსახურა.

გებჭლავთ ამ რომანის რამდენიმე თავს.

...და მხოლოდ სული აქცევს თიხას ადამიანად.

ანტუან დე სენტ ეკზიუპერი

...მამინ დაიჩოქა ხატის წინ ვარგისომ, ალაპყრო ხელები ცათა შინა და შევედრა უფალს:

— უსმინე მონასა შენსა, უფალო, ვარგისელა გლახას...

ვარგისოს ბოლო სიტყვა არც კი ჰქონდა დამთავრებული, რომ ხატი შეინძრა და ჩარჩოდან გადმოვიდა. ვარგისოს თვალები შუბლზე აუვიდა.

— მესამე პირში ნუ მელაპარაკები, ვარგისელა უბედურო, პირველ პირში მითხარი სათქმელი, თორემ შეგბრუნდები ისევ ჩარჩოში, გავქვავდები და მიყარე მერე კაკალი!

ვარგისოს შეეშინდა, ღმერთი პატარა რამეზე არ გაგაბრაზო, და მამინეკე გადაკეთა მესამე პირი პირველ პირად, რაც, დაახლოებით, ასე გამოუვიდა:

— მისმინე მონასა შენსა, უფალო მამაზეციერო, რამეთუ სახიერ ხარ! მე გელაპარაკები ამას, ვარგისელე გლახა...

— შვილი გინდა, ხომ? — შეაწყვეტინა ღმერთმა.

— მინდა, უფალო. — უპასუხა ვარგისომ.

— ალბათ, ბიჭი, ხომ?

— ბიჭი, უფალო.

სიჩუმე ჩამოვარდა.

— ძნელ საქმეს მთხოვ მე შენ.

— უფალო, — ამოიღგა ენა ვარგისომ, — ნუ გადამაშენებ უშვილოდ, უძიროდ, უმოყვროდ და უნათესაოდ. ნუ დამაგდებ მაქიმედა ცალტვიანს სასაცილოდ. კი იცო შენ, რა კბილის მატლივით მყავს შემოჩენილი შემჭამა, შემხრა, გამათავა კაცი პირდაპირ. მიშველე რამე. თანაც იმას გთხოვ, ცოტა ადრე მომცე შვილი, უფალო.

— ადრე?

— შენი წყალობით, ახლანდელი ბაღნები ადრე მწიფდებიან და რომ წამოიზრდება, ეჭვი არ შეეპაროს ამ მიკნაუბულ ბერიკაცს ასე ახალგაზრდა შეილი საიდან ვყავარო.

— ცხრა თვეს დაგჭირდება ღოდინი.

— უჰ! დავიღუპე და ისაა.
— მანამდე არ იქნება... შენ ნაღდი ბიჭი გინდა. ხომ გინდა? ნაღდ ბიჭს დაგა-
ნკალბებული ცხრა თვე უნდა. არც მეტი, არც ნაკლები!
— ქე ვატყობ, ჩემს გაჩენაში შენი ხელი არ ურევია და ჩემი შვილის გაჩე-
ნაში მაინც დამეხმარე, — ატირდა ვარგისო.
— კარგი. ამოვიტყე შეილთვიანს, ჯანდაბას შენი თავი და ტანი! ორივე
შვილთვიანები უფრო გაუგებთ ერთმანეთს. მარა იცოდე, ხარისხში არ შემეღავო.
— ცოდვა ვარ, მამაზეციერო, გამიწიე ანგარიში, უტეინო და გლახა ჩემი
თავი მეზარება.
— იშვილე. — ნახა გამოსავალი ღმერთმა.
— აჰ, მაგი არ მითხრა, — შეიცხადა ვარგისომ — გავწყდები წელში თანაც.
ზოგს უმართლებს, ზოგს — არა.
— მოსინჯე. რა იცი, ეგება შენ გაგიმართლოს?
— არ მაქვს იმედი. გლახა მთვარეზე ვარ დაბადებული.
— ახლობელი, იშვილე, ნათესავი არ გყავს ვინმე? სანდოა უფრო.
— გვარს რა ვუყო?
— ერთაშად არ მყავდე დაღეშქელიანი... მოგცე ვაშლი?
— შვილთვიანზე? — განწირული კაცის ხმით იკითხა ვარგისომ.
— ჰო. ერთ-ორ თვეს ძროხის ფაშეში გახვევა მოგიხდება. ბიჭად ბიჭი გა-
დასარევი იქნება, მარა ტვინი თუ ექნება დამდიდრებული, მაგას ვერ შეგპარდები.
— აღარ ყოფილა ჩემი საშველი! გამომისვი დანა კისერში და გაათავე!
— სხვა არაფერი შემიძლია.
ვარგისომ მზეს გახედა, ამოიოხრა და თქვა:
— მომეცი ვაშლი, ღმერთო, რაც მომივა, მომივა!
— მაგრამ ერთი პირობით, — შეაჩერა ღმერთმა, — შვილს მანასე უნდა და-

არქვა.

— მანასე? ვინაა, ღმერთო, მანასე?
— მან შვა ამონი.
— კეთილი და პატიოსანი. — თქვა მცირე პაუზის შემდეგ ვარგისომ და მარ-
ჯვენა ხელი გაიშვირა წინ. — მომეცი ვაშლი, ღმერთო. მე დავარქმევ ჩემს შვილს
მანასეს!..

მკრთალი იისფერი დაჰკრავდა მეწამულ ზეცას.
ამოდიოდა მზე.
ნელა მიცურავდა მამაზეციერის ხელი სამოთხის ვაშლით დასუნძლულ ხის-
კენ, რომელსაც თორმეტი ანგელოზი შემორტყმოდა წრედ.
ვარგისოს ყურები უხურდა. სახეზე ალმური ასდიოდა. გული ამოვარდნაზე
ჰქონდა.

— მომეცი ვაშლი, ღმერთო, — ჩურჩულებდა იგი და ელოდა, როდის დაუდებ-
და ღმერთი გაწვდილ ხელფეგულზე ვაშლს. — მე გავთლი იმ ვაშლს, — განაგრ-
ძობდა იგი, — ნათალს ვჭამ მე, გულს ვაჭმევ ცოლს. ვაჟს დავარქმევ მანასეს...

შიშის, ზაფრისა თუ მეტისმეტი სიხარულისაგან შუბლი დაეცვარა ვარგისოს.
ღვთიშობელი ნელა მიაცურებდა ხელს ვაშლის ხისკენ. ბიბინებდა ბალახი. შრია-
ლებდა ფოთლები. შხუოდა მდინარე. თვალგადახუჭული ღვთიშობელი, რომელსაც
სახე ცისკენ მიექცია, ბოხი ხმით, თითქოს თავისთვის უკვე მერამდენეჯერ იმეო-
რებდა:

— მა-ან შვა-ა ა-მ-ონ-ი!
მკრთალი ფერი დაჰკრავდა მეწამულ ზეცას.
ამოდიოდა მზე.

მაგრამ ვარგისოს აღარ ახსოვს, მისცა თუ არა ვაშლი იესო მაცხოვარმა, რადგან ამ დროს მწვანე მთა, რომელიც თითქოს, რადიოტალღებად გადასცემდა ეთერში იმ სამად სამ სიტყვას „მან შვა ამონ!“ უცებ გაშავდა. გაშავდა მიწა. გაშეშდა ბალახი. გაირინდა ფოთლები. დადუმდა მდინარე. დამუნჯდა მთა.

და აიჭრა მთაზე შავ ცხენზე ამხედრებული, შავ ტანსაცმელში გამოწყობილი ეშმაკი.

და შედგა მთის წვერზე ცხენი შავი და მოაბრუნა ეშმაკმა შავი პირი ზურგით მდგარ იესო ქრისტესკენ, მიიტანა შავი ხელები შავ პირთან და უკიჟინა:

— ატატანმა შემოგიფარა, მატატანი მოკვდაო!..

ამის გაგონებაზე, ტყეში ერთბაშად ერთი ვაი-ვიში, თავ-პირში ხელების ტყავა-ტყუბი, წივილ-კივილი და ხმამაღალი მოთქმა ატყდა.

— ატატანმა შემოგიფარა, მატატანი მოკვდაო!

ამაზრუნად გუგუნებდა მთებიდან გამოსხლეტილი ექო, ავისმომასწავებლად გაფრინდა დაბინდული შორეთისკენ შავი ეშმაკი.

— თავზე ბევრი ბანალია, შენი გული ალალია... მიჩვენე ხელი, ყველაფერი მართალი ვუთხრა! — გაჩნდა საიდანაც ვარგისოს წინ მარჩიელი ქალი. ვარგისოს მოეჩვენა, თითქოს მთელი ათი წუთის განმავლობაში ურჩევდა მარჩიელი. ძაბავდა გონებას, აკვირდებოდა მარჩიელის ლამაზი ტუჩების მოძრაობას, თეთრად გაელვებულ კბილებს, მრგვალ ენას, მაგრამ ნანახიდან აზრი მაინც ვერ გამოჰქონდა. ბოლოს თვალებში ჩახვდა მარჩიელს. ქალს თვალები მოხატული, მაგრამ საოცრად მშვიდი და ლამაზი ჰქონდა. სწორედ ამ თვალებში ამოიკითხა ვარგისომ ის შიში, რამაც ჭკუიდან კინაღამ შეარყია. ეს იყო ისევ დაწყვეტილი სამი სიტყვა: „არ გააჩინო შვილი!“

„მანასემ შვა ამონ!“ — სამი სიტყვა.

„არ გააჩინო შვილი!“ — სამი სიტყვა.

„ატატანმა შემოგიფარა, მატატანი მოკვდაო!“ — ჩაღდა ოთხსიტყვიანი წინადადება საღდაც შუაში.

$3+4+3=10$.

ათი სიტყვა! დამლუპველი ათი სიტყვა! სიტყვები, რომლებსაც შეუძლია ხსნაც და დღეუპაც... ჩემს შვილს უნდა დავარქვა მანასე. მანასემ უნდა შვას ამონი...

— არა! — საზარლად დაიფიცრა ვარგისომ, თავზე ხელები მოიჭირა და თავქვე გიჟივით დაეშვა, — მე არ ვშობ მანასეს! მანასე არ შობს ამონს!..

მაგრამ უკვე ყველაფერი გვიანი იყო. მე — მისი უფროსი შვილი, ვიდრე ვარგისო გონს მოვიდოდა, მანამ მოვევლინე ქვეყანას. ის ყურისწამლები სიცილ-ხარხარი და შეძახილები, წიოვობად რომ ჩაესმოდა ყურში სიზმარში მყოფ მამა-ჩემს — გახალისებული მოყვრების, ნათესავებისა და მეზობლების მზიარული შეძახილები იყო:

— ბიჭო, ბიჭო! მოგვილოცავს, ვარგისელა გლახა!

ამ საოცარი სიზმრის შემდეგ მამაჩემს მოსვენება დაუკარგავს. ერთი სული ჰქონია, როდის მივიღებდი ადამიანის სახეს, რადგან „მანასე, რომელსაც უნდა ეშვა ამონი“, თვითონ უნდა ყოფილიყო რაღაც განსაკუთრებული პიროვნება.

რვა თვის რომ გავმზადრვარ, მოსულა ჩემს აკვანთან. გადაუხდია თავზე, შეუხსნია არტანები, დამშტერებია სახეზე, უყურებია, უყურებია, შემოყრია გულზე და უთქვამს: მეტი არაა ჩემი მტერი ამან ამონი ვერ შვასო. ამ სიტყვების გაგონებაზე, როგორც ეტყობა. გაგებრანებულვარ, დამიკვესებია თვალები იმ ეშმაკივით, შავ მთაზე რომ იყო შენომდგარი და შიშის ქარს უყენებდა მამაჩემს მუხლებში, გამო-

მიღებულია მაშაჩემისთვის კბილებში გაჩრილი მუთაქისხელა სივარუტი და ანთებული თავით ჩამიწრია უკახვე.

შეშინებია მაშაჩემს, ახლა რომ ამას აკეთებს, მერე რას იზამსო, დაუჩინე-ბია აკვნის წინ და უთქვამს:

— ერქვას მას დღეიდან ამისა მანასე (პასპორტში), ზოლო შინაურებაში — კვესია.

ჩემი კაიბიჭობა კაციშვილს არ უთქვამს. მქონდა უშველებელი პირის ნახე-ვი, დიდრონი, გადმოკარკოვლი, ჩასისწლიანებული თვალები, ჩაჭყლებილი ცხვი-რი. ვიყავი დაბალი, ბრტყელი, კისერჩამყნული. მერე ვილაყამ თევზს ძიმამსგავსა — ფრიტას (საოცრად ბრტყელია ეს თევზი). მას შემდეგ ჩემთვის „კვესია“ აღა-რავის დაუძახია. „მანასე“ — ეს ღვთის ნაბოძები სახელი ხომ საერთოდ არავეინ იცოდა, შინაურებს გარდა, და ამ დამზაფრავ სახელს საიმედოდ ინახავდა ერთ-ხანს დაბადების მოწმობა და მერე — პასპორტი.

ასე გავხდი ფრიტა.

მიუხედავად ჩემი ასეთი შეუხედაობისა, არავეინ გამოთქვამდა სინანულს, ჩემი სიუშნოვის გამო, პირიქით, ჩემი დასახვა და სიცილ-ხარხარის ატეხვა ერთი იყო. ამის საბაბს მე თვითონ ვიძლეოდი და ეს ახარებდა ყველას, ისე, ვის რას უფუ-ჭებს ჩემისთანა უშნო ბიჭის სირბილი და თამაში ტოლ-მეგობრებში, აინუნშიაც რომ არ ავდებს თავის სიუშნოვეს?

რამხელა ბედნიერი უნდა იყოს კაცი, რომელიც, ვთქვათ, ჩემისთანა უშნოა და, მეოთხე კლასიდან დაწყებული, უყვარს გადასარეე გოგოს. მე და მარიამი, რო-მელსაც მეტისმეტი სიგამზდრის გამო ჯერ „ცეკქა“, ზოლო მერე „ცეკია“ და-ვარქვი, უერთმანეთოდ ვერ ვძლებდით. როცა სულ პატარები ვიყავით, ერთ ფო-თოლზე ვჭამდით, ერთ ლოვინზე ვიძინებდით. სწორედ იმ დღიდან, როცა ჩვენი ლოვინში ერთად წოლა აღარ შეიძლებოდა, ცეკიტას ქცევაში მოკრძალებამ იმატა. იქიდან მოყოლებული დღე და ღამ მასთან სიახლოვეზე ვფიქრობდი და იმ დღეს, რომელ დღესაც ცეკიტას ვერ ვნახავდი, დღედ არ ვთვლიდი. სიყვარულმა იმ ზო-მამდეც კი მიმიყვანა, რომ ერთ წელიწადს, რამდენი „ჩავარდნილი“ დღე გამოე-რია, ისიც კი ვიანგარიშე. 365 დღეში, აღმოჩნდა, რომ არც მეტი, არც ნაკლები, მხოლოდ 116 დღე მიცოცხლია („ჩავარდნილ დღეს“ თავს მკვდრად ვთვლიდი!) ესე იგი) 249 დღე „მკვდარი“ ვიყავი.

— კვესია შენი ნამდვილი სახელია? — მკითხა ერთ დღეს ცეკიტამ.

ასეთ კითხვას არ მოველოდი.

— „ფრიტას“ რატომ არ მეძახი? — პირიქით შევეკითხე. თუმცა მშვენიერად ვიცოდი, რატომ არ მეძახდა, — გული არ გინდა მატკინო?

— იმისთანა რა გჭირს, გული რომ გატკინო?

— არც მთლად მასე თავის გასულულება ვარგა. არ ვიცი, ვინც ვარ და რაც ვარ?

— შენ ჯერ იმ კითხვაზე გამეცი პასუხი: „კვესია“ შენი ნამდვილი სახელია? ვიფიქრე, ვეტყვი მაშაჩემის სიზმარს-მეთქი, მაგრამ ცეკიტას მოუმიწიფებელი გონება ჯერჯერობით ვერ შესძლებდა გაერჩია, რა იყო იმ სახელისწერო სიზმა-რში შემზარავი, სასაცილო და ჭეშმარიტი. ამიტომ გაჩუმება ვარჩიე.

— თქვი, რას გაჩუმებულხარ? — ჩამიფრინდა თვალებში ცეკიტა.

— რას შემომიჩნდი, ვითომ არ იცი, კვესია ძაღლს რომ ჰქვია?

— არ გშვენის გაბრაზება, კვესია, შენ და ნუ იუშნოებ თავს.

— რა მშვენის, გაბრაზება რომ მშვენოდეს?

არასოდეს წამომცდენია უშნო ვარ-მეთქი. ამას ისედაც მშვენიერად ხედავდა ყველა. ვიცოდი, ასეთი თქმა თავის შებრალებას ნიშნავდა. მე კი სულაც არ მეპ-

რიანებოდა ვინმესთვის თავი შემეცოდებინა. თუმცა გულის ყრუ ტკივილს მაინც ვგრძნობდი სადღაც. ჩემი სარკესთან მარტო ყოფნა ტრაგედია იყო.

ცქიტას შევხედე. იგი სულაც არ ხუძრობდა. გაძივირდა. ვერ ვიტყვი, რას გამოხატავდა იმ წუთში მისი ღიღიონი, ქლიავისხელა, ჭკვიანი თვალები, მაგრამ ახლავ ჩემთვის მთავარი ის იყო, რომ არ ხუძრობდა. არც მაკვირდებოდა. ზოგიერთებმა რომ იციან, გეტყვია რაიმე ქათიხაურს და დაგაცქერდებიან, თითქოს, აი, შემხედე, როგორ ვუსწორებ თვალს შენს უშნო ცხვირ-პირსო.

ცქიტა გაშეშებული იდგა. სადღაც სივრცეში იყურებოდა. პასუხის მოლოდინში სახეზე უწყინარი ღიმილი ეფინა. ამ წუთში იგი ძაგონებდა ქართან შეთანამშებულ პეპელას, რადგან ხელები ოდნავ გაეშალა, ფეხის ცერებზე შემდგარიყო და ჭკული კაბის ბოლოებს ქარი უფრიალებდა.

— თქვი, ბიჭო, რატომ გკვია კვესია!

— დედაჩემს ზედიზედ ორი ბავივი მოკვდომია. — დავიწყე მე უცებ და თვითონვე გაძივირდა, საიდან მოვიგოხე ასეთი ტყუილი. — მე რომ დავიბადე, შეშინებია, ესეც არ გამომეცალოს ხელიდანო, და დაურქმევია ძაღლის სახელი. ძაღლივით გამძლე და მაგარი იქნებო.

— მაშინაც ამისთანა ლამაზი იყავი? — მოკვდა სიცილით ცქიტა.

— კი, ავ თვალს არ ვეხახუებოდი, — ავხარხარდი მეც. მერე, ცოტა არ იყოს, შევშინდი და დავუწიე ხმას. ცქიტას წკრიალა ხმასთან შედარებით ჩემი ხმა ჟანგიანი მეჩვენა და გატეხილი ექვანივით ფხატნიდა სულს.

— მე კი ასე წარმომიდგენია და სულ იმას ვფიქრობ, ალბათ, აკვანში ძაღლივით იღრინებოდა და იმიტომ დაარქვეს კვესია-მეთქი.

ჰო, — ვთქვი მე, — თუ რამეს ვიტყენ, „ძაღლი კოჭლობით არ მოკვდებაო“, თუ ბევრს ვირბენ, „ძაღლივით დარბისო“, თუ გავბრაზდი, „ძაღლივით ბღეზიანიაო“, თუ რამეს მოვიპარავ, „ძაღლივით წუწკიაო“, თუ რამეში ბედი გამიღიმებს, „ძაღლის იდბალი აქვსო“.

ცქიტა ახლა პირდაპირ მიყურებდა. ხატზე შემძლია დავიფიცო: ასეთი სუფთა და ნათელი შემოხედვა ჯერ არავისგან მიგრძენია!

— გაჩუმიდი, კვესია, თვარა მოგკვდები ახლა! — აბაკუნებდა ფეხებს ცქიტა... რალა ცქიტა, უკვე მარიამი, მის კაბას, რამდენი დღეც გადიოდა, იმდენი ნაოჭი აკლდებოდა — ამოდიოდა, იზრდებოდა და ბიბინებდა გაზაფხულის ბალახივით. ებერებოდა თეძოები და მკერდი აპრილის კვირტივით. მისი შეხედვა მახანებდა, ჟრჟოლას მგვრიდა, ციებნიანვით მაკანკალებდა.

მეშვიდე კლასში უკვე ნათქვამი მქონდა მისთვის მამაჩემის სიზმარი. რა თქმა უნდა, ისიც, რომ მე მამაჩემმა სახელი „მანასე“ ღმერთის ჩაგონებით დამარქვა. რომ მანასემ უნდა შვას ამონი, ხოლო მარიამმა — ქრისტე. მერე იმოღენა თავხედობა გამოვიჩინე, რომ პირდაპირ მიეახალე:

— დიდად გავიხარებდი, ჩემო ცქიტა, რომ ამონი და ქრისტე ძმები ყოფილიყვნენ.

— რა თქვი? — შეჰყარა მოშვილდული წარბები პატარა მარიამმა. გვერდი-გვერდ ვიჯექით. ღრუბლებში მოცრიატე მთვარის მკრთალ შუქზე გარკვევით ვხედავდი გაბუტული ტუჩების გარშემო შემოყოლებულ ქარვისფერ არშიას, ჭინის აღმძვრელ თეთრ ბუსუსებში რომ ჩაკარგულიყო. კაცმა რომ თქვას, შეიძლება ვერც ვხედავდი, მაგრამ დღისით დანახული ისე მქონდა ჩატვდილი გონებაში, რომ გასაკვირი არცაა ამის თქმა, ვხედავდი-მეთქი. თმები მთლიანად თავის ნებაზე ჰქონდა მიშვებული. ამიტომ თვალები და შუბლი ოდნავ მოუჩანდა. ყოველთვის მკლავდა სურვილი, გადაემწია თმები, დამეკოცნა შუბლი, თვალები, სახე და ტუჩები, მაგრამ ამის ნებას ვინ ოხერი მომაშავებდა...

— რაო, რა თქვი? — ძლივს წარმოთქვა მან და პატარა ფეხები მიწაზე და-
ბაკუნა. ასე იცოდა სიცილისა და გაჯავრების დროსაც.

— ათაფეო. — ვუპასუხე მშვიდად, თითქოს მართლა არაფერი იყო. —
ძალიან გაძიხარდებოდა, ამოხი და ქონისტე ძმები რომ ყოფილიყვნენ-მეთქი.

ძაიხც ვერ გაიგო. ყოველ შემთხვევაში, ისეთი სახე ძიილო, თითქოს ვერა-
ფერს ძიხვდა. ხელახლა ავუსახუბო: თუ ძაიხც შობს ამოხს და ძაიხადი — ქონისტეს,
ხოლო ამოხი და ქონისტე იქნებიან ძმები, ძაშინ ძარიხადი და ძახასე უხდა იყვიეს
ცოლ-ქმარი.

სახეზე შევატყვევ, ფერებმა აუარ-დაუარა. მეშვიდე კლასში იყო და უკვე
შეეძლო ასეთ საუბარში გარკვევა. გაბრაზდა. ცხვირის აატარა ნესტოები დაეცა-
და გაოცებულმა მკითხა:

— როგორ? არა. მაინც როგორ?

— ჩვეულებრივ.

— კაი ააა! — ღაიძახა, თმებში ხელები ჩამავლო, სკამიდან გადამათრია, თავ-
ზე ქორივით დამაცხრა და მუშტები დამცხო. მიყურე აბა! ბრტყელი ქე ხარ, ძა-
იძღეს გირტყამ, სანამ ტყლაპივით არ ძოგაქცევ! უზრდელო! საზიზღარო!..

— ჰო, ძირტყი, რამდენიც გინდა, მაინც ავიღებ თიხას, მოვხელ, ჩავებრავ
სულს და გამოვა ქონისტე.

— „ბორჯომის“ ბოთლებს აკეთებენ მასე და არა ქონისტეს.

მე წამოვდექი, შარვალზე ხელი დავისვი, ბლუზა გავისწორე, და ცქიტას
მხარზე ხელი ჩამოვაღე. არ განძრეულა. თვალიც არ დაუხამხამებია. პირდაპირ
მიყურებდა. თითქოს რაღაცას ელოდა. დამფრხალი შევლივით მიყურებდა. ოდნავ
კანკალებდა. ხელი კისერთან, თმებში შევუცურე. არც ახლა განძრეულა. ოდნავ
შეკრთა. სუნთქვას მოუხშირა. მისი ამონასუნთქი სახეში შეფრქვეოდა. ვატყობდი.
როგორ ნელ-ნელა მებნიდებოდა გონება.

— მგონი, დედა მეძახის. — თქვა ცქიტამ, როცა შემატყო. თავს ველარ ვე-
რეოდი.

— მიგაცილებ სახლამდე, არ გინდა? — ვეუბნები მე და მივდივართ. სახლა-
მდე კი ასი ხე და ასი ბუჩქია. ჩვენ ყველასთან სათითაოდ უნდა შევჩერდეთ და
დიდხანს, დიდხანს ვუყუროთ ერთმანეთს თვალებში. რაც უფრო ნაკლები რჩება
ხე ან ბუჩქი, მით უფრო ხანგრძლივია დგომა.

მომავალი შეხვედრის დათქმა ყველაზე მეტ დროს გვართმევს.

— ხვალ რას იზამ? — რა თქმა უნდა, ამ კითხვას მე ვიძლევი.

— ხვაალ? — უცნაურად აგრძელებს სიტყვას მარიკა, რაც იმას ნიშნავს, რა
ამბავია ასე მალი-მალ შეხვედრა, შენ დედაჩემი და მამაჩემი სულელები ხომ არ
გგონიანო.

— ზეგ რას იზამ?

— ზეგ რა დღეა?

— პარასკევი.

— კვირას შევხვდეთ. დედაჩემი „ვაენტორგში“ მიდის „პაიოკის“ მისაღებად.
ა მებერა ძაგნიძემ დაგვითმო ერთი მიღება. ეგება პურიც იშოვოს ცოტა. „ტალონს“
დაგვპირდა ნათესავი... გინდა ახლა კარაქიანი პური და დაშაქრული ჩაი?

— არა.

— მოხარშული ღორის ხორცი მაქვს ჩემთვის გადამალული, მოდი და გაჭმევ,
თუ ძაან გშია, კვესია.

— გადამალული? — გამიკვირდა მე.

— არა, ისე... ჩემთვის მაქვს შენახული. — იკბინა ენაზე მარიკამ. — არ მო-
ხვალ?

— მამაშენის თვალების ბრიალს, მშვიტი ვიყო, ის მირჩენია.

— არ იქნება მამაჩემი სახლში.

— დედაშენი?

— ჩაიში იქნება.

— კუკურე თევგასიებული?

— მაგათი კლასი ისიღორე მასწავლებელს ეხმარება, მარა იგიც რომ იყოს სახლში, რა მოხდება?

— იმას ჰგონია, ვერ ეხვდება, ნამარზი ადამიანის მსუაყსა მაიმუნებისადმი.. ანად გადატყევაზე და თევზების კლასიფიკაციაზე რომ დამიწყებს ლაპარაკს, რის თქმა უნდა?

— კაი ახლა, ქვეყანა არ იქცევა. ნამეტანი არაფერი ვარვა! — ეწყინა მარიკას.

ყელთან რაღაც მომაწვა და ცხვირში მომიჭირა. თვალები დავხუჭე. ვერძნობდი, როგორ წამოვიდა სითბო ფეხის ფრჩხილებიდან, როგორ აირია გულმუცელი, როგორ დამაყარა ჟრუანტელის ბუხუსები ზურგში, მეცა ცხვირში, თვალებში და რომ არ ჩამეყლაპა, უთუოდ დამაზრჩობდა...

ვიცოდი, ისევე როგორც ჩვენ, მარიკას ოჯახსაც ჰქონდა ხატი. სად მალავდა მაქიმედა ხატს, ისიც ვიცოდი. აუღეკი, გამოვანოხე ძველისძეული, ჩუქურთმებიანი, კრილისაგან სანახევროდ შეჭმული კამოდი, გადავყერი უკან და სანამ მარიკა სამზადში ფუსფუსებდა, ხატის წინ დავიჩოქე.

— ღმერთო! — დავიწყე მე ისევე, როგორც ერთ დროს, ჩემი გაჩენის წინ მამაჩემმა, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ხატი არ შენძრეულა და ჩარჩოდან არ გადმოსულა, — ღმერთო, უსმინე მონასა შენსა, შენგან მოძულებული კვესიე გელაპარაკები...

— ვინ გელაპარაკები?

— ფრიტა ვარ, იესო. — მოვედი გონს, როგორც იქნა.

— ფრიტად, ღორჯოდ და ხელიკად არ გამიჩენნხარ მე შენ!

— ვიცი! — წამოვიძახე მე, — ვიცი, არც ფრიტად გაგიჩენივარ, არც ღორჯოდ და არც ხელიკად, მარა შენს ნაშიერს, თავზე ხელს რომ ააღებ და ჰაიპარად მიაგდებ, ფრიტას, ღორჯოს და ხელიკს კი არა, რას არ დაუძახებენ. კაცს თუ გაჩენ, კიდეც უნდა მოუარო. ერთს რომ ვარსკვლავად აქცევ, რაც ქვეყანაზე სილამაზეა, ერთად რომ მიაყრი ყველაფერს, მეორეს მთლად კი არ უნდა ააღო ხელი.

ჩარჩოდან გადმოსვლას აპირებდა, ალბათ, დალოცვილი, მაგრამ ჩემს სიტყვებზე გაბრაზდა, ფეხი ისევ უკან შედგა, ხელიც უკან წაიღო. პირვანდელი პოზა მიიღო და ჩაქვავდა.

— ღმერთო! — დავიძახე მე. — ღმერთო! — აუუწიე ხმას. — ღმერთო-მეთქი!.. ხმას არ იღებდა. ფეხზე წამოვხტი, ხელში ავიღე. უკვე ჩემს კანში ველარ ვეჭვოდი. გაჯივებული თვალებით ჩავეყურებდი. ხან მაღლა აეწიე, ხან განზე დავიჭირე, შევჯანჯღარე. მაინც არ იღებდა ხმას.

— მთლად ნუ წაიწყმენდ სულს, მთლად ნუ ამაღებ ხელს, ღმერთო! კომკავშირში არ მივიდებოთ, მეუბნებიან, ხატს მალავ კამოდის უკან და ღამდამობით ღოცულობო. ერთხანს მართლა ვლოცულობდი, ნუ დამტოვებ ასე მაზინჯად ცხოვრებაში-მეთქი, გეხვეწებოდი. არ შეისმინე და მივატოვე... იყავი ასე უპატრონო და ყველასაგან მიტოვებული კამოდის უკან! — ვთქვი კრიჭაშეკრულმა და ხატი, კამოდის უკან, გაბრაზებით მოვისროლე. ეტყობა, ისე აზრდაკარგული ვიყავი, ვერც თავი შევიკავე და ვერც ძალა მოვზომე, კამოდს, იმის მაგივრად, რომ ძველ ადგილზე მიმეჩოჩებინა, ხელი ვკარი. მერე ანგარიშშიუცემლად გავწიე ტანტისა-

კენ, ვიფიქრე, დავეგდე ბიჭი, ჩავემხოვო და ბოლოს გულში ჩავიკლა-მეთქი. უცებ მძიმე სიზარმაცის მსგავსად გავიფიქრე. სანამ უკან მოვიხედავდი, ჯერ ვიფიქრე, ალბათ, იესო ქრისტე გახშირისხდა, ასე რომ გაულანძღე-მეთქი. უკან მოვიხედე, ძირს კაწილი ეგდო. გავშეშდი. ვატყობდი, როგორ ამდიოდა თვალები შუბლზე. ნუთუ წინა კრა კამოდს ხატმა? ბებიანეში რომ ცოცხალი ყოფილიყო, ამას ხაზდვითად დაიჯერებდა. შეჭველად ხატს დააბრალებდა კამოდის წაქცევას. მე კი, ეს რომ დამეჯერებინა, ნაღდად, გავიჟებას აღარაფერი დამაკლდებოდა. ხატი თავჩაღმა ეგდო, ისევე, როგორც დავარდა.

კამოდის წაქცევის ხმაზე მარიკა უნდა მოსულიყო. კაცმა რომ თქვას, ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რით იყო გაძეგნილი ეს ძველებური კამოდი, ამოდენა ხმა რომ ქნა. მარიკას აღარ დავუცადე, კამოდს ხელი დავავლე და ავწიე. ტყვიასავით მძიმე იყო. ატყდა ჭიქების, თეფშების, კოვზების რახარუხი. ნაძვლიად ყველაფერი დავლევწე-მეთქი, გავიფიქრე. წელში კინაღამ გავწყდი. რის ვაივაგლანით წამოვწიე. შუაშდე არ იყო წამოყენებული, რომ დაცემის გამო საკეტომწილი უჯრები გარეთ გამოცვივდა, ზოგს ძეგრები შევაგებე, ზოგს — ხელი და ზოგს — მუხლი. თვალი უჯრებისაკენ გაძექვა. რა გინდა სულო და გულო, შიგ რომ არ იყო! ოქროსა და ვერცხლის ჯამ-ჭურჭელი, სამაჯურები, საყურეები, ნაირ-ნაირი ყუთები, დასტა-დასტად შეკრული ქაღალდები, ოქროსტარიანი ხელჯოხი და ქარვისფერი ჩიზუხიცი კი ეგდო ერთ უჯრამში. შუა უჯრის სიღრმეში ძველებური, ნიკელისტარიანი, ხუთვანხიანი რევოლვერი გაძოცურდა. თავის დღეში არ მქონია და არც მიფიქრია იარაღზე, მაგრამ ახლა მის დანახვაზე ელეთ-მელეთი დამემართა. რევოლვერი კამოდის კედელთან მიჩოჩებამდე ჩავიდე ჯიბეში. რახან მარიკა არ ჩანდა, გადავწყვიტე კამოდს სრულ წესრიგში მოვიყვან, რომ ერთ-ორ დღეს ეჭვი არავის აღედრას-მეთქი. ჯერ აწეწილ-დაწეწილი ნივთები მივაღაგ-მოვაღავე. მერე დანა მოვნახე. დანის წვერს უჯრისა და საკეტის ჩასაჯდომ ბუდეს შორის ვუყრიდი, მალლა ეწვედი, რომ ენაამოწილი საკეტი რამენაირად ბუდეში ჩამჯდარიყო. იმ შუა უჯრამ, რომელშიც რევოლვერი იდო, ყველაზე მეტად გამიჭირა საქმე. ვერაფრით ვერ ჩავაჯინე საკეტი ბუდეში. ცხრაჯერ გამელუნა დანა. სახეზე ოფლი მასკდებოდა. შიში ჯერ ნელ-ნელა დამეუფლა. მერე ერთბაშად შემიპყრო. უკვე კბილს კბილზე მაცემინებდა. მე ზომ ახლა ნამდვილი ქურდი ვიყავი! ჯერ სად ხარო, ქურდობა აწი იკითხეთ... მარიკა ისევ იგვიანებდა. მე კი, ამ ერთი უჯრის დაკეტვასაც თუ მოვასწრებდი, თავი ქუდში მქონდა. მაგრამ უჯრა თითქოს განგებ ჯიუტობდა. ღიად დატოვება კი არაფრით არ შეიძლებოდა. ერთი პირი ისიც ვიფიქრე: რევოლვერს უკანვე ჩავაბრუნებ, მარიკას გულანძლიად გამოვუტყდები, გამოვართმევ გასაღებს, ყველა უჯრას სათითაოდ დავკეტავ. და ყველაფერი რიგზე იქნება-მეთქი. მაგრამ ისე ანდამატივით მაცდური გამოდგა რევოლვერი, რომ ამ განზრახვაზე მაშინვე ხელი ავიდე. ახლა მთელი ძალით შევუტეე უჯრას. ხმაურსაც აღარ ვერიდებოდი, აღარც მეშინოდა. რევოლვერი საიმედოდ მედო ჯიბეში. გაჯიუტებული უჯრის ამ გამუდმებულ შეწევადამოწევაში ერთი ყავისფერი მოგრძო კოლოფი მაცდურად მიყურებდა. იმ უჯრამში ბევრი სხვაიც ეწყო, მაგრამ თვალში მუდამ ის მხედებოდა.

— რა არის შიგი?! — თითქოს ამ სახლის ბატონ-პატრონი ვყოფილიყავი, ისე თამამად და ხმამაღლა წამოვიძახე. — ვიცოდე მაინც, რით სულდგმულობს მაქიმეა ცხოიძე.

კოლოფს თავსახური მჭიდროდ ჰქონდა თავზე მორგებული, მაგრამ დანის წვერით მაშინვე ავხადე... უნდა გამოვტყდე და სიმართლე ვთქვა: პირი მეც და კოლოფმაც ერთად დავადეთ, ფული მინახავს, მაგრამ ერთად ამდენი — არასოდეს. შემნახველ საღაროში რომ ფული ყუთობით დევს, ის არავის უკვირს, რადგან

დიდია სახელმწიფო და დიდ სახელმწიფოს დიდძალი ფული უნდა ჰქონდეს. მაგ-
ლათ ერთ ოჯახში ამდენი ფული, ამ გაძალტყავებულ სოფელში? ამ ხის-
მწოველ შაქქედას უძოქ, მუდოდ უყრია ათდენი ფული! სახელმწიფოს მაინც ასე-
სხოს... მაგრამ სახელმწიფო რომ ყვარებოდა შაქქემს და შაქქემდას, ახლა
ფრონტზე იქნებოდა ორივე.

შაქქემდას რომ ამდენი ფული ჰქონდა, არ მიკვირდა. მაქიმედას ჰქონდა ათას
ზუთასი ძირი ვენახი. შაქქემდა ყურძენს ღვინოდ აქცევდა, ჭაჭას — არაყად და
მაძასისხლად ყიდდა. მაქიმედას ჰქონდა ერთი ჰექტარი საკარმიდამო. სვების ყანა
თუ გვალვიან წელს სულს ღაფავდა, მაქიმედას ყანა მწვანედ ღაღანებდა. მაქიმედა
კაი ძაგარი მუშაკაცი იყო, მოძჭირნე მეურნე, მაგრამ კოლექტივის სასარგებლოდ
ჩხირს არ გადააბრუნებდა. ჰოდა. ზღაპრის არ იყოს, სხვა თუ ფუთობით იწევდა
თავის ეზოში სიძინდს, სოიას, ხაპს, ბადრიჯანს, პამიდორსა და კარტოფილს,
ის ტონობით იწევდა. ამასაც ყველაფერს მაძასისხლად ყიდდა და შინ იძღენსაც
არ იტოვებდა, რომ წლიდან წლამდე ჰყოფნოდა. მისი შვილები ჩვენზე უარესად
შემშილობდნენ. წელანაც ზომ წამოცდა მარიკას. ღორის ზორცის შაშხი ჩემთვის
მაქქეს გადაძალუღიო ალბათ, ოჯახსაც ასე უსინდისოდ ექცევა ეს სინდისგარეც-
ხილი მაქიმედა...

ათას მანეთებად დაწყობილი ხარისტყავისხელა ასმანეთიანები უშველებელ
მურგებად იყო დახვეული. ეს ფული ერთი შეხედვით შეჩვენა ბევრი, თორემ ისე,
იმ წელს, ფუთი სიძინდის ფასი ექვსასიდან რვაას, ხან ათას მანეთამდეც აღიოდა,
რომ შექნა, წამელო ეს ფული და აბაშის ბაზარში სიძინდი მეყიდა, ერთ თვეს
სოფელს სულ ვარახელას ვაძახებდი.

ერთ მურგში ქაღალდს მოვკარი თვალი. ვიფიქრე, ალბათ, თანხის საერთო
ჯამია გამოყვანილი შიგ-მეთქი. არც მოვტყუებულვარ. მაგრამ შიგ უფრო გაცი-
ლებით საინტერესო რამ ეწერა. ფულის ჯამის გამოყვანას რა უნდოდა. დავით-
ლიდი და გათავებული იქნებოდა მისი საქმე, მთავარი წერილი იყო:

„მე — მაქიმედ კოსტას ძე ცხობიძე, ვწერ ამ წერილს, ვტოვებ და ვიბარებ:
ვხედავ, მოდიხარ შენ, მხსნელო. მოყვები აბორგებულ ქარბორბალას და ისწრაფ-
ვი, როდის მოუღებ ბოლოს ამით, როდის დაიბრუნებ დაკარგულ ძალუფლებას და
როდის ჩაგვაყენებ თქვენს სამსახურში. ჩვენ ცოტანი დავრჩით. მაგრამ ვინც ვართ,
მარად თქვენი ერთგული ვართ.

იმ შემთხვევაში, თუ ცოცხალი არ ვიქნენ, შეგიძლიათ საჭიროებისამებრ
გამოიყენოთ ჩემი ნაკვდავ-ნაწყდავი, ხალხის უკეთესი მომავლისათვის კაპიკ-კაპიკ
ნაწებები ფული, რაოდენობით 500 ათასი მანეთი. ერთი ამდენი და ამაზე მეტი
შენახული მაქქეს კიდევ სხვა ადგილზე, რომლის საიდუმლოებას, თქვენს გარდა,
სიკვდილის პირასაც რომ ვიყო მისული, არავის გავანდობ“.

თავში რომ სხვანაირი აზრები უტრიალებდა მაქიმედას, ამას, ჩემს გარდა,
სხვებიც ატყობდნენ, მაგრამ ასე პირწაყარდნილი მტერი თუ იყო, ეს არ ვიცოდით.

— კეთილი და პატიოსანი, ჩემო მაქიმედა! — ვთქვი მე. ამოვიღე დაგორგ-
ლილი ფულები, გავშალე. მერე ამოვიშვი ბლუზა, შემოვიხვიე ფული განზე, ხელა-
ხლა ჩავითანე შარვალში ბლუზა, შემოვიჭირე ქამარი, რის ვაი-ვაგლახით დავ-
კეტი უჯრა, წამოვკოტრიალდი ტახტზე და გავილურსე.

მარიკა ისევ არ ჩანდა. კარგა ხანს ვიცადე. მერე მოთმინება დავკარგე. ვი-
ცოდი, მარიკას ძმა, კუკური, მალე მოვიდოდა. ჩემი მარტო აქ ყოფნა მაშინვე
ექვს გამოიწვევდა. მარიკას ოჯახი და ჩემი ოჯახი მე და მარიკასათვის განუყო-
ფელი იყო. ეს მანამდე, ვიდრე ჩვენს შორის ის იდუმალი მოკრძალება არ ჩადგე-
ბოდა მიუხედავად ამისა ჩემზე ეჭვს მაინც ვერავენ მოიტანდა. ამ მხრივ მთელ

სოფელში სამაგალითო ვიყავი. იმ ხანებში ცოტა კი არ იყო იმისთანა პატივისცემისა, ვისზედაც ეჭვის შიშს აწივდა. იმ ხანებში ცოტა კი არ იყო იმისთანა პატივისცემისა, ვისზედაც ეჭვის შიშს აწივდა.

ზალიდან უკანა ოთახში გავედი. იქიდან ღია კარში მარიკას გავძახე. სამზადისი კარი ღია იყო. მარიკას კეცი გადაედგა და სამზადისი კვამლით იყო სავსე. სამზადისში ქათმები რომ არ შესულიყვნენ, მაქიმედას პატარა მავთულბადიანი კარი ჰქონდა შეიკიდებული. ის კარი ძიხურული იყო, ზედ შავი კატა იჯდა და თვლებს ლულავდა.

რცხილის ძირში, გადებულ გრძელ ფიცარზე ჩამოვჯექი. შუა სექტემბერი იყო. მზე აჭერდა. ბულში გახვეული დედამიწა ძლივს სუნთქავდა. ჰაერში სიცხე დგანდგარებდა. ჭიდან წყალი ამოვიღე, ვედრო პირზე მივიფუდე. ცივი წყალი რაკ-რაკით გადადიოდა ყელში. ოწინარი ქანაობდა. ათამაშებული ჯიქვი ვედროს ეტყულაშენებოდა. უბეში ჩაღვრილი გრილი წყალი უდიდეს სიამოვნებას მანიჭებდა. უცებ ვედროს ხელი ვუშვი და თავში შემოვირტყი. ფული გამახსენდა, უბეში გადამალული, წელზე შემორტყმული ფული. ვედრო ჭახანით მიეხეთქა ჯერ ოწინარს, მერე — ჭის თავს და საშინელი ხათქახუთქი ატეხა.

— რა გჭირს, ბიჭო, კვესია, რამ გამოგაშტერა, რას ერჩი მაგ ვედროს, რა გეტყვა მაგ მუცელში, ხელი რომ მიგიჭირებია?

ჭის მეორე მხარეს ჩოხაში გამოწყობილი, თავზე ყაბალახწაკრული მაქიმედა იდგა და საეჭვოდ მიცქეროდა. ზუსტად ისე მოხდა, ბიჭებმა რომ იციან თქმა: გაჩერდი, თეარა თუ გელეწე, მოგალანდებ ბაბუაშენს ჩოხაში გამოწყობილსო.

— კუკურასთან მქონდა საქმე, — არ დავიბენი მე, — ფრიტასმაგვარ თევზებზე ლექცია მინდა ჩავეუტარო.

— თუ მაგი პირიქითაა. შე მართლა ფრიტა, ა? — აუტყდა სიცილი მაქიმედას. რა ცივი თვალები ჰქონდა! მართლ პირის ნახევის და წანყრატოს მოძრაობაზე თუ მიხედებოდა კაცი, რომ იცინოდა.

— პირიქითაა, ზო, და, და, სანამ ერთს კაი მაგრად არ დავნაყავ, ვიცი, არ მომეშვება. — ვთქვი მე, ჰაერში მოქანავე ვედრო დავიჭირე და თავის ადგილზე დავდე. ვედრო ახლა მაქიმედამ აიღო, ჭაში ჩაუშვა და, სანამ წყალს ამოიღებდა, ჭიქა მომიტანეო, მითხრა.

ხუთი ჭიქა წყალი დალია ზედიზედ. მერე ჭიქა და ვედრო ერთად დადგა, ულვაშებზე ზელისგული გადაისვა და გაოცება რომ შემამჩნია, მითხრა:

— აგი, რაა, ცამეტი ჭიქა წყალი უნდა დალიოს ჯანმრთელმა კაცმა დღელა-მეში... ჰო, მართლა, ფრიტა, მამაშენი თუ იყო გამობარებული კომისარიატში?

არ ვიცოდი რა მეპასუხა. მაშინვე მივხვდი, მაქიმედა კომისარიატში იყო დანაბარები.

— კი. — ვიცრუე მე.

— რა უთხრეს?

— ომში წადიო.

— რა უთხრა მერე?

— რა შეილი წავა!

— მაინც რატომ უნდა წავიდეს? — ჩამოჯდა გრძელ სკამზე მაქიმედა, გულისპირი მთლიანად ჩაიხსნა, ბანჯგვლიანი მკერდი ნიავს მიუშვირა.

— მაინც რატომ უნდა წავიდეს? — შევუბრუნე კითხვა. როცა კაცი ომში მიდის, ზომ უნდა იცოდეს, ვისთვის მიდის, რისთვის უნდა გაწიროს თავი? ომი ქორწილი ზომ არაა, ან ქელები, ღვინოს გინდა დალევე და გინდა არა, იქ ტყვიას რომ დაგალევიანებენ, დალიო უნდა.

— ჰოდა, მე რომ მაქიმედა ვარ ცხოვრებ, არ დავლევ. — ჩაიქნია ხელი მაქიმედამ.

- ძალით თუ დაგაღვიწის?
- ვერ დამაღვიწებენ.
- აბა, ნებით არავინ არ სვამს ტყვიას.
- არ მივალ იმ ქორწილში სულ, მე რომ მაქიმედა ვარ!
- აბა, მამაჩემმა თქვა, წავალ.
- წელან რომ თქვი, არ მაღისო?
- მაქიმედა თუ წავა, მეც წავალ.

- მე მბამავს? აქ ვერაფერი მომიხერხა და იქ უნდა ჩამაძაღლოს და ეს ჩემი მიწა შეიტყუდლისკვეროს?... მამაშენი, ბიძიკო ჭკუით იყოს, ცოტა, თვარა, თა იყო და რას წარმოადგენდა, ავერ მიწერია ხელისგულზე. ავღგები და დაეუ-
კაკლავ ყველაფერს რაიოქს. მდიოს მერე, რამდენიც უნდა კუდში!

- შენ მამა აბრამის ბატკანი იყავი? ნამეტარი გიყვარდა ჩვენი მთავრობა?
- ვეღარ მოვითმინე, ვიგრძენი როგორ დამეხერა კისრის ძარღვები.

- მე თუ არ მიყვარდა, არც ვძალავდი! - თქვა მაქიმედამ.

- მამაჩემი არასოდეს ყოფილა მენშევიკი!

- მაგაში მართალი ხარ. დამემოწმა მაქიმედა. - მამაშენი იმისთანა შტერი იყო, მართლა არ იცოდა, ვინ იყო. მარა 1921 წელში, ოლია კალანდაძე რომ და-
ვაპატიმრეთ და მეტეხის ციხეში ამოვაყოფინეთ თავი, იმ ჯგუფს სწორედ მამაშე-
ნი ხელმძღვანელობდა. ჩვენს მისვლაზე ოლია კლასში დაიძალა. შეჯგუფებულ
ხალხს მამაშენი პირველი მიეჭრა და დაიძახა: გაშევიდეს გარეთ, თვარა ვადა-
ვანგრევე იმ კლასს თავზეო. ხარივით ძალა ქე ჰქონდა და ქეც იზამდა, რომ მოენ-
დომებინა. ძალა-მეთქი, რომ ვამბობ, ძალა, იცოცხლე, ჰქონდა, ძირეულ წიფელან
გვიდობდა მხარზე და წვილებდა.

- ახლა ვერ წვილებს თუ?

- ახლაც წვილებს, ბიძია, მარა სად დადოს, ის არ იცის, ამაშია მაგის სიე-
ლაზე. ახლა ვითომ იძახის, ჭკუაზე მევედიო, მარა ტყუილია მაგი, შტერი იყო
და იმისთანა შტერია დღესაც. ოხრად დარჩება ყველაფერი, თუ ჭკუით არ იქნება,
ჰოდა, ჭკუით თუ იქნება, მაგ პატარა მიწის ნაჭერზე კი არა, პექტარობით მიწაზე
აღარავინ ეტყვის უარს.

სული ყელში მომებჯინა. გულს საშინელი ბაგა-ბუგი გაჰქონდა. მამაჩემს რა-
ღაც დანაშაული რომ მოუძლოდა ვიცოდი, მაგრამ ასე მთლად წყალწაღებული თუ
იყო, მაქიმედა რომ ხატავდა, იმას როგორ გავიფიქრებდი! ახლა გული მამაჩემზე
კი არ მომდიოდა, არამედ მაქიმედაზე. იმ მიწის ნაჭერზე ჩხუბს, რომელსაც ამ-
დენი ხანია მამაჩემს ედავებოდა, თურმე სულ სხვა მიზეზები ჰქონია. მაქიმედა,
როგორც ჩანდა, მამაჩემის გადაბირებას ლამობდა. მამაჩემი ფრთხილობდა. ოც
წელიწადს ჩემი მტერი ვერ მიხვდა, ვისთვის შენდება ამდენი ფაბრიკა-ქარხანა,
სკოლა, საცხოვრებელი სახლი, ელექტროსადგური, გზა, სოფელი და ქალაქი?
ხალხს ბევრი შეძლებიაო, რამდენჯერ წამოსცდენია მამაჩემს. იმ ფრთხილობა-
ფრთხილობაში კარგა ბლომად წლები გავიდა.

- კაცი უნდა იყო, ბიძია, - განაგრძობდა მაქიმედა, - ან იქით უნდა იყო,
ან საქეთ. ხიდი ზომ არ ხარ, გაღმაც იყო და გამოღმაც. ბიჭო, ვეუბნებოდი: ა. ხაზი,
შენ შუა ადგილზე დგახარ. იქით გადახვალ - ბოლშევიკი იქნები, აქეთ გადმოხვალ
მენშევიკი. დადგა ამ შუა ხაზზე, ჩამოყარა ყურები ჯორივით და დგას ისევ იმ
ადგილზე. ბიჭო, ან იქით წადი, ან აქეთ წამოდი. შუალედი, ამ შემთხვევაში, რომ
არ არსებობს, ზომ იცი? ვის ელოდები, ვინ მამაძაღლს ელოდები?

(გაგრძელება იქნება)

ახს

მინაწერი ო. ჭილაძის რომანზე.
 „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“.

თუ დაცხრებიან შენბ ქარები,
 მოიქსოვება სულის ხვეული,
 იცოდე, მერე არ მეფვარები
 შეგუებული და შეჩვეული.

შენ მოვისაჯეს ჩხევალის ხვედრი,
 სათნო და რბილი მოგცეს იერი
 და მოგიჩინეს კაცი, ვით ღმერთი,
 შენზე სუსტი და მაინც ძლიერი.

ყელზე ცღუნების მძიმე ლოდებით
 გადაგატარეს გრძნეულ ნაპრალებს,
 ზერე ღმერთებმა თავის ცოდვები
 და შეცდომები გადაგატარალებს.

შენ კი მარადის დარჩი ნათელი,
 საკუთარ ფიქრის სიწმინდით მოვრალი,
 მარადიული ცეცხლის დამნთები,
 მარადიული ღედა და ქალი.

სხვას რომ ეგონე რჩეული ბედის,
 რადგან გეყარა ღიმილის სურდა,
 შენ ამ ღროს მწარედ გტკიოდა მკერდი
 და საკუთარი სხეული გძულდა.

სად ყვავის უცხო, თეთრი სურვილი,
 რომ გადაღებეს მხდალმა კაცებმა,
 ნუთუ დათმობას ნიშნავს ღუმილი,
 ნუთუ წაქცევაც არის დაცემა...

„მე პურ არ მინდა, დედაო,
წუნელი ცუდ სიზმრებ ვსინჯე...“

დე, ყველაფერი სიზმრით დაიწყო,
ლამემ გადასწას სულის ჭრილობა,
ჩვენი სიმაღლე დღემდე რა იყო, —
მხოლოდ დუმილი და გულგრილობა.

გაწყვეტილია დროის კავშირი,
ყურთან ბალღევით წივის ისარი,
ჩვენ შეგვაჩენეს სისხლით ავსილი
გზა — გაცვეთილი და ნასხვისარი.

აღბათ, მიტომ ვერ დავთმეთ იოლად
ძლივს შერჩენილი ყრობის სურნელი,
აღბათ, ამიტომ მუდამ გვტკიოდა
რადაც, უთქმელი და აუხსნელი.

ვგავდით ბედნიერ ცხოვრების ხიზნებს
დღისით უცხოთ, ჩუმნი, სხვა რჯულნი,
ლამით უცნაურს გვისჯიდა სიზმრებს
სინდისი, ჩვენი მკაცრი მსაჯული.

ხმას მღალაღებლის ბნელი აეკლო,
შემომდგარიყო ნათლის ჭიატი,
ილეწებოდა ძველი სამრეკლო —
პირქუში, ღკაცრი და უჯიათი,

...ჰოი, მაღალნი, რჩებით კეთილნი
ბოლომდე საქმით, ტანჯვით და ლოცვით...
მშობლიურ მთებში გვყავს მოკვეთილი
განათებული ძვალი და ხორცი.

•

მე ვიბადები საკუთარ თავში
საკუთარ ფიქრით, საკუთარ ცრემლით,

მერე ვით თავთუხს, მარწევენ ქარში,
მერე ვით ბალახს, მთიბავენ ცელით.

მაინც ვარ ყველგან, მე მაინც ვწვალობ,
მე მაინც ვცოცხლობ და მაინც ვყვავი,
მე თქვენთვის ვლეწავ ფიქრების კალოს
და თქვენთვის ვთესავ იმედის ყვავილს.

იქნებ ის ცეცხლი არც კი გჭირდებათ
მე რომ მოვსტაცე ღმერთებს წვალებით,
იქნება ვინჩე მზეებს გპირდებათ
და მეოცნებე ყრმა გებრალეობით.

ის ვარსკვლავებიც, მე რომ ვითვალე,
იქნებ მართო ჩემს ცაზე იზრდება...
მაშინ ღვთიური ჩემი სიმთვრალეც
გადააბრალეთ ღვინოს ფხიზლებზეა.





ჩუმად ვაგროვებ სულში ნიავებს,
ხაფანგით ვიჭერ წვიმებს და ქარებს,
და უვზოობის ყველა სიავეს
შენზე ოცნებით ეუსწორებ თვალებს.

არის ტკივილი და გამარჯვება,
და არის მარცხი — ღიმით ფარული.
ხსოვნას ჰკიდია ბრილიანტებად
წამების სითბო და სიყვარული.

მას, რასაც ვმაღავ და ვეფარები,
მე მხოლოდ ნამდვილ გრიგალში გეტყვი...
და ჩვერა, მოვლენ სხვა გრიგალები
სულ სხვანაირი ღრუბლით და სეტყვით.

მერე ჩვენ ვივლით ჩემს ნაპოვნ გზაზე.
ქარი აგიშლის შავლევ დაღალებს,
და ემსხვერპლება შენს სილამაზეს
ჩემი წუხილი და სივალაღე.

ჯერ კი ვაგროვებ სულში ნიავებს...



შენ, სულო ჩემო.
მე როდესაც ბალახად მოვალ,
იქნებ თმაქოჩორა ბავშვში ჩასახლებულმა,
ჩამომიქროლო და ვერც კი იგრძნო,
რომ ერთ ღროს შენი სხეული ვიყავ.
მე ვიშრიალებ, ვიშრიალებ, ვიშრიალებ....

ამირან, ცოლ-დედა მკვდარო,
ომი ვერ იცი კილოსა,
მაღლა რათა სცემ სპილოსა,
დაბლა შემოჰკარ რბილოსა.

ხალხური

სამზღვართან ბედმა მიყელა,
იქნა ფარ-შუბის ზრიალი,
ათგან დამჩეხა უწყალომ,
სისხლი გადმოძღის ჩხრიალით.
ყაძარ ყამარობს, მომკივის:
„ომი ვერ იცი კილოსა,
მაღლა რადა სცემ სპილოსა,
დაბლა შემოჰკარ რბილოსა.“
თავში ვუმიზნებ სატევარს,
შუბ ტყდება ფარზე ნახალი.
ათჯერაც კიდეც გამიხსნა
ჭრილობა ახალ-ახალი.
ისევ მომკივის ყამარი:
„ომი ვერ იცი კილოსა...“
მაინც მაღლა ვცემ სპილოსა,
ძირს არ შემოვკრავ რბილოსა.
„რბილსა კერა რომ სჯობს, მეც ვიცი,
მაგრამ წახდება მკლავია,
შენ ნუ მასწავლი ოლონდაც,
ჯანდაბას ჩემი თავია.“

●

თოვს... ვერაფრით ვერ აჩნდება თოვლი
ამ ნაწვიმარ, ამ ღატბორილ ქუჩებს,
შენზე ვფიქრობ, სინანული მტანჯავს,
ნეტა როგორ შეგაყვარო თავი?
თოვს... ვერაფრით ვერ აჩნდება თოვლი.
ამ ნაწვიმარ, ამ ღატბორილ ქუჩებს.



ნაპირს პეპრებს... შპორში

ადამიანი ძველ დროშიც უფროთილდებოდა გარემოს, თუმცა ატმოსფეროს, ტყეს, მიწას, წყალს მაშინ, ფაქტიურად, ისეთი საშიშროება, როგორც ახლა, არ ემუქრებოდა.

საქართველო ერთი პირველთაგანია, სადაც ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი შეიქმნა, აჭარაში კი ზონალური ინსპექცია. შემდეგ მიღებულ იქნა კანონი ბუნების დაცვის შესახებ, ხოლო 1981 წელს ჩამოყალიბდა საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქზღვისნაპირდაცვა“, რომელიც პირველია საბჭოთა კავშირში. ამას მოჰყვა სპეციალიზებული მოძრა-ჰექანიზებული გოლონისა და რეჟიმის განსაზღვრელი ლაბორატორიის დაარსება აჭარაში. მათი ამოცანაა მიწისა და მისი წიაღის, წყლების რესურსების, ჰაერის, ტყის, მთელი ფლორისა და ფაუნის დაცვა, სტიქიურ მოვლენასთან ბრძოლის პრობლემები. ერთი სიტყვით, ბუნების დაცვის ორგანოების მუშაეები უნდა იყვნენ ყველგან, სადაც ბინძურდება წყალი, იღუპება ტყე, ირღვევა ბუნებრივი ლანდშაფტები, საფრთხე ექმნება ნადირობრიველს, თევზებს, ისინი პირველი უნდა გამოჩნდნენ იქ, სადაც მეწყერი, ღვარცოფი და წყალდიდობაა, სადაც ირღვევა ეკოლოგიური წონასწორობა, საფრთხე ექმნება ბუნებას.

რა გავითდა ამ მხრივ ჩვენს ავტონომიურ რესპუბლიკაში, განსაკუთრებით ზღვის ნაპირის წარეცხვისაგან დასაცავად?

აჭარის ზღვისპირი განთქმულია ჯანსაღი ჰავით, მარადმწვანე ბუნებით, აქ ბევრია ისტორიული ძეგლი, ჩვენი მხარე უნიკალური მნიშვნელობის საკურორტო ზონას განეკუთვნება, აქ ყოველწლიურად 350 ათასამდე დამსვენებელი, ტურისტი ჩამოდის.

ერთი სიტყვით, ზღვისპირა აჭარა მთელი ჩვენი ქვეყნის თვალმარგალიტია. და ამდენად, ბუნების დასაცავი ღონისძიებები მეტი პასუხისმგებლობით უნდა წარემართოთ. განსაკუთრებით ბევრი გემართებს ზღვის სანაპიროს წარეცხვისაგან დასაცავად. აქ განლაგებული კურორტების პოპულარობას სწორედ განიური ქვიწნარ-კენწნარი პლაჟები განსაზღვრავს, რომლებიც არამარტო ადამიანის დასვენების ორგანიზაციის საჭირო ელემენტია, არამედ ზღვისა და ხმელეთის თანამოქმედების თვითრეგულირების ბუნებრივ საშუალებასაც წარმოადგენს.

აი, სწორედ ამ თვითრეგულირების რეჟიმის დარღვევამ შავი ზღვის სანაპიროზე განსაკუთრებით სოფელ ადლიაში, მახინჯაურში, ჩაქვსა და ქობულეთში ამ ბოლო 100 წლის განმავლობაში კატასტროფული ხასიათი მიიღო. ეს გამოიწვია როგორც ბუნებრივმა ცვლილებებმა, ისე ხელოვნურმა ზემოქმედებამ. მდინარეთა კალაპოტებში, ზღვის ნაპირებიდან და თვით ზღვიდან მტაცებლურად ამოჰქონდათ სილა და ხრეში, ესე იგი ზღვას იმასაც ვართმევდით, რაც მას ბუნებრივი ბალანსირებისათვის სჭირდებოდა. მართალია, ხელოვნური ნაპირსამაგრი ზღვამ ყველგან ვერ დაანგრია, მაგრამ, სამაგიეროდ, მიწა სხვაგან მოგვტაცა. ასე რომ, ჩანალექი ქვის, ლორისა და სილის ნაქმ-

ზობის გამო ზღვამ რეგულირება ვერ გაუწია სტაბილურობასა და შემოგვითა, შტორმები ხსენებულ ადგილებში საშიში შეიქმნა.

1982 წლის დეკემბერში პარტიის აპარის საოლქო კომიტეტმა, მინისტრთა საბჭომ და საქართველოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტმა განიხილეს აჭარაში ბუნების დაცვის გაძლიერებისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების გაუმჯობესების ვადაუდებელ ღონისძიებათა საკითხი. აღინიშნა, რომ ამ მიმართებით შესამჩნევად გარდაქმნეს მუშაობა ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, ბუნების დაცვის აპარის ზონალურმა ინსპექციამ, პილრომეტეოროლოგიურმა სამსახურმა, ბუნების დაცვის აპარის საზოგადოების პრეზიდიუმმა, რიგმა სამინისტროებმა.

ამასთან დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ „საჭირო ყურადღება არ ეთმობა აჭარის ფარგლებში შავი ზღვისა და მდინარე აჭარისწყლის ხეობის დაცვას, რის გამოც ნაპირები ინტენსიურად ირეცხება და ინგრევა“. ამიტომაც აჭარის სპეციალიზებულ მოძრა-მეცნიერებულ კოლონას დაევალი უზრუნველყოს ზღვის ნაპირსამაგრი სამუშაოების შესასრულებლად გამოყოფილი კაპიტალური დაბანდების მთლიანად ათვისება. ამ დადგენილებით დასახულ ღონისძიებათა განხორციელებაზე კონტროლის გასაწევად შეიქმნა საგანგებო რესპუბლიკური კომისია.

ამრიგად, დაისახა ქმედითი ღონისძიებანი ზღვასა და ნაპირს შორის სტაბილური წონასწორობის აღსადგენად. საერთოდ, დადგენილია, რომ ზღვა არაფერს დაგვითმობს: აქ წაართმევ, იქ „შურს“ იძიებს და მიწას მოგვტაცებს, მდინარეთა ჩამონატანით კი თავად „აგებს“ ნაპირს. აკი, ბათუმი და მიმდებარე ტერიტორია სწორედ ჭოროხის მიერ ჩამოტანილმა ქვა-ლორღმა და სილამ წარმოშვა. ბევრს ახსოვს, რომ ბათუმში ზღვა სასტუმრო „ინტურისტამდე“ და პედინსტიტუტამდე აღწევდა.

ცნობრებამ და დაკვირვებამ სპეციალისტები დაარწმუნა, რომ წარსული გამოცდილების მეცნიერული გააზრება, შესწავლა და ანალიზი აუცილებელია სწორი და ოპტიმალური გზებისა და პერსპექტივების დასადგენად. ჯერ კიდევ 30-იან წლებში ბათუმელი ინჟინერი დ. სვიშვესკი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ზღვის ხმელეთზე ზემოქმედებისას მხედველობაში უნდა მივიღოთ მდინარეთა დელტის ცვალებადობა, ჩატანილი ქვა-ლორღის რაოდენობა, დელტისა და ქარების სიხშირე, მათი ძალა და მიმართულება, ზღვის სიღრმე, სხვა ფაქტორები, თავისებურებანი და კანონზომიერებანი.

50-იან წლებში ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატმა ვ. ზენკევიჩმა პირველმა გახედულად თქვა, რომ საქართველოს, კერძოდ, აჭარის სანაპიროზე წონასწორობის აღსადგენად საჭიროა ზღვაში ხელოვნურად შევიტანოთ ქვიშა. ეს აზრი გაიზიარა აკადემიკოსმა თ. დავითაიამ, მაგრამ პრაქტიკულად ამ მიმართებით არაფერი გაკეთებულა. რკინა-ბეტონისა ცოცხლთვის არ შეუძლია აბობოქრებული ზღვის დამორჩილება და, აბა, კენჭები რაღას იზამენო, ამბობდნენ სკეპტიკოსები.

გამოხდა ხანი. ზღვამ ძლიერ შეუტია გაგრა-ბიჭვინთის სანაპიროს. მდგომარეობა საგანგაშო გახდა. აი, სწორედ მაშინ გამოიყენეს ზენკევიჩის მეთოდი. შტორმის წინ ავტომატურად და კარაპეებით ნაპირთან დიდი რაოდენობით მიზიდეს ქვა-ლორღი. შტორმის ჩაცხრომის შემდეგ შემოწმებით დადასტურდა, რომ ზღვას ქვები თანაბრად განლაგებინა პლაჟზე, ახალი მიწები აღარ წაუღია, ხელოვნურად მიწოდებულთ დაკმაყოფილდა. ასე, ტალღების ენერგიის დახმარებით, აღადგინეს გაგრა-ბიჭვინთის სანაპირო 20 კილომეტრზე.

ამ ექსპერიმენტმა მეცნიერები საბოლოოდ დაარწმუნა, რომ ზღვის დამანგრეველი ზემოქმედება უფრო ადვილად აღიკვეთება, თუ მას დაუბრუნებთ წართმეულ ქვასა და სილას, ვიდრე ბეტონის ჯებირებისა და კედლების აგებით, ამასთან სამუშაოები ბევრად იაფი დაჯდება და ლანდშაფტიც შეინარჩუნებს ბუნებრივ სახეს, ასე მიეცა დასაბამი

ნაპირების „მკურნალობის“ პროგრესულ მეთოდს — ზღვის ხელოვნურ კვებას ქვე-
ლორით.

სამისოდ გაერთიანება „საქზღვანაპირდაცვამ“ მოაწყო თემატური ლაბორატორია და რეჟიმის კვლევის სადგური; შეისწავლეს ნაპირის გასწვრივი ნაკადები და მდინარე-თა ნარიყის ბალანსი, განსაზღვრეს „კვების“ მასალა და მოცულობა თითოეული უბნი-სათვის, მოახდინეს დაცვის მეთოდების ღირებულებისა და გამოდგომით აკონტრო-ლებენ მათი გამოყენების ტექნოლოგიასა და ხარისხს. ამ სამუშაოს ერთობლივად ასრუ-ლებენ ოკეანოლოგები და გეოგრაფები, ჰიდრაულიკოსები და ფიზიკოსები, მათემატი-კოსები და ინჟინრები.

ქართველ მეცნიერთა და სპეციალისტთა გამოცდილება მოიწონა საბჭოთა ოკეა-ნოლოგების მეორე ყრილობამ, წელს ისინი კონსულტაციისათვის სახალწოდ მიიწვი-ეს. საქართველოში ნაპირდამცავ სამუშაოებს მაღალი შეფასება მისცეს საზღვარგა-რეთელმა სპეციალისტებმაც. ეს სიამაყის გრძნობით ითქვა საქართველოს მეცნიერებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის რესპუბლიკური საკოორდინაციო გამსვლელ გა-ფართოებულ სხდომაზე, რომელიც ამას წინათ გაიმართა გაგრანში.

სხდომაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. შევარდნაძემ. მან ილაპარაკა ზღვის ეკოლოგიის, გარემოს გაჭუტყუიანები-საგან დაცვის, ბუნების აღდგენა-განვითარების პრობლემებზე.

ნაპირის ინტენსიური წარეცხვის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, აღინიშნა სხდომა-ზე, მოუფიქრებელი აქტიური სამეურნეო საქმიანობა, როცა ამ სულ ცოტა ხნის წი-ნათ თითქმის ყველა სამშენებლო ორგანიზაცია ამჯობინებდა ინერტული მასალა მოე-პოვებინა მდინარეების კალაპოტში და პირდაპირ ზღვის ნაპირიდან. ეს მაშინ, როდე-საც ყოველი 150-200 ათასი კუბური მეტრი ბალასტი ერთი კილომეტრი განიერ ტალღათჩამქრობი პლაჟის ტოლფასია.

ამხანაგმა ე. შევარდნაძემ მიზანშეწონილად მიიჩნია საქართველოს სახალხო კონ-ტროლის კომიტეტის წინადადების შესწავლა იმის თაობაზე, რომ ბუნების დაცვის კანონმდებლობაში შეტანილ იქნეს შესაბამისი დამატება სისხლის სამართლის პასუ-ხისმგებლობაში იმ საწარმო-ორგანიზაციათა ხელმძღვანელების მიცემის შესახებ, რომლებიც შავი ზღვის ნაპირებიდან უკანონოდ იღებდნენ ქვიშა-ხრეშის მასალას; შევხო 1981 წელს შექმნილი სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების „საქზღვისნაპირ-დაცვის“ საქმიანობასაც, პერსპექტივებს ამ დარგში. ასეთი გაერთიანების შექმნამ სათავე დაუდო პრინციპულად ახალ ეტაპს — წარეცხვისაგან ზღვის სანაპიროს და-საცავად წარმართულ მუშაობას, ბევრგან აღსდგა სანაპირო ტალღათჩამქრობი ქვიშა-ხრეშის ზოლები, რის შედეგად მნიშვნელოვნად იკლო შტორმებით გამოწვეულმა ზა-რალმა. ერთი კილომეტრი ნაპირის დაცვის საშუალო ღირებულება ახლა ორჯერ უფ-რო იაფი დაჯდება. ამას მივალწვეთ ზღვისა და ხმელეთის თანამოქმედების თვითრე-გულიანობით, რაც საშუალებას მოგვცემს მკვეთრად შევამციროთ ნაპირსამაგარ ნაგე-ბობათა მშენებლობის მოცულობა, მამასადამე, მწვავედ ფონდირებული საშენი მასა-ლების ხარჯვაც.

ამ პრობლემის შუქზე გავეცანით აჭარის სპეციალიზებული მოძრავ-მექანიზებუ-ლი კოლონის კოლექტივების საქმიანობას, პერსპექტივებს.

კოლონა 1981 წლის 20 დეკემბერს შეიქმნა, მაგრამ საბოლოო სახით მომდევნო წლის პირველ მარტს ჩამოყალიბდა. — გასაგებია, ზღვის სანაპირო ზოლის დაცვა-აღდგენა დაგეგვალა, — გვითხრა, კოლონის უფროსმა შ. ფაღავამ. მაგრამ, ალბათ, გა-გვივებთ, რომ ჯებირები კი არ უნდა აგვეშენებინა, ისე როგორც ამას „ნოვოროსისკ-მორსტროის“ ბათუმის მე-20 მცურავი რაზმი აკეთებს, არამედ ზღვაში ქვა-ლორღი ხელოვნურად შეგვეტანა. სამისოდ გამოგვიყვეს 12 თვითმფლავი, ხუთიც წელს მი-

ვიღეთ. გვაბარია აგრეთვე ორი სატვირთო ავტომანქანა, სამი ბულდოზერი, ორი მა-
ლაშქარმშენებლური მუხლუხა ექსკავატორი, საწვავმზიდი და ტრაქტორი „ქირვეტი“
ტრალერით ტექნიკის გადასატანად.

შემდეგ ჭოროხის დელტაში, გონიოს ხიდის მარჯვენა ქვემო წელში ჩადგეს
მცურავი მიწისსაწოვი, რომელსაც თავისივე მილით დელტიდან 1.200 მეტრზე გადა-
აქვს შეწოვილი მასალა, აქედან მას ავტომანქანებით ეზიდებიან და აქვე ადლიისა და
მახინჯაურის სანაპიროზე ყრიან, საიდანაც ტრაქტორებით ზღვაში ჩააქვთ, ადლიაში
ასე უკვე ჩაყარეს 180 ათასი კუბური მეტრი, — ბევრად მეტი, ვიდრე ჭოროხს შეეძ-
ლო მოეტანა ეს, ცხადია, არაა საკმარისი. ამ უბანში ზღვის საბოლოო „დასამშვიდებ-
ლად“ გასაყვებელი ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს.

როგორც ცნობილია, ჭოროხის შესართავში არის წყალქვეშა უფსკრული. მდინა-
რის მიერ ჩამოტანილი ქვა-ღორღის 95 პროცენტი სწორედ მასში იყარება. ამდე-
ნად, ქვა-ღორღის ამოღება გამართლებულია.

ხელოვნურ კალაპოტში ჩაგდება და დელტის შევიწროებამ ჭოროხი წყალდიდო-
ბის პერიოდში უფრო გააშმაგა, მეტი სისწრაფე შესძინა მას, ამიტომაც ნარიყი უფს-
კრულში ჩააქვს. ჯებირის აგებამდე, რასაკვირველია, მდინარე გაშლილი იყო, ამას-
თან წყალდიდობისას ნაპირს გადადიოდა და ქვაღორღის ნაწილი ადლიისაკენ გამო-
ჰქონდა. ასე რომ ახლა ნარიყი ჭოროხსა და ზღვას ნაწილობრივადც ვერ გააქვს ბა-
თუმისაკენ, იგი მთლიანად უფსკრულში იყარება. ამასთან დადგენილია, რომ ჭო-
როხს ყოველწლიურად ზღვაში ჩააქვს სამ მილიონზე მეტი კუბური მეტრი ნარიყი,
ხოლო ამოიღება 500 ათასი.

ახლა იმაზე, თუ რატომ ავტომანქანებით გადაზიდავენ. სილა და ქვები ზღვას
ნაწილობრივ მართლაც გადააქვს ბათუმისაკენ, მაგრამ აქაც უფსკრული და ნავსად-
გური უშლის ხელს. ამიტომაც ქვა თუ სილა მახინჯაურობდნენ ვერ აღწევს, ბათუმის
ჭურის უფსკრულში იყარება. ასე რომ არ მოხდეს, რეჟიმის შემსწავლელი ბათუმის
ლაბორატორია, რომელსაც კატარღები აბარია, აყავს მყვინთავებიც, პერიოდულად
ამოწმებს ადლიაში ხელოვნურად ჩაყრილ ქვა-ღორღის თავმოყრას ბათუმის სტადი-
ონთან, — ესე იგი, უფსკრულის წინ, აქ ამოღებული ქვა-ღორღი მახინჯაურში
გადააქვთ. ამდენად, ნათელია, რომ ადლიაში ქვა-ღორღი არ კავდება, საჭიროა მისი
აქ პერიოდულად ჩაყრა, ხოლო სტადიონთან ასევე პერიოდულად ამოღება და მახინ-
ჯაურში გადატანა.

ერთი სიტყვით. ისე თუ ასე, ადლია-მახინჯაურის სანაპიროს დაცვა-აღდგენა ხე-
რხდება, მაგრამ ჩაქვსა თუ ქობულეთში საჭირო რაოდენობის ქვა-ღორღის ჩატანა
ავტომანქანებით ფაქტიურად შეუძლებელია. ჯერ ერთი, საჭირო იქნება ასობით თვით-
მცლელი, ამასთან ეს გამოიწვევდა გზის გადატვირთვას, დიდ ხარჯებს, ამიტომაც გა-
დაწვევტეს გამოყენებინათ წყალსაცურავი საშუალებანი, კერძოდ, მიწახაპია გემი
და შალანდები, დახმარებისათვის შავი ზღვის სანაოსნოს მიმართეს. სანაოსნოს უფრო-
სის მოადგილემ, ბათუმელმა ო. ამბარიანმა დახმარების ხელ გამოგვიწვოდა, არენდის წე-
სით გამოგვიყვანა მიწახაპია და სამი შალანდა. მიწახაპია შესართავის მარჯვენა ნაპირზე
დააყენეს, შალანდები მიუჩინეს და სამცხლიანი მუშაობა გააჩაღეს, მიწახაპიას ყოველ
საათში ზღვიდან ამოაქვს 500 კუბური მეტრი სილა-ქვა და შალანდებში ტვირთავს.
შალანდებს აქვს თვითსაცლელი მოწყობილობანი, რაც აადვილებს შრომას, მასალას
პირდაპირ, მექანიზმების დაუხმარებლად ნაპირთან ახლოს ცლიან. შტორმის დროს
ტალღები თავად ღანტავს მასალას, ნაწილს ნაპირსაც აყრის.

შალანდები სამ ცელაში ოთხჯერ ჩადიან ქობულეთში და 6-7 ათასი კუბური მეტ-
რი ჩააქვთ. ამ რაოდენობის ქვა-სილის ერთ ცელაში გადატანას 750 თვითმცლელი
შაინც დასჭირდებოდა. ასე დაზოგეს დიდძალი თანხა, დააჩქარეს ზღვის ნაპირის დაც-

გა-აღდგენის სამუშაოები, ამიტომაც დაგეგმილია, რომ მომავალშიც გამოიყოს სათანადო ტექნიკა, ოღონდ ხრეშის ახლანდელ ადგილზე ამოღება გამართლებული არის აზრი, მიწახაზია კოროხში შევაცუროთ და ხრეში ნაპირთან ამოვიღოთ, რომელსაც იქვე შალანდებში ჩავტვირთავთ. სხვები, კერძოდ, ჩვენ ვამჯობინებთ კიდევერთი მიწის საწოლის ჩადგმას და ხრეშის პომპებით, ანუ გამწოვი მილებით ან საბაგირო გზებით შალანდებში ჩატვირთვას. მართალია, ამ მეთოდით მაღალ მწარმოებლობას ვერ მივაღწევთ, მაგრამ უფრო მოხერხებული და საიმედო გვეჩვენება, ამასთან აღარ დაგვიკირდება 32-კაციანი მიწახაზია გემი.

ამ საკითხზე იმსჯელეს მე-15 საუწყებო და პირველ რესპუბლიკურ კონფერენციაზე, რომელიც ბათუმში გაიმართა და ზღვისნაპირსამაგრი სამუშაოების საკითხებს მიეძღვნა. მალე საბოლოო გადაწყვეტილებასაც გამოიტანენ.

და მაინც ნაპირების აღდგენას 5-6 წელი დასჭირდება. კოროხთან უნდა ამოიღონ და ჩაქვის, ქობულეთის სანაპიროსთან ჩაყარონ 4 მილიონი კუბური მეტრი ქვა-ღორღი. მაშინ შტორმი საფრთხეს არ შეგვიქმნის, აღდგება პლაჟი, იგი იქნება უკეთესი, კენჭიანი.

როგორც აჭარის ბუნების დაცვის ზონალური ინსპექციის მთავარმა ინჟინერმა, ნიადამცოდნე ბ. ხალვაშმა და აჭარის სპეციალიზებული მოძრავ-მექანიზებული კოლონის მთავარმა ინჟინერმა თ. სანიციძემ გვითხრეს, ნაპირის აღდგენის გარდა ჩვენი რესპუბლიკის სამშენებლო ორგანიზაციებს ზღვის ქვა-ღორღით ამარაგებენ. მთავარი ამოცანა კი, რასაკვირველია, ის არის, რომ აღადგინონ ბუნების მიერ დაკანონებული საუკუნოვანი წონასწორობა ზღვასა და ნაპირს შორის, დაუბრუნონ პლაჟებს, მიმდებარე ტერიტორიას ძველი იერი.

ჩვენი, აზრით, ასევე საჭიროა დავკანონოთ რეგულირება ქვა-ღორღის ამოღებაზე კოროხის დელტიდან. ამოღება უნდა მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ ნაპირდაცვასა და წყალთა მეურნეობის შესაბამისი სამსახურების სანქციით. დაუშვებელია ქვა-ღორღის თვინეობური, უსისტემო ამოღება.

ბუნების დაცვა, მისდამი მზრუნველი დამოკიდებულება ყოველი საბჭოთა ადამიანის კონსტიტუციური ვალი და მოვალეობაა.

გაგრაში გამართულ სხდომაზე ამხ. ე. შევარდაძემ თქვა: „ჩვენ მოვალენი, ვალდებულნი ვართ არა მარტო შევინარჩუნოთ ის, რაც წინა თაობებმა გადმოგვიტოვეს, არამედ ვამრავლოთ კიდევე ბუნებრივი სიმდიდრენი, გადავცეთ ისინი ჩვენს შვილებს კიდევე უფრო გამშვენიერებული და განახლებული. სწორედ ამიტომ მოვეუწოდებთ დღეს ამ ტრიბუნიდან პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების ყველა ხელმძღვანელს, პროფკავშირულ ორგანიზაციებს, ჩვენს ახალგაზრდა თაობას — კომკავშირელებსა და პიონერებს — გიყვარდეთ, გაუფრთხილდით და ამრავლეთ მშობელი ბუნება, ყველაფერი იღონეთ, რათა კიდევე უფრო მშვენიერი გახდეს ჩვენი მზიურ რესპუბლიკის ყოველი კუთხე.

ჩვენ ყველაფერი უნდა ვიღონოთ საიმისოდ, რომ გარემოს დაცვის საკითხები რესპუბლიკაში წყდებოდეს დიდი პარტიული და სახელმწიფო ამოცანების დონეზე, რომ ამ საქმეშიც შევძლოთ დავლშპრით მოწინავე პოზიციები ქვეყანაში, ვამრავლოთ ჩვენი დიდი სამშობლოს ფასდაუდებელი სიმდიდრენი“.

იხმეთ ღიასამიძე,

აჭარის პილრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის დირექტორი,
გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატი,

იოსებ ზაქიროზვილი

პოეტი - ჯარისკაცი

საქართველოს მწერალთა კავშირის სასახლეზე მემორიალურ დაფაზე ამოკვეთილია დიდ სამამულო ომში დაღუპული ახალგაზრდა ქართველი მწერლების სახელები, რომელთა შორისაა შალვა იოსელიანიც. წელს მის დაბადების 70 წლისთავი შეუსრულდა.

ბათუმში იზრდებოდა და იწრთობოდა ქაბუკი პატრიოტი. სკოლის მეგობრებს გვახსოვს მისი გატაცება ხელოვნებითა და პოეზიით. შალვას ინიციატივით იმართებოდა ლიტერატურული საღამოები, იდგმებოდა სპექტაკლები, რომელშიც თვითონაც მონაწილეობდა. ახლაც თვალწინ მიდგას შალვა არსენა ჭორჯიაშვილის როლში.

იგი სკოლის მერხიდანვე გაიტაცა პოეზიამ, ხალსი ნიჭით დაჯილდოებული მგოსანი მომხიბლავად უმღეროდა საქართველოს წარმატებებს, მის შრომისმოყვარეობას.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ შალვამ სწავლა პუშკინის სახელობის თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტში განაგრძო, რომელსაც წარმატებით ამთავრებს 1939 წელს და ისევ მშობლიურ ქალაქს უბრუნდება, გატაცებით ებმება ლიტერატურულ საქმიანობაში. იგი სხვადასხვა დროს მუშაობდა აჭარის რადიომაუწყებლობის კომიტეტის ლიტერატურულ განყოფილებაში, აჭარის ხელოვნების კომიტეტის განყოფილებაში გამგედ, ბათუმის მასწავლებლის სახლის დირექტორად.

მისი ლექსები სისტემატურად იბეჭდებოდა ჟურნალ-გაზეთებში. პოეტის შემოქმედების მთავარი თემა მშობელი ხალხის შრომითი შემართებაა.

თენდება. ქარი წილს გადაიტანს
ფოლადის მკლავი იწყებს ლაშქრობას,
მზეც ვერ აასწრებს საზუდარიდან
საბჭოთა ქვეყნის ახალგაზრდობას.

ასევე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მის პოეზიაში რევოლუციური მოძრაობის თემატიკას, ბათუმის პროლეტარიატის ბრძოლას თვითმპყრობელური რეჟიმის წინააღმდეგ, პოეტმა მძაფრ ფერებში ასახა ამ ბრძოლის სურათები და ნათლად დავიხსოვება ის შედეგები, რაც მუშათა კლასმა გმირული ბრძოლით მოიპოვა.

პოეტი მუდამ თავისი ხალხის გულისტყმას გამოხატავდა და გატაცებით უმღეროდა სამშობლოს წინსვლას.

რა არის ჩემში, რომ არ იწვოდეს,
არ ენთებოდეს გულში მალიმალ!
ამ ზღვამ, ამ მთებმა, ამ ხემ იცოდეს,
რომ მე გმირობის მომღერალი ვარ.
ჩვენ დავიბადეთ ოქტომბრის მზესთან,
არ დაგვფენია დარდი ჩრდილებად.
და ჩემი ქვეყნის თვითეულ ხესთან
ვგრძნობ ეპოქების დამორჩილებას.

პოეტმა არაერთი ლექსი მიუძღვნა წარმოების ნოვატორებს თუ საკოლმეურნეო შრომის წარჩინებულ ადამიანებს, უმღერა პირველ აჭარელ მფრინავ ქალს ფადიკო გუგუშვიტს, საკოლმეურნეო მოძრაობის ნოვატორებს აიშე გურგენიძეს, არონ კატასა და სხვებს.

შ. იოსელიანი აქტიურად მონაწილეობდა აჭარის ლიტერატურულ ცხოვრებაში. მასსოვს მისი ტემპერამენტის გამოხატულები. სასიამოვნო ხმა ჰქონდა და ლექსს კითხულობდა არტისტული მგზნებარებით.

ის იყო, შალვა იოსელიანის ლექსების და პოემების მესამე წიგნი გამოვიდა, რომ სამშობლოს ცაზე ომის შავი ღრუბლები გამოჩნდა. როგორც კი ომი დაიწყო პოეტი-პატრიოტი გამოეთხოვა საყვარელ ოჯახს, მშობლიურ ქალაქს. დიახ, ყველაფერს გამოეთხოვა. კალამი შაშხანით შესცვალა და საბრძოლო დევიზად. წაიძღვარა ომის წინა დღეებში სამშობლოსადმი მიძღვნილი ლექსის სტრუქტურები:

თუ დაგჭირდეს მაინც — ვინძლო,
და მოადგეს მტერი კარებს,
ჩემო დედავ, ჩემო ღვიძლო
ჩემი მკერდიც გადიფარე.

სამშობლოს სიყვარულით გულანთებული ჭაბუკი ფრონტზე წასვლის წინ წერდა:

ბავშვობის დღიდან კვალდაკვალ გდევდა
გმირობის ცეცხლი ჩაუქრობელი,
ჩემს ვაჟკაცობას მოესწრო დედა,
მამულისათვის მზრდიდა მშობელი.
და მეც მოვიფარე, მტერო ტიალო,
მოვდივარ რისხვით, ვით ქარიშხალი,
რომ შენს გულ-ღვიძლში დავატრიალო
სააკადის და ერეკლეს სმალი.

სამშობლოსადმი მიცემული ფიცის ერთგული მეომარი მამაცურად იბრძვის მოსკოვის მისადგომებთან:

სიკედლიდან პირისპირ დგომა, ფრონტული ჭირვარამი, პოეტმა შესანიშნავად გადმოსცა ლექსში „ამდგარა ხალხი“.

ახლა, ძვირფასო, ბრძოლა გვჭირდება
და შაშხანაზე ფიქრის განდობა.
ბრძოლების შემდეგ უფრო ტკბილია
სიყვარული და ახალგაზრდობა.

ყურადღებას იმსახურებს უშუალოდ ბრძოლის ველზე დაბადებული სტრუქტურები. ქარში, ყინვაში, სანგრებში, ტყეების წვიმაში გატარებული მოუხვენარი დღეები აწრთობს და აფუკაცებს პოეტს. კიდევ უფრო მაღლდება ოსტატობა, იხეწება და ყალიბდება მისი პოეტური სტილი. მაღალი მორალური სულისკეთებითაა არის ამაღლებული ყველა ლექსი. გამოთქმულია ურყევი რწმენა ჩვენი დიდი გამარჯვებისა.

1942 წლის მიმდებარე დღეებში შალვა იოსელიანი ყირიმის ფრონტზეა. ინიშნება ბატალიონის კომისარად, მონაწილეობს ყირიმის და ქერჩის სადესანტო ოპერაციაში, რომელიც 1941-1942 წლების ზამთრის სუსხიან დღეებში განხორციელდა. ქარბუქში, საშინელ ყინვაში მოუხდათ ჩვენს მებრძოლებს შეტაკება მტრის გამოწრთობილ დივიზიებთან. სამშობლოს სიყვარულით გულანთებულმა პატრიოტებმა შესძლეს სიძნელეთა გადალახვა, მტრის არტილერიისა და ნაღმტყორცნების ძლიერი ცეცხლის

ჩაქრობა, ფაშისტები დაკავებული პოზიციებიდანაც გარეკეს. შ. იოსელიანმა ამ ბრძოლაში თავი გამოიჩინა და მეთაურთა ყურადღებაც დაიმსახურა, მისი საბრძოლო დედაქანა იყო „სამშობლო და გამარჯვება“.

ომის ქარ-ცეცხლში მყოფს შუქურად ესახება ქართველი დედის წმინდა მანდილი, იგი სიამაყით აუწყებს დელას

ახლა ყრმის გული მიცემს მაღიმავს,
რომ დავსცე მტერი სახსლში ნაბანი,
დაუნდობელი ქარიშხალი ვარ,
სამშობლოს ერთი ლომგულთაგანი.
დამხვდით ყოჩაღად, კოცნას ვაბარებ
ფრონტზე დაწერილ ქაღალდის ნახევს.
მტერს მივარღვევ და მკერდით ვატარებ
მარად საყვარელ სამშობლოს სახელს.

ქერჩის ტრაგედია ვის არ ახსოვს, ვის არ აღელვებდა იმ ქარცეცხლიან დღეთა გახსენება, როცა მრავალეროვანი საბჭოთა ქვეყნის საუკეთესო შვილებთან ერთად, ქართველი ხალხის ათასობით წარგზავნილიც თავგანწირვით იბრძოდა და მუსრს ავლებდა გამხვდებულ ფაშისტებს. ბევრი დაეცა უთანასწორო ბრძოლაში. შალვა იოსელიანის მგზნებარე სიცოცხლესაც აქ დაესვა წერტილი. იგი ერთ-ერთ ხელჩარ-ფულ ბრძოლაში მძიმედ დაიჭრა, მან უკანასკნელი ძალა მოიკრიბა და მოძალადე ფაშისტი სიცოცხლეს გამოასალმა, მაგრამ თვითონაც დაეცა მტრის ტყვეთი გულ-განგმირული. პატრიოტი პოეტი წარბშეუხრელად შეხვდა სიკვდილს.

ყირიმის მიწაზე, ძმათა სასაფლაოზე, რომელიც გაჟღეხილია ათასობით სამშობლოსადმი თავდადებული პატრიოტის სისხლით, სამუდამოდ დაესახლა ჩვენი პოეტი. მას ეწადა ბევრი ეთქვა, ცოტა კი თქვა, მაგრამ რაც თქვა გულის წადილით ამოთქვა და დაუტოვა მომავალ თაობას.

ამ რამდენიმე წლის წინათ გამომცემლობა „საბჭოთა აჭარამ“ გამოსცა შალვა იოსელიანის ლექსთა პატარა კრებული „ვაჟკაცური სიმღერები“, კრებულს წამძღვარებული აქვს პოეტ მაია ვარშანიძის — შალვა იოსელიანის სიყრმის მეგობრის — გულთბილი წერილი.

წიგნში შეტანილია, როგორც ომის დაწყებამდე დაწერილი ლირიკული ლექსები, ისე ფრონტიდან გამოგზავნილი ნაწარმოებები.

ვინც კი წაიკითხავს ამ პატრიოტულ კრებულს, უმაღლეს თვალწინ აღიმართება სამშობლოსათვის თავდადებული კომუნისტის, პოეტი-ჟარისკაცის რაინდის უკეთილშობილესი სახე.

პატივი მივაგოთ სამამულო ომში დაღუპულ ნიჭიერ პოეტს, მოვიგონოთ. დაე, ჩვენს შორის მარად დაუვიწყარი იყოს მისი სახელი!

ზოთა ზაქარიაძე.



რომანოვის გენეზისის საკითხი

კაცობრიობის სულიერი განვითარების ისტორიაში დგება პერიოდები, როცა ძირ-ფესიანად იმსხვრევა ძველი მსოფლგაგება, ფილოსოფიური და ესთეტიკური ცნობე-რების მიერ საუკუნეთა მანძილზე დაგროვილი მასალა იქცევა თვისებრივად ახალ მოვლენად. ქრისტიანული სამყარო იცნობს ერთ-ერთ ასეთ კრიზისულ პერიოდს — რომანტიზმის ხანას, როცა საზოგადოება იძულებული იყო შეეცვალა აზროვნების ორიენტაცია და ახლებური გზით წარემართა ფილოსოფიური და მხატვრული აზროგ-ნება.

გარკვეულ ისტორიულ პერიოდებში ეკონომიკურ-პოლიტიკურ და სოციალურ ძვრებს მოჰყვება საზოგადოების ცნობიერების გარდაქმნაც, დგება ეჭვისა და სკეფსისის ფაზა, როგორც ქვეშაობების ძიების სტიმული, იცვლება ესთეტიკურ ღირებულებათა საზომი. ყოველი ეპოქა უკუაგდებს, შეასწორებს, სრულყოფს ფილოსოფიური და ესთეტიკური ცნობიერების მონაპოვარს, აქვს თავისი ესთეტიკური იდეალები, ქვეშაობ-ების თავისი პრეტენზია. ასე თანდათანობით ხდება ცნობიერების იმ პრინციპთა დაძ-ლევა, რომელთაც ვერ გაუძღეს დროს. ძველი მსოფლგაგებისა და სინამდვილისადმი ესთეტიკური დამოკიდებულების თავისებურებას ცვლის ახალი, უფრო პერსპექტიული, ეპოქისათვის უფრო მისაღები პრინციპები. ასე იქმნება კაცობრიობის სულიერი განვი-თარების მაგისტრალური ნაკადი როგორც საზოგადოების ინტელექტუალური და ესთე-ტიკური ზრდის აუცილებელი პირობა.

ყველა დიდი ეპოქა, რომელიც ამოწურავს ფილოსოფიური და ესთეტიკური ცნო-ბიერების შესაძლებლობებს, უცნობის, იდეალების, ბუნდოვანი მომავლის წინაშე წარდგება, გადის ისტორიის გზაჯვარედინზე და ეძებს შემდგომი განვითარების ახალ გზებს. ასეთ სიტუაციაში აღმოჩნდა ქრისტიანული სამყარო XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე, როცა ცივილიზებული ქვეყნების მიერ დაგროვილი ფილოსოფიური და ესთე-ტიკური ცნობიერების შესაბამისი ტენდენციები ეძებდა გამოვლინების ფორმას, ხოლო რეაქციამ საფრანგეთის 1789-1794 წწ. ბურჟუაზიულ რევოლუციასე და განმანათლებ-ლობაზე მისცა მათ გარკვეული მიმართულება. თუმცა რომანტიზმმა კი გამოიყენა გასულ საუკუნეთა გნოსეოლოგიური და ესთეტიკური ცნობიერების ტენდენციები, მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ რომანტიზმი არის ესთეტიკური ცნობიერების იმ ნიშან-თვი-სებათა უბრალო მექანიკური წაერთი, კონგლომერატი, რომლებიც გვხვდება ნებისმიე-რი ეპოქის ნებისმიერი ქვეყნის ლიტერატურაში, რომანტიზმი ესთეტიკური ცნობიერე-ბის დიალექტიკური განვითარების შედეგია და ისტორიულად ახალი, მხოლოდ XIX საუკუნისათვის დამახასიათებელი მოვლენაა.

მევიით, სკეფსისით, მოლოდინით სავსე ეპოქამ წარმოქმნა ქრისტიანული სამ-ყაროს ახალი კულტურული მოძრაობა — რომანტიზმი, რომელიც შეეცადა ამოეცნო იდუმალი, უცნობი სფერო, წარმოედგინა ადამიანი სამყაროს ცენტრად, შემოქმედი სუბიექტი კი — სამყაროს შემქმნელად, შექრილიყო ადამიანის ფსიქიკის სიდრემებში, დაემორჩილებინა, თუნდაც ილუზორულად, ბუნების სტიქიური ძალები. რომანტიკოსთა ნატურა-სტრუქცილების მაქსიმალისმმა, ტიტანურმა ცდამ ტოტალურად მოეცვათ სამყარო-უნივერსუმში, ბუნება და ადამიანი, იმდენად გრანდიოზული ხასიათი მიიღო, რომ მათი

ყურადღების გარეშე არ დარჩენილა ადამიანის სოციალური ცხოვრების, მისი სულიერი საქმიანობის თითქმის არც ერთი მნიშვნელოვანი მხარე. ეს აღმეტებოდა მათ ძალას და საერთოდ სოციალური ფაქტორებით შეზღუდული ადამიანის ინტელექტუალურ უნარს, ფილოსოფიური და მხატვრული აზროვნების იმდროინდელ დონეს. მათ თავიანთ თავზე აიღეს შეუძლებელი რამ: შეეცადნენ ერთბაშად გადაწყვიტათ ყველა ის პრობლემა, რომლებიც კაცობრიობის წინაშე იდგა საუკუნეთა მანძილზე. ასეთმა მაქსიმალიზმმა და უსაფუძვლო პრეტენზიამ საქმოდ რთულ და წინააღმდეგობრივ მოვლენად აქცია რომანტიზმი. ამით აიხსნება, რომ რომანტიზმი ფაქტობრივად არ ექვემდებარება უნიფიცირებულ განსაზღვრებას, რაც მკვლევართა უმეცორობას იწვევს.

რომანტიზმის არსის გარკვევა, მისი გენეზისის დადგენა იმთავითვე ძნელი გახდა. იენის წრის გერმანელი რომანტიკოსები ჟურნალ „ათენუმის“ ფურცლებზე უშუალოდ გერმანული სუბიექტური იდეალიზმის ზეგავლენით ქმნიდნენ რომანტიზმის თავისებურ კონცეფციას. ესთეტიკური ცნობიერების ამ ახალი სისტემის ინგლისურ ვარიანტს იძლეოდნენ გორდსვორთი, კოლრიჯი, ბაირონი და შელი, რომლებიც თავიანთ თავს არც კი უწოდებდნენ რომანტიკოსებს. განსხვავებულ, ფრანგულ ეროვნულ რომანტიზმს საფუძველი ჩაუყარეს შატობრიანმა და ვიქტორ ჰიუგომ. მით უფრო განსხვავებულია დასავლეთევროპული რომანტიზმისაგან მათი რუსული, პოლონური, უნგრული, ამერიკული, ქართული, სომხური და სხვა ვარიანტები. რა თქმა უნდა, სამყაროს პოეტური გაგების, სინამდვილისადმი ესთეტიკური დამოკიდებულების ძირითადი პრინციპებით ეროვნული რომანტიზმები ჰგვანან ერთმანეთს, მაგრამ ამავე დროს აქვთ თავისი ისტორიული, სოციალურ-პოლიტიკური მიზეზები, განსხვავებული გნოსეოლოგიურ-ესთეტიკური წყაროები, გარკვეული ელფერი და აქცენტი, თავისებური რეაქცია კლასიციზმზე, განმანათლებლობაზე და საერთოდ ლიტერატურულ ტრადიციებზე. კიდევ უფრო მეტი. თვით ეროვნული რომანტიზმის ფარგლებშიც არ იყო ერთსულოვნება. ფრიდრიხ შლეგელს რომანტიზმი ესმოდა თავისებურად, ვ. ჰიუგოს სხვანაირად, ვიღრე შატობრიანს და დე სტალს. ინგლისელი რომანტიკოსები არც კი ცდილობდნენ ჩამოეყალიბებინათ რომანტიზმის ცნება. რუსეთში რომანტიზმის გაგების სხვადასხვა საზომი ჰქონდათ ჟუკოვსკის და რილევს. ქართველ რომანტიკოსებს კი, საერთოდ, არ დაუყენებიათ ეს საკითხი, რამდენადაც არც კი ჰქონდათ გაცნობიერებული თავიანთი მიკუთვნება რომანტიზმისადმი. იმდენად განსხვავებული იყვნენ ერთმანეთისაგან ეროვნული რომანტიზმის წარმომადგენლები და ისე მერყევი იყო თვით რომანტიზმის გაგება, რომ ბაირონი გაღიზიანებული ლაპარაკობდა რომანტიზმის ირგვლივ გამართულ კამათზე, ცდაზე რომანტიკული სკოლის ფარგლებში მოექციათ საქმოდ განსხვავებული პოეტები. 1818 წლის 24 ნოემბერს იგი სწერდა ჯ. მერის: „მური, ბაირონი, შელი, პეზიტი, პეიდონი, ჰანტი, ლევი — რა არის საერთო ყველა ამ ადამიანთა შორის?“. თუ გერმანიასა და საფრანგეთში ბაირონს იცნობდნენ როგორც რომანტიკოს პოეტს, ინგლისში მიაჩნდათ, რომ ბაირონი მხოლოდ ნაწილობრივ მიემხრო რომანტიზმს და, უბრალოდ, აგრძელებდა პოპისა და ადრეული XIX საუკუნის ტრადიციას.

როგორც კი რუსეთში ფეხი მოიკიდა და განვითარება დაიწყო ეროვნულმა რომანტიზმმა, მის შესახებ კამათობდნენ ჟუკოვსკი, ვიაზემსკი, კატენინი, კიუხნელბეკერი, ფ. გლინკა, ა. ბესტუჟევი, რილევი, სომოვი, ნ. და კ. პოლუეოები, ნადეჟდინი და სხვ., რომლებიც ცდილობდნენ განესაზღვრათ რომანტიზმის რაობა და მიეჩინათ მისთვის სათანადო ადგილი რუსული ლიტერატურის განვითარების პროცესში. მაგრამ ის, რაც ვერ მოხერხდა დასავლეთ ევროპაში, ვერც რუსეთში გადაწყდა. 1825 წლის მაისში პუშკინი სწერდა ვიაზემსკის: „მე შევამჩნიე, რომ ჩვენთან ყველას (შენც კი) აქვს ყველაზე ბნელი წარმოდგენა რომანტიზმის შესახებ.“² ლიტერატურული პროცესის ისეთი საუკეთესო და ღრმად მცოდნე, როგორიც იყო ბ. ა. ბელინსკი, ისიც კი იძულებული იყო

„ელთაგებინა პუშკინისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ სტატიაში (1843): „რომანტიზმი კვლავ ვინდებურად დარჩა იდუმალ და გამოსაცნობ საგნად“.³

XIX საუკუნის 30-40 წლებისთვის, როცა რომანტიზმმა როგორც ესთეტიკური ცნობიერების ისტორიულად გაპირობებულმა სისტემამ თავისი შესაძლებლობები ამოწურა, თითქმის შეიქმნა იმის პირობები, რომ „დამცხრალ ვნებათა“ ფონზე გარკვეული-ყო რომანტიზმის რაობა, მისი ადგილი ხელოვნებისა თუ ლიტერატურის განვითარების ისტორიაში. მაგრამ რომანტიზმის ცნება იმდენად მერყევი, ვანფენადი, ყოვლისმომცველი აღმოჩნდა, რომ მის ფარგლებში მოექცნენ საცხებით განსხვავებული მწერლები, რამდენადაც ვერ მოხერხდა რომანტიზმის გენეზისის დადგენა, რაც ნათელს მოჰყენდა თვით რომანტიზმის ცნებას. თანაც ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ რომანტიზმის მოძრაობამ მოიცვა არა მხოლოდ ხელოვნების ისეთი დარგები, როგორიცაა ლიტერატურა, ფერწერა და მუსიკა, არამედ აგრეთვე ფილოსოფიური ცნობიერება, რელიგია, ისტორიოგრაფია, პოლიტიკური ეკონომია, მაღალი წრის და ბოჰემური არტი-სტული წრის ყოფაც კი. მ. ფ. ოვსიანიკოვი სამართლიანად შენიშნავს, რომ „რომანტიზმის ერთმნიშვნელოვანი ფორმულის მოცემა არაა ადვილი... მისი ბიარალის ქვეშ გაერთიანებული იყვნენ სხვადასხვა იდეოლოგიური მიმართულებანი“.⁴

რომანტიზმის ცნებაში თავი მოიყარა ისეთმა მოვლენებმა თუ ტენდენციებმა, რომელთა შეთავსება ერთმანეთთან ერთობ ძნელია. რომანტიზმის მოძრაობის სირთულე იმითაც აიხსნება, რომ იგი იყო რეაქცია ორი ეპოქის — დრომოქმული, განწირული ფეოდალებისა და ახალი, მზარდი ბურჟუაზიული ეპოქის ჭიდილის კრიზისულ პერიოდზე, როცა წყდებოდა ძველი სამყაროს კვდომისა და ბუნდოვანი, მაგრამ მაინც საიმედო მომავლის ზედი, როცა აგონიის პირას მყოფი საზოგადოება კიდევ ცდილობდა თავის შენარჩუნებას, ხოლო ახალი ძალები უტევდნენ. მომავლის კონტურები ჯერ კიდევ არ იყო გამოკვეთილი და უფრო ჭარბობდა გუმანი, ლოღინი, ვიდრე ცხადი, უკვე ჩამოყალიბებული მოვლენების გააზრება. ასეთ პირობებში საკმაოდ ძნელი იყო რომანტიკული მსოფლგაგების, სინამდვილისადმი რომანტიკული დამოკიდებულების პრინციპების გარკვევა. მაგრამ მიუხედავად რომანტიზმის სირთულისა, ბუნდოვანებისა, გაურკვევლობისა, რომანტიკოსებსა და მათ ოპონენტებს კარგად ესმოდათ, რომ ეს იყო ახალი მოვლენა, მხოლოდ XIX საუკუნისათვის დამახასიათებელი.

თუ თვალს გავადევნებთ ტერმინ „რომანტიკულის“ მნიშვნელობის განვითარებას, ცვლილება შევსებავს, დავინახავთ, რომ იგი სხვადასხვა მკვლევარს სხვადასხვაგვარად ესმოდა „კლასიკურისადმი“ „რომანტიკულის“ ანტითეზური დაპირისპირების იდეალი-სტურმა კონცეფციამ რომანტიზმის სათავეები დაუკავშირა შუა საუკუნეების ქრისტიანობას, რომის იმპერიის ნანგრევებზე წარმოქმნილ რომანული ხალხების კულტურას. შესაბამისად, რომანული ხალხების „ვულგარულ“ კილოზე შექმნილ ნაწარმოებებს, კლასიკურ ლათინურ ენაზე დაწერილი თხზულებებისაგან განსხვავების მიზნით, უწოდებდნენ „რომანულს“ (ე. ი. რომანულ ენაზე შედგენილს). XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან ხმარებაში შემოვიდა ტერმინი „რომანტიკული“. იგი პირველად გვხვდება 1650 წელს ინგლისურ, 1661 წელს ფრანგულ, ხოლო 1663 წელს გერმანულ ენაზე.⁵ თავდაპირველად ეს ტერმინი გამოიყენებოდა ფერწერული პეიზაჟის, ინგლისური ბაღის სტილის დასახასიათებლად. შემდეგ იგი თანდათანობით გადაიქცა ლიტერატურულ ტერმინად და აღნიშნავდა ამაღლებულობას, ფერადოვან სტილს, იდუმალს, საოცარს, შიშისმომგვრელს. XVIII საუკუნეში ხშირად იბეჭდება ნაწარმოებები „რომანტიკულის“ დასახელებით. მაგრამ ამ ტერმინის მნიშვნელობა სულ უფრო ფართოდ გავრცელდა, „რომანტიკულის“ რკალში გვხვდებოდა სულ უფრო და უფრო მეტი მწერალი. გერმანელმა ლიტერატორმა გერსტენბერგმა თავის „წერილებში ლიტერატურის ღირსშესანიშნაობათა შესახებ“ (1766) „რომანტიკულად“ მიიჩნია სპენსერის, არიოსტოსა და ტასოს პოეზია.⁶ გერსტენ-

ბერგმა მკვეთრად დაუპირისპირა ერთმანეთს „კლასიკური“ და „რომანტიკული“. იგი პირველად გამოვიდა რომანტიკულის ცნების დასაცავად და დასამკვიდრებლად, იგი როგორც გამოწვევის, წარმოსახულის პრიმატობა.

ჰერდერს (1744-1803) უფრო ვრცლად ესმოდა ტერმინი „რომანტიკული“, რომელსაც იყენებდა შუა საუკუნეების ლიტერატურის მიმართ თვით ჩენესასხული მწერლობის ჩათვლით, ხოლო მის დამახასიათებელ ნიშანთვისებად მიაჩნდა „ამაღლებული“⁷ და „საფათრაკო“⁸ განწყობა. არის შემთხვევები, როცა ჰერდერი იყენებს ტერმინ „რომანტიკულს“ სამხრეთევროპული პოეზიის მიმართ, რომელმაც განიცადა არაბული და სპარსული პოეზიის ზეგავლენა.⁹ ჰერდერთან რომანტიკული ასოცირებულია ართურის ციკლის რაინდული რომანების, შექსპირის „რომეო და ჯულიეტას“¹⁰ „ამაღლებულ სიყვარულთან, რომელიც გაგებულია როგორც „ნამდვილი, წმინდა, ნაზი და საკმაოდ რომანტიკული“¹¹ სიყვარული, „არარომანტიკული სიყვარულისაგან“ რომ განსხვავდება: „განა ეს სიყვარული არ არის ნამდვილი, წმინდა, ნაზი და საკმაოდ რომანტიკული? მაგრამ არამც და არამც ანგარებიანი არარომანტიკული სიყვარული“.¹⁰

ევროპული პოეზიის განვითარებაში ჰერდერი განსაკუთრებულ როლს ანიჭებდა ესპანელ ხალხს, რომელმაც განიცადა არაბული (მაგრული) პოეზიის უშუალო ზეგავლენა. მაგრამ აღმოსავლელ ხალხთა შორის უფრო მაინც სპარსელები მიაჩნდა რომანტიკულ ხალხად მათი „რომანტიკული“ წარმოსახვის, „ამაღლებულობისადმი მათი მიდრეკილების გამო. მისი აზრით, „სპარსელების მხიარულმა და გაბაასებამ და ბრწყინვალეობით ტკბობამ მათ ძველ თქმულებებს მისცა... საკუთარი რომანტიკული საგმირო ფორმა“, რაც აისახა აღმოსავლური „რომანტიკული“ ფანტაზიით შექმნილ სპარსულ პოემებში. მსგავს ამაღლებულობას, გაიდებულ სიყვარულს, რომანტიკულ ბუნებას ჰერდერი ხედავდა რაინდულ რომანებში და რომანსებში: „სატრფილო რომანს აქვს ბუნების გარკვეული სურათები, რომანტიკული ზეგების, ადგილების, მცენარეების, მაგალობელი ჩიტების გარკვეული რაოდენობა... მაგრამ ყველაფერი ეს აძლევს სიმღერას პირველქმნილ მომხმარებლობას და რომანტიკულ ტკბობას.“¹² „რომანტიკული“ ჰერდერს გააზრებული აქვს როგორც სინამდვილის აღქმის თავისებურება, განწყობილება. ესთეტიკური გემოვნება, რაც აძლევს უფლებას ილაპარაკოს ესპანელებისა და იტალიელების „რომანტიკულ გემოვნებაზე“.¹³

როგორც ვხედავთ, ერთ-ერთმა პირველთაგანმა გერსტენბერგმა შემოიღო „კლასიკურისა“ და „რომანტიკულის“ ანტითეზური შეპირისპირება, ხოლო ჰერდერმა ქრისტიანული ეპოქის ლიტერატურა გაიყო როგორც „რომანტიკული“. გერმანული პრერომანტიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელმა ჰერდერმა კი დიდი ზეგავლენა მოახდინა რომანტიზმის თეორიის განვითარებაზე როგორც გერმანიაში, ასევე სხვა ქვეყნებშიც, კერძოდ, რუსეთშიც.

რომანტიკული ესთეტიკის განვითარებას სტიმული მისცა შილერმაც (1759-1805) თავისი წერილით „ნაიფური და სანტიმენტალური პოეზიის შესახებ“ (1795), რომელშიც ანტიკურ პოეზიას უწოდებს „ნაიფურს“, ხოლო ახალი დროის პოეზიას „სანტიმენტალურს“, ნაიფურ პოეტებს, შილერის აზრით, ახასიათებთ ამბების ობიექტური, აუღელვებელი ასახვა, მაშინ როცა სანტიმენტალური პოეტები თავიანთ ნაწარმოებებში აქსოვენ გრძნობებს, გაცდებს, გამოხატავენ პირადულ დამოკიდებულებას ასახავი ობიექტისადმი. თუ ანტიკურ სამყაროში ყველაფერი შეადგენდა პარმონიულ მთლიანობას, ახალი დროის სინამდვილეში პარმონია დარღვეულია, და ადამიანს ერთიდა დარჩენია — მხოლოდ მისი წარადგენს. პარმონიული ერთიანობისაკენ. თუმცა მანამდე ეს თვით სინამდვილეში იყო, ახლა იგი უნდა ეძებოთ იდეაში. თუ ძველი პოეტები ცხოვრობდნენ ცოცხალი აწმყოთი, ახალი პოეტები იდეებით საზრდოობენ. შესაბამისად, ძველ პოეტებს შილერი „რეალისტებს“ უწოდებს, ახალ პოეტებს კი

„იდეალისტებს“: „ვინც მიეკუთვნება პირველ ჯგუფს, შეიძლება იწოდოს რეალისტად, ხოლო ვინც მეორე ჯგუფს, ის — იდეალისტად“.¹⁴

ევროპული რომანტიზმის თეორიის ფუძემდებელი და კანონმდებელი იყო ფრიდრიხ შლეგელი (1772-1829), რომლის სახელთანაცაა დაკავშირებული ტერმინ „რომანტიზმის“ დამკვიდრება ესთეტიკაში და ლიტერატურის თეორიაში. შლეგლის კონცეფციამ ნაივური და სანტიმენტალური პოეზიის შესახებ და ასევე შეღონების მოძღვრებამ სინამდვილის ყველა მოვლენას ანტინომიურობის შესახებ გარკვეული ზეგავლენა მოახდინა ფ. შლეგელისა და მისი ძმის ა. ვ. შლეგელის რომანტიკულ თეორიაზე. შეღონების მიხედვით, ხელოვნებას, როგორც მთლიანს, ახასიათებს ღრმა შინაგანი წინააღმდეგობანი ამქვეყნიურ, სხეულებრივ საწყისსა და ამაღლებულს, სულიერს შორის. სწორედ აქედან მომდინარეობს იენის რომანტიკოსთა მიერ ანტიკურ ლიტერატურაში პირველი საწყისის — სხეულებრივის, პლასტიკურობის, ხოლო თანამედროვე პოეზიაში ამაღლებულობის, სულიერის გამოყოფა.

რომანტიზმი როგორც ესთეტიკური ცნობიერების ისტორიულად ახალი მოძრაობა, რომელიც ფეხს იდგამდა XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე, განიცდიდა „მშობიარობის ტკივილებს“ და, შესაბამისად, ვერ მოხერხდა მისი გააზრება, გარკვეულ საზღვრებში ჩაყენება, რამაც იმთავითვე სათავე დაუდო დავას რომანტიზმის რაობის, მისი გენეზისის შესახებ, რაც დღემდე გრძელდება.

ანტიკური პოეზიისაგან განსხვავებით ფრ. შლეგელს ახალი, თანამედროვე ევროპული პოეზია „რომანტიკულ პოეზიად“ მიაჩნდა. მაგრამ ამავე დროს „რომანტიკული“ მისთვის ნიშნავდა ნამდვილი პოეზიის მარადიულ სტილს, რომელიც განაპირობებს ნებისმიერი დროის მაღალმხატვრული პოეზიის ღირსებას. 1798 წლის ჩანაწერებში ფრ. შლეგელი „რომანტიკოსებად“ მოიხსენიებდა ჰომეროსს, ვერგილიუსს, პოპაიუსს, ოვიდიუსს, პეროლოტეს, პლუტარქეს, ტაციტს, აპულეუსს, პეტრონიუსს. პირველ ხანებში ფრ. შლეგელის ესთეტიკაში ერთმანეთს ასე ერწყმოდა ურთიერთგამომრიცხველი კონცეფციები „რომანტიკულის“ შესახებ, მაგრამ გვიან, 1812 წლის ვენის ლექციებში მან საბოლოოდ გამოიმუშავა შეხედულება რომანტიზმზე როგორც ყოველი ნამდვილი ხელოვნების მარადიულ საზომზე და შესაბამისად მოხსნა „კლასიკურ“ — „ანტიკურის“ ანტითეზური გაგება.

აღრეული რომანტიზმის წარმომადგენლებმა, კერძოდ, ძმებმა — ფრიდრიხს და აუგუსტს ვილჰელმ შლეგელებმა ხელოვნების კანონზომიერებათა დადგენისას ვერ გამოიყენეს ისტორიული დეტერმინიზმის პრინციპი. ხელოვნების განვითარების რომანტიკულმა გაგებამ რომანტიზმის თეორეტიკოსები აიძულა შედეგი აღექვათ როგორც „მოხეზი. „ანტიკური“ ხელოვნების საზღვრები ზუსტად კი შემოიფარგლა, მაგრამ „თანამედროვე“ ხელოვნების ქრონოლოგიური ხანგრძლივობა მეტად მერყევი, პირობითი, გაურკვეველი აღმოჩნდა. ერთი სიტყვით, რომანტიზმის სარწმუნო სათავეები მაინც მიუგნებელი დარჩა.

ანტიკური და ახალი კულტურის ანტითეზურობის დასაბუთებას ცდილობს ფრ. შლეგელი სტატიაში „ბერძნებისა და რომაელების შესწავლის მნიშვნელობის შესახებ“ (1794-1795). იგი იყენებს განვითარების ორ განსხვავებულ პრინციპს: ერთი მხრივ. ეს არის ორგანულ-ციკლური განვითარების პერდერისული პრინციპი, რომლის შესაბამისად ფრ. შლეგელს ანტიკური კულტურა წარმოდგენილი აქვს როგორც „წრითული სისტემის“ შედეგი, როცა კაცობრიობის სულიერი განვითარების გარკვეული ფაზა გაივლის ჩასახვის, ზრდის, მომწიფების, აყვავების და/დაკვირების სტადიებს, ამოწურავს თავის თავს. ანტიკურ და თანამედროვე კულტურას ფრ. შლეგელი მათ ანტითეზურ მიმართებაში განიხილავს: თანამედროვენი ანტიკურ ცივილიზაციაში ხედავენ კაცობრიობის ნანგრევებს, მისტირიან წარსულს, ნაცვლად იმისა, რომ დაუფლონ ძველ

ზალხთა ჰარმონიასა და სისრულეს, აორმაგებენ საკუთარ სულიერ განხეთქილებას. ფრ. შლეგელის აზრით, „ძველი ისტორია აუცილებელია თანამედროვეობის ასახსნელად ჯამდენადაც წინამავალი ეპოქა ჩანასახის სახით შეიცავს ყოველ მომდევნო ეპოქას. ამიტომაც „ისტორიის ერთადერთი სისტემა, რომელიც მთლიანად დააკმაყოფილებდა თეორიულ გონებას... არის წრიული სისტემა“. ¹⁵ მეორე მხრივ, ფრ. შლეგელი იყენებს კანტისა და ფიხტეს განვითარების უსასრულო მოძრაობის, იდეალთან მიახლოვების პრინციპს, რომლის საფუძველზე იგი ამტკიცებს, რომ „ბუნება არასოდეს არ ისპობა თავისუფლების მიერ“, „დაუსრულებელს“ არასოდეს არ შეუძლია გახდეს ნამდვილი“. ასეთ შემთხვევაში „ისტორიის ერთადერთი სისტემა, რომელიც დააკმაყოფილებდა პრაქტიკულ გონებას, ...არის უსასრულო წინსვლითი მოძრაობის სისტემა“. ¹⁷

ფრ. შლეგელს ესმის, რომ აგი იყენებს „პირდაპირ დაპირისპირებულ სისტემებს“, მაგრამ მას განზრახული აქვს დააკმაყოფილოს ერთსა და იმავე დროს „თეორიული და პრაქტიკული გონება“. თავისუფლებისა და ბუნების ურთიერთგაპირობებულობის შესაბამისად მას შესაძლებლად მიაჩნია კულტურის ორი სახის — „ბუნებრივი“ და „ხელოვნური“ კულტურის აპრიორული არსებობა, თანაც დროში პირველი წინ უსწრებს მეორეს. მაშასადამე, წრიული სისტემა შესაძლებელი და აუცილებელია მხოლოდ ბუნებრივი კულტურისათვის. უსასრულო წინსვლითი მოძრაობის სისტემა კი ახასიათებს ხელოვნურ კულტურას. ამ პრინციპის შესაბამისად ერთმანეთს ანტითეზურად დაუპირისპირდა ანტიკური ანუ კლასიკური (ბუნებრივი) და თანამედროვე ანუ რომანტიკული (ხელოვნური) კულტურა.

საპროგრამო წერბრში „ბერძნული პოეზიის შესწავლის შესახებ“ (1797) ფრ. შლეგელი წერს, რომ თანამედროვე პოეზიაში არ არის „თანხმობა“ და „დასრულება“, „სრულყოფილი სილამაზე“. ეს უკანასკნელი არ არის ქცეული ხელოვნების უმაღლეს მიზნად და პირველ კანონად. ხანდახან „მახინჯსაც“ კი ასახვენ ხელოვნებაში, თანამედროვე პოეტები მხოლოდ მისიწრაფვიან მარადიულობისაკენ, ჰარმონიისაკენ, „დაუტყაყოფილებელი წუხილით“ სავსენი რაც უფრო სტილდებიან სილამაზეს, მით უფრო დაჟინებით მიიღწევიან მისკენ. მაშასადამე, თანამედროვე პოეზია ვერ იძლევა კმაყოფილებისა და დასრულებულობის გრძნობას, ვერ ქმნის დასრულებულ ობიექტურ სილამაზეს, იწვევს შინაგან განხეთქილებასა და სასოწარკვეთილებას. მას ახასიათებს „ქაოსი“, „ანარქია“, მეცნიერებისა და ხელოვნების, კეთილშობილებისა და სილამაზის აღრევა, ღირიკული, დრამატული და ეპიკური ჟანრების ერთმანეთში შეზრდა. თანამედროვე პოეზიას აკლია ბერძნული პოეზიის სილამაზე და ჰარმონია. ფრ. შლეგელის აზრით, თუ სოფოკლეს ტრაგედიები გვამშვიდებს, შექსპირის ტრაგედიები (განსაკუთრებით ჰამლეტი) გვაძლევს „სასოწარკვეთილების მაქსიმუმს“, გვიქმნის დაძაბულობის, „დისონანის“ შეგრძნებას.

თანამედროვე პოეზიის ხელოვნური წარმოშობის სათავეს ფრ. შლეგელი ხედავს დანტეს შემოქმედებაში, რომელსაც ახასიათებს „ის დიდი, ყველგან მყოფი ნიშან-თვისებები, რომლებიც შეიძლება მომდინარეობდნენ მხოლოდ დასაბამი ძალიდან. იგი არ შეიძლება არც დასწყევლო, არც დაისწავლო“. ¹⁸

ფრ. შლეგელის აზრით, ბერძნულმა პოეზიამ მოიცვა ადამიანის ბუნება მის სრულ მთლიანობაში, ცალმხრივობისა და გაღაზრის გარეშე. იგი სათავეებს იღებს მითოლოგიაში, ვითარდება სრულყოფილებამდე და აღწევს საფეხურს, როცა ბუნებასთან ჰიდილში სული იძენს უპირატესობას. ელინიზმის პოეზია შლეგელს ესახებოდა დაიცემის პოეზიად, მიაჩნდა, რომ იგი სავსებით გადაგვარდა მას შემდეგ, რაც მიაღწია ბუნებრივი კულტურის მწვერვალს. „ხელოვნებისა და გემოვნების ბუნებრივი კულტურის ამ უკანასკნელ საზღვარს, თავისუფალი სილამაზის ამ უმაღლეს მწვერვალს“. ¹⁹ 1794 წელს

ფრ. შლეგელი ძმას სწერდა „ბერძნული პოეზიის ისტორია ეს არის მშვენიერებისა და ხელოვნების დასრულებული ისტორია“.²⁰

ანტიკურ, ე. ი. ბუნებრივ კულტურას მოჰყვა თანამედროვე, ე. ი. ხელოვნური კულტურა, რომელსაც განასახიერებს თანამედროვე პოეზია, რადგანაც, როგორც აღნიშნავს ფრ. შლეგელი, „თანამედროვე პოეზიის ჩამოყალიბების ისტორია სხვა არაფერია, თუ არა გამუდმებული დავა სუბიექტურ მიდრეკილებასა და ესთეტიკური უნარის ობიექტურ ტენდენციებს შორის და უკანასკნელთა თანდათანობით დაძლევა“.²¹

თანამედროვე პოეზიამ, როგორც ფიქრობს ფრ. შლეგელი, გაიარა განვითარების სამი პერიოდი, რომელთაგან პირველ პერიოდში იგრძნობოდა ანტიკურობის ტენდენციები, მეორეში კარბობდა მიზანძვა ანტიკურობისადმი, მაგრამ სუბიექტური ბუნება ჯერ კიდევ იმდენად ძლიერი იყო, რომ სავსებით არ დამორჩილებოდა ობიექტურ კანონს. ხოლო მესამე პერიოდის სუბიექტურ-ობიექტურ შეპირისპირებაში მიღწეულ იქნა ობიექტური: ობიექტური თეორია, ობიექტური მიზანძვა, ობიექტური ხელოვნება და ობიექტური გემოვნება. ახლა კი, როგორც იმედოვნებს ფრ. შლეგელი, მომწიფდა დრო ესთეტიკური „კულტურის რევოლუციისათვის“, რომელმაც ბერძნებისაგან გადმოღებული სილამაზის მომარჯვებით უნდა დაძლიოს ახალი კულტურის წინსვლითი მოძრაობის „ქაოსი“.

1793 წელს ფრ. შლეგელი ძმას წერდა, რომ თანამედროვე ლიტერატურის ძირითად პრობლემად მიაჩნია „უმნიშვნელოვანესი თანამედროვე ტენდენციების შერწყმა უმნიშვნელოვანეს ანტიკურ ტენდენციებთან“, რომ „გოეთე, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა სავსებით ახალ პერიოდს, პირველი უახლოვდება ამ მიზანს“.²² ხოლო რამდენიმე წლის შემდეგ მეორე წერილში (1799) იგი უზიარებდა ძმას აზრს იმის შესახებ, რომ თანამედროვე პოეზიის წინაშე დასმული პრობლემა წარმოდგენილი აქვს როგორც „არსებითად თანამედროვის შერწყმა არსებითად ანტიკურთან“.²³

თავის ცნობილ 116-ე ფრაგმენტში ფრ. შლეგელს განმარტებული აქვს რომანტიკული პოეზია როგორც „პროგრესული უნივერსალური პოეზია“. მაშინ, როცა „პოეზიის სხვა სახეები დასრულებულია“, „რომანტიკული პოეზია ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია“, რამდენადაც „იგი მარადიულად ჩამოყალიბების პროცესში იქნება და ვერასოდეს ვერ შეძლებს დასრულებას“. „მაგრამ საგულისხმოა, რომ იმავე ფრაგმენტში ფაქტობრივად მოხსნილია ანტიკური და თანამედროვე პოეზიის ანტითეზური დაპირისპირება. ეს იმიტომ რომ „ყოველი პოეზია არის ან უნდა იყოს რომანტიკული“.²⁴

შემდეგ ფრ. შლეგელი ცალკეც კი გამოყოფს რომანტიკულს თანამედროვე პოეზიისაგან. თუ „ღონ კიხოტი“ სავსებით რომანტიკულია“, გოეთეს „ვილჰელმ მაისტერი“ „მთლიანად განეკუთვნება თანამედროვე პოეზიას, არსებითად განსხვავებულს რომანტიკულიდან, მისგან დიდი უფსრულოთი გამოცალკავებულს“.²⁵ ეს იმიტომ, რომ რომანი ვითარდება „პოეზიის ორივე ეპოქის — რომანტიკულის და თანამედროვის მანძილზე“, რომ „რომანი თავდაპირველად წარმოიქმნა პოეზიის რღვევისაგან...“²⁶ მაშასადამე, რომანტიკული პოეზია წინ უსწრებს თანამედროვე პოეზიას. ენის მე-12 ლექციაში ფრ. შლეგელი ასე აზუსტებს თავის მოსაზრებას: ესპანური ხელოვნება იყო წმინდა რომანტიკული და ქრისტიანული რაინდული პოეზიის სახით არსებობდა ახალი კულტურის პერიოდად, რამდენადაც რომანტიკული ხელოვნება ემყარება უპირველეს ყოვლისა სიყვარულის გრძნობას, რომელიც ბატონობს პოეზიაში ქრისტიანობის წყალობით. ამ „ფართო აზრით“ „რომანტიკული“ ნიშნავს უბრალოდ სპეციფიკურად ქრისტიანულ სილამაზეს და პოეზიას. მაგრამ „სინამდვილეში რომანტიკული თავისთავად არ ეწინააღმდეგება ძველ და ნამდვილ ანტიკურს“, „თქმულებები ტროას შესახებ და ჰომეროსისეული პოემები სავსებით რომანტიკულია, როგორც ყველაფერი ის, რაც არის ნამდვილად პოეტური ინდურ, სპარსულ და სხვა აღმოსავლურ ან (ჩრდილოეთ ქრისტიან-

ნულ) ევროპულ პოემებში“.²⁷ მაშასადამე, რომანტიკული ახასიათებს ანტიკურ ხელოვნებასაც, ქრისტიანულ პოეზიასაც, აღმოსავლურ ინდუსურ თუ მუსლიმანურ პოეზიასაც. აგრეთვე ფოლკლორსაც. რომანტიკული უპირისპირდება თანამედროვე ყალბ პოეზიას, თუ ეს უკანასკნელი ცდილობს „ყალბად იმოქმედოს ცხოვრებაზე.“ ამრიგად, რომანტიკული მოიცავს ნებისმიერი ეპოქისა და ხალხის პოეზიას, თუ იგი დაზღვეულია სიყალბისაგან და ნამდვილ. კემშმარტ პოეზიას წარმოადგენს.²⁸

როგორც ვხედავთ, ფრ. შლეგელის ესთეტიკაში „რომანტიკულის“ ცნება გამოყენებულია ორმაგი აზრით: როგორც ისტორიული ტერმინი, რომელიც გულისხმობს ახალ ევროპულ პოეზიას ანტიკური პოეზიისაგან განსხვავებით და როგორც ხეებისმიერი დროის პოეზიის მხატვრული ღირებულების მარადიული სტილი. დაწყებული ფრ. შლეგელიდან რომანტიზმის ასეთი ორმაგი გაგება ამა თუ იმ ვარიაციით თავს იჩენს რომანტიზმის მკვლევართა ნაშრომებში.

გარკვეული წვლილი შეიტანა რომანტიზმის ესთეტიკის დამუშავებაში ავგუსტ ვილჰელმ შლეგელმა (1767-1845), რომელიც შეეცადა ბერლინის ლექციების პირველ ციკლში (1801-1802) უფრო ნათლად წარმოედგინა რომანტიზმის ცნება, უფრო ზუსტად გაერკვია რომანტიზმის გენეზისის საკითხი. ანტიკურ-რომანტიკულის ანტითეზის დადგენისას იგი გამოდიოდა იმ თვალსაზრისიდან, რომ ბუნებაში პირველადი ძალა იშლება ერთმანეთისადაც დაპირისპირებულ ნაკადებად, რაც, მისი აზრით, გამოდგება ძველი და ახალი პოეზიის ისტორიის გასაგებად. „თანამედროვე ხელოვნებამ ანტიკურის ანუ კლასიკურის საპირისპიროდ“ მიიღო „რომანტიზმის“ სახელწოდება, რომელიც ა. ვ. შლეგელის აზრით, „მომდინარეობს სიტყვა romance-დან ხალხური ენების სახელწოდებიდან, რომლებიც შეიქმნა ქველგერმანულ დიალექტებთან ლათინურის აღრგვის გზით“.²⁹

ა. ვ. შლეგელის შეხედულებით, ანტიკური ხელოვნების „შინაგანი ხასიათი“ პლასტიკურია, ხოლო თანამედროვეისა — ფერწერული, სწორედ ამ პრინციპით გამოდის იგი, როცა აღგენს დაპირისპირებას „ერთი მხრივ, ანტიკურობას ანუ კლასიციზმს, ხოლო მეორე მხრივ, რომანტიზმს შორის“.³⁰ ბერძენთა იდეალს „ბუნებრივი პარმონია“ წარმოადგენს, მაშინ, როცა თანამედროვეობისათვის ასეთი იდეალი მიუწვდომელია. თუ ანტიკურმა პოეზიამ „თავისი ამოცანა სრულყოფილებაში გადაწყვიტა“, თანამედროვე პოეზიას „შეუძლია დაიკმაყოფილოს თავისი პისწრაფება უსასრულობისაკენ მხოლოდ იდეალთან მიახლოების გზით...“³¹ ანტიკური და თანამედროვე პოეზიის განმასხვავებელ ნიშანთვსებად ა. ვ. შლეგელს მიაჩნია ის, რომ „ანტიკური პოეზიის პრინციპი იდეალისტურია, ხოლო რომანტიზმის პრინციპი მისტიკურია“. თუ „ძველი პოეზია და ხელოვნება მთლიანად არის... სამყაროს სამუდამოდ დადგენილ კანონთა პარმონიული გამოცხადება“, „რომანტიკული, პირიქით, გამოხატავს იდეალს მიდრეკილებას ქაოსისადმი“. შესაბამისად, „ანტიკური პოეზია უფრო მარტივია, უფრო გამჭვირვალე და ბუნებას უფრო მსგავსი ცალკეულ ქმნილებათა დასრულებულ სრულყოფილებაში“, რომანტიზმი კი „უფრო ახლოსაა სამყაროსეული მთლიანობის იდეალებებთან“.³²


ვენის ლექციებში (1807) ა. ვ. შლეგელმა შეინარჩუნა ანტიკური და ახალი დროის ხელოვნების დაპირისპირების აპრიორული იდეალისტური სქემა.³³ თუ ფრ. შლეგელი სიტყვა „რომანტიზმს“ უკავშირებდა ჟანრობრივ ტერმინს „რომანი“, რამდენადაც იგი მიაჩნდა რომანტიკული ლიტერატურის ძირითად ჟანრად, ა. ვ. შლეგელმა, ძმის საპირისპიროდ, ვენის ლექციებში ყურადღების ცენტრი გადაიტანა დრამატურგიაზე. მისი აზრით, ცხოვრებაში ყოველგვარი განვითარება ეყრდნობა როგორც ერთიანობას, ასევე დაპირისპირებულობას. სწორედ ეს პრინციპი განასხვავებს ახალ, „რომანტიკულ“ ხელოვნებას ანტიკური ხელოვნებისაგან.³⁴ თუმცა ა. ვ. შლეგელი დიდად აფასებდა ძველი საბერძნეთის მაღალგანვითარებულ ხელოვნებას, მაგრამ უპირატესობას მაინც რომანტიზმს ანიჭებდა და ქადაგებდა მის პრინციპებს. რომანტიზმის გენეზისს ა. ვ.

შლეგელი უკავშირებდა შუა საუკუნეებს, ხოლო მის საფუძვლად მიაჩნდა ქრისტიანული რელიგია თავისი მარადიული იმპერეციური ცხოვრების რწმენით და აგრეთვე რაინდობა ღირსებისა და ქალისადმი სიყვარულის კულტით. ა. ვ. შლეგელის აზრით, ამქვეყნიურის, მატერიალურის, სასრულის ანტიკური რწმენა შეიცვალა ქრისტიანულ რელიგიაში დამკვიდრებული უსასრულოს რწმენით.

ძმები შლეგელების ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდა იენის სკოლის რომანტიკოსი ლუდვიგ ტიცი (1773-1853). მის მიაჩნდა, რომ საერთოდ არსებობს მხოლოდ ერთი პოეზია დასაბამიდან მის შორეულ მომავლამდე, რომ არის ბევრი დაკარგული თუ დაუწერელი ნაწარმოები, რომელთა აღდგენას ცდილობს ფანტაზია. პოეზია, როგორც იგი ფიქრობს, არის „თვით ადამიანის სული მთელი მისი სიღრმით, ის უცნობი არსი, რომელიც მუდამ საიდუმლო რჩება, რომლის გამოხატვის საშუალებები უსასრულოა, ხოლო „ქვეშარბიტი პოეზია არის სულის ისტორია, და ამ აზრით იგი მუდამ დარჩება მიუღწევლად იდეალად“. ³⁵ რომანტიკული პოეზია ლ. ტიკს წარმოდგენილი აქვს როგორც თანდაყოლილი, მარადიული, აპრიორულად არსებული პოეზია, რომელიც ხან აყვავდება, ხან კი იფიტება, რომ გარკვეული დროის შემდეგ კვლავ გამოვლინდეს განახლებული და გარდასახული სახით. ასეთი დრო კი, როგორც იგი ფიქრობს, დგება შუა საუკუნეებში: „XII-XIII საუკუნეები ევროპაში რომანტიკული პოეზიის აყვავების დროა“, ხოლო „რაინდული რომანები „რომანტიკული პოეზიის აყვავებაა“. ³⁶

თუმცა პ. ჰაინე (1797-1856) საქმიოდ სკეპტიკურად უდგებოდა ძმები შლეგელების თეორიულ მოსაზრებებს რომანტიზმის შესახებ, მაგრამ სინამდვილეში ისიც მიჰყვება რომანტიზმის გაგების შლეგელისეულ პრინციპებს. სტატიაში „რომანტიკა“ (1820) ჰაინე წერს, რომ ბერძნებთან და რომაელებთან ქარბობდა მგრძნობელობა, ხოლო მათი პოეზიის ასახვის საგანი იყო გარეგნული, ობიექტური. ანტიკური პოეზიის საპირისპიროდ (რომანტიკული პოეზიის წარმოშობას იგი უკავშირებს ქრისტიანობას, უფრო კი სიყვარულს როგორც „ქრისტიანობის იდეას“. პ. ჰაინემ უფრო ვრცლად ჩამოაყალიბა თავისი შეხედულებები რომანტიზმზე ნაშრომში „რომანტიკული სკოლა“ (1825). თუმცა იგი კი წერს, რომ რომანტიზმი გერმანიაში იყო „შუა საუკუნეების პოეზიის კვლავ აღვიძება“, ³⁷ მაგრამ მან შეაცრად დაგმო შუა საუკუნეებით გატაცება და მათი იდეალიზაცია გერმანულ რომანტიზმში. პ. ჰაინეც ანტითეზურად უპირისპირებს ერთმანეთს კლასიკურ და რომანტიკულ პოეზიას, მაგრამ, ძმები შლეგელებისაგან განსხვავებით, არ მიაჩნია პლასტიკურობა მხოლოდ ანტიკურობის პრიორიტეტად. იგი შეიძლება ახასიათებდეს აგრეთვე თანამედროვე რომანტიკულ ხელოვნებას. პ. ჰაინეს პლასტიკურობის ნიშნუებად მიაჩნია დანტეს „ღვთაებრივი კომედია“ და რაფაელის სურათები. განსხვავებას ანტიკურსა და რომანტიკულს შორის იგი ხედავს იმაში, რომ ანტიკურ ხელოვნებაში პლასტიკური სახეები უშუალოდ შეესაბამება ასახავ ობიექტს, იდეას. ძირითადი განსხვავება კლასიკურსა და რომანტიკულს შორის პ. ჰაინეს ასე აქვს წარმოდგენილი: „კლასიკურ ხელოვნებას მხოლოდ სასრული უნდა აესახა, ხოლო მის სახეებს შეეძლოთ ყოფილიყვნენ ხელოვანის იდეის იდენტური. რომანტიკულ ხელოვნებას უნდა აესახა“ ან უფრო მეტად მდინიშნებინა უსასრულოზე და წმინდა სპირიტუალისტურ ურთიერთობებზე, და მან მიმართა ტრადიციული სიმბოლოების სისტემას ან უფრო მეტად ქარაგმულს, როგორც თვით ქრისტე ცდილობდა განემატა თავისი სპირიტუალისტური იდეები ყოველგვარი მშვენიერი იგავით. აქედანაა მისტიკური, იდეალური, საოცარი და უზომო შუა საუკუნეების ნაწარმოებებში; ფანტაზია ცდილობს უსაშინლესი დამაბულობით გამოსახოს წმინდა სული გრძნობადი სახეებით, და იგონებს ყველაზე კოლოსალურ უცნაურობებს“. ³⁸

გერმანული რომანტიკული სკოლის თეორიული საფუძვლები ევროპას გააცნო ანა ლუიზა ეერმენა დე სტალმა (1766-1817) ინგლისში გამოცემული წიგნით „გერმანიის



შესახებ“ (1813), რომელშიც აისახა გერმანიაში მისი ყოფნის ორი წლის შთაბეჭდილება. იქ იგი ხედებოდა გამოჩენილ გერმანელ მწერლებს გოეთესა და შილერს, აგრეთვე ენის რომანტიკული სკოლის ერთ-ერთ თეორეტიკოსს ა. ვ. შლეგელს. წიგნში „გერმანიის შესახებ“ (ნაწ. II, თავი XI) დე სტალი ეყრდნობა ა. ვ. შლეგელის კლასიკური და რომანტიკული ხელოვნების ანტითეზური დაპირისპირების პრინციპს. შემდეგ დე სტალის მიერ საფრანგეთში გავრცელებული ეს პრინციპი თავისებურად გამოიყენეს და სხვადასხვა ვარიაციით დაამუშავეს ვ. ჰიუგომ და სტენდალმა, რის შემდეგაც ანტიკლერიკული ანტითეზის კონცეფციამ ფართოდ მოიკიდა ფეხი ევროპაში.

დე სტალის წიგნიდან განსაკუთრებით სავულისხმოა თავი „კლასიკური და რომანტიკული პოეზიის შესახებ“, სადაც ავტორი შენიშნავს, რომ სიტყვა „რომანტიკული“ შემოიღეს გერმანიაში იმ პოეზიის აღსანიშნავად, „რომლის სათავე იყო ტრუბადურების სიმღერები“ და „რომელიც წარმოიშვა ქრისტიანობის ეპოქაში.“³⁹ დე სტალი ანტიკურ პოეზიას უწოდებს „კლასიკურს“, ხოლო რაინდობის ეპოქის პოეზიას — „რომანტიკულს“. მისი აზრით, ფრანგებს, „ყველაზე განათლებულ რომანულ ერთაგანს“ მიღრეკილება აქვს კლასიკური პოეზიისადმი, მაშინ როცა ინგლისელებს, „ყველაზე სახელგანთქმულ გერმანიულ ერთაგანს“ ურჩევნია რომანტიკული პოეზია.⁴⁰ მაგრამ თუ ქრისტიანული საფრანგეთისათვის ანტიკური პოეზია „გადმონერგილი ლიტერატურაა“, რომანტიკული „ღვიძლი“ პოეზიაა, რომელსაც შეუძლია გახდეს სრულყოფილი, რამდენადაც ფესვები გადგმული აქვს თანამედროვე ნიადაგში, თუმცა მისი „სათავეები ძველ დროშია, მაგრამ არა ანტიკურობაში.“⁴¹

პოეტური კრებულის „ოდები და ბალადები“ წინასიტყვაობაში (1824) ვიქტორ ჰიუგოს (1802-1885) აღნიშნული აქვს, რომ საფრანგეთში ცნება „რომანტიკული სკოლა“ პირველად შემოიტანა ა. ლ. ჟ. დე სტალმა. თანაც იგი იმოწმებს დე სტალის წიგნიდან „გერმანიის შესახებ“ პოეზიის კლასიფიკაციას „კლასიკურ ჟანრად“ და „რომანტიკულ ჟანრად“, რომლებიც „განეკუთვნება ორ დიდ ერას კაცობრიობის ცხოვრებაში: იმას, ქრისტიანობის დამყარებას წინ რომ უსწრებდა, და იმას, რაც მოჰყვა მას „მაგრამ, როგორც შენიშნავს ვ. ჰიუგო, მილტონის „დაკარგული სამოთხე“ კლასიკური პოეზია, ხოლო ვოლტერის „აწარსალა“ რომანტიკული ნაწარმოებია.⁴² მისი აზრით, თანამედროვე ლიტერატურაში არის კარგიც და ცუდიც, მშვენიერიც და მახინჯიც, ჭეშმარიტიც და ყალბიც. შეკსპირთან მშვენიერიც ისევე კლასიკურია, როგორც რასინთან ცლასიკურის „კარგი“ გავებით) და ყალბი ვოლტერთან ისევე რომანტიკულია, როგორც პოდგორონთან (რომანტიკულის „ცუდი“ გავებით). იგი აღნიშნავს, რომ არიან ისეთი კრიტიკოსებიც, რომლებიც „კლასიკურს“ უწოდებენ ადამიანის გონის XIX საუკუნემდე შექმნილ ყოველგვარ ქმნილებას, ხოლო „რომანტიკულად“ მიაჩნდათ ის ლიტერატურა, რომელიც წარმოიქმნა XIX საუკუნესთან ერთად და შეესაბამება მის სულისკეთებას. თუკი ლიტერატურა არის თავისი დროის, ხალხის ისტორიისა და ზნე-ჩვეულებების გამოხატვა, რასაც ჩინებულად გაართვის თავი დავითმა, ჰომეროსმა, ვერგილიუსმა, ტასომ, მილტონმა და კორნელმა, XIX საუკუნეს რატომ არ უნდა ჰქონდეს თავისი ლიტერატურა? მაგრამ, როგორც აღნიშნავს ვ. ჰიუგო, თავს არიდებენ ამ კითხვას, რადგანაც „სურთ, რომ სიტყვაში „რომანტიკული“ რჩებოდეს რაღაც ფანტასტიკური და განუსაზღვრელი, რაც ხდის მას კიდევ უფრო საშინლად. „ამიტომაც ერთი რამ რჩებათ არგუმენტად: „ჩვენ ვგმობთ მეცხრამეტე/საუკუნის ლიტერატურას, იმიტომ რომ იგი რომანტიკულია... ხოლო რატომაც იგი რომანტიკული? იმიტომ, რომ იგი მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურაა.“⁴³ თუმცა ეს დებულება ვ. ჰიუგოს არ მიაჩნია „აბსოლუტურად უდავოდ“, მაგრამ ეს მაინც მიუთითებს იმაზე, რომ უკვე 1824 წლისათვის იყო უკვე დაენახათ რომანტიზმში კონკრეტული, ისტორიული მოძრაობა, წარმოქმნილი XIX საუკუნესთან ერთად.

თავის ლიტერატურულ მანიფესტში „წინასიტყვაობა „კრომველისადმი“ (1827) ცივილიზაციის წინსვლითი განვითარების პრინციპზე დაყრდნობით ვ. ჰიუგოს მიერ აღწერილი იქნა ისტორიის ყოფს პირველყოფილ, ანტიკურ და ახალ ეპოქებად. ახალი ეპოქა, მისი აზრით, იწყება შუა საუკუნეებით, ქრისტიანობით, რომელსაც „პოეზია მიჰყავს სიმართლისაკენ“. ქრისტიანობის მსგავსად „ახალი მუზა“ უფრო ამბულბული და თავისუფალი იქნება, იგარბობს, რომ ამ სამყაროში აღმნიშნული თვალსაზრისით ყველაფერი მშვენიერი როდია: მაზიჯი არსებობს მშვენიერთან ერთად, უშნო — ლამაზთან, გრატესკული — ამბულბულთან, ბორბტება — სიკეთესთან, წყვლიდი — სინათლესთან ერთად. ბუნების მსგავსად „ახალი მუზა“ ერთმანეთს შეუთავსებს ყოველივე ამას ერთ მთლიანობაში, ე. ი. შეათავსებს „სხეულს სულთან, ცხოველურს — სულთან, რადგანაც რელიგიის ამოსავალი წერტილი მუდამ არის პოეზიის ამოსავალი წერტილი“. თანამედროვე ხელოვნების ანტიკურობისაგან განმასხვავებელ ახალ ელემენტად ჰიუგოს მიანია გრატესკი, ახალ ფორმად კი კომედია. მისი აზრით, ეს არის ძირითადი განსხვავება, რომელიც „უპიზისპირებს თანამედროვე ხელოვნებას — ხელოვნებას ანტიკურს, ახლანდელ ფორმას — მკვდარ ფორმას, ამ თუ გამოვიყენებთ უფრო ნაკლებად ნათელ, მაგრამ უფრო პოპულარულ, ტერმინებს, ლიტერატურას რომანტიკულს — ლიტერატურას კლასიკურს.⁴⁴

როგორც ვხედავთ, ვ. ჰიუგოც თავისი ვარაიაციით ერთმანეთს ანტიმეზურად უპირისპირებს ანტიკურ და რომანტიკულ პოეზიას.

იმავე ტენდენციებს გაჰყვა იტალიელი პოეტი, იტალიური რომანტიზმის ერთ-ერთი პირველი თეორეტიკოსთაგანი ჯოვანი ბერშე (1783-1851) თავის მანიფესტში „გოტფრიდ აუგუსტ ბიურგერის „ველური მონადირისა“ და „ლენორეს“ შესახებ. ოქროპირის ნახევრადსერიოზული წერილი თავისი შეილისადმი“ (1816). იგი დაიწერა როგორც ჯამოა-ხილი ა. ლ. ე. დე სტალის სტატიაზე „თარგმანთა სულისცეცებებისა და სარგებლიანობის შესახებ“. ბერშეს ამ რომანტიკულმა ტრაქტატმა იტალიაში გამოიწვია ცხარე კამათი „კლასიკოსებს“ (კლასიციზმის მომხრეებსა) და რომანტიკოსებს შორის.

თავის ტრაქტატში ბერშე წერს გერმანული ლიტერატურის ღირსებებზე, კერძოდ, აღნიშნავს, რომ რომანტიზმის გერმანელმა თეორეტიკოსებმა ანტიკურ პოეზიას უწოდეს „კლასიკური“, ხოლო თანამედროვე პოეზიას „რომანტიკული“ და იქვე დასძენს, რომ მას სრული უფლება აქვს „უწოდოს კლასიკურ პოეზიას მკვდრების პოეზია, ხოლო რომანტიკულ პოეზიას — ცოცხალთა პოეზია“. თავის დროს პომეროსი, პინდარე, სოფოკლე, ევრიბიდე და ა. შ. ასევე იყვნენ გარკვეული აზრით, რომანტიკოსები, რადგანაც უმლოროდნენ არა ეგვიპტელთა ან ქალდეველთა საქმეებს, არამედ თავისი თანამედროვე ბერძნების საგნით საქმეებს.⁴⁵ მაშასადამე, ბერშესათვის რომანტიკულია თანამედროვეობის გამომხატველი ნებისმიერი დროის ლიტერატურა. მისთვის ანტიკური პოეზია „რომანტიკულია“ და ქრისტიანული პოეზია.

როგორც ჩანს, ჯ. ბერშეს ამ მოსაზრებებს დაესესხა სტენდალი (1783-1842), რომელმაც ცხოვრების დიდი ნაწილი იტალიაში დაჰყო. სტატია „რა არის რომანტიზმი? კითხულობს ბ-ნი ლონდონიო“ სტენდალმა დაწერა 1818 წელს იტალიაში ყოფნის დროს კლასიციკური მიმართულების იტალიელი კრიტიკოსის ლონდონიოს წინააღმდეგ პოლემიკური ნაშრომით „რომანტიკული პოეზიის შესახებ“ ლონდონიო თავს ესხმოდა რომანტიკოსებს, რომლებმაც მისი აზრით, თვით არ იციან, რა უნდათ და რომანტიზმის არსიც ვერ გაურკვევიათ. მწვავე პოლემიკური ხასიათი აქვს სტენდალის სტატიასაც, სადაც იგი წერს იმ დისკუსიის შესახებ, რომელიც გაიშალა რომანტიზმის გაგებასთან დაკავშირებით. იგი იძლევა პოეზიის განვითარების ვრცელ მიმოხილვას, „რომანტიკულს“ უწოდებს, საერთოდ, თანამედროვეობის ამსახველ მაღალმხატვრულ ნაწარმოებს: „რომანტიკული პოეზია — ეს არის შექსპირის, შილერის, ლორდ ბაირონის პოეზია“.⁴⁶

1822-1823 წლებში საფრანგეთში გაიშალა დისკუსია დე სტალის წიგნის „გერმანიის შესახებ“ (1814), ა. ვ. შლეგელის „დრამატული ლიტერატურის კურსის“ (გერმანული თარგმანი, 1814) და სისმონდის „სამხრეთ ევროპის ლიტერატურის“ (1813) ირგვლივ. რომანტიზმის წინააღმდეგ მწვავედ გამოვიდა კლასიციზტი და ულტრაროიალისტი, საფრანგეთის აკადემიის მდივანი ოჟე, რომელმაც 1824 წელს აკადემიაში წარმოთქმულ ლიტყვაში მწარედ დასცინა რომანტიზმს და მის თეორეტიკოსებს. სტენდალი გამოვიდა რომანტიზმის დასაცავად პარიზის ჟურნალებში, თუმცა მას არ მოსწონდა ბევრი რომანტიკული ნაწარმოები, კერძოდ, ახალგაზრდა პოეტი-რომანტიკოსების ალფრედ დე ვინის, ვიქტორ ჰიუგოს ლექსები, „საშინელებათა“ რომანტიკული რომანები, მერიმეს ისტორიული დრამა „ფაცერია“. რომანტიკოსებსა და კლასიციზტებს შორის ცხარე კამათის დროს, 1823 წელს, გამოჩვეყნდა სტენდალის ბროშურა „რასინი და შექსპირი“, რომლის მეორე ნაწილი დაიწერა 1825 წელს ოჟეს, წინააღმდეგ. „რასინისა და შექსპირის“ პირველი ნაწილის მესამე თავში „რა არის რომანტიზმი“, სტენდალს რომანტიზმი წარმოადგენილი აქვს ზელოვნებად, რომელიც ხალხებს, „მათი ზნე-ჩვეულებებისა და რწმენათა თანამედროვე მდგომარეობისა“, ანიჭებს „ყველაზე დიდ ტკობას“, კლასიციზმი კი, პირიქით, „ყველაზე დიდ ტკობას ანიჭებდა მათ პაპებს.“⁴⁷ შესაბამისად, სოფოკლეს და ევრიპიდეს, შექსპირიც და რასინიც სტენდალს რომანტიკოსებად მიაჩნდა, რადგანაც ისინი თავიანთი შემოქმედებით ასახავდნენ თანამედროვეობას, აკმაყოფილებდნენ თანამედროვეთა ესთეტიკურ მოთხოვნილებებს. შესაბამისად, სტენდალი ასეთ დასკვნას აკეთებს: „არსებითად, ყველა დიდი მწერალი თავის დროს რომანტიკოსი იყო.“⁴⁸

როგორც ვხედავთ, რომანტიზმი ძალზე განსხვავებულად ესმოდათ ადრეული და გვიანდელი რომანტიზმის პერიოდში. მრავალი დისკუსიის, თეორიული ნაშრომის თუ ცალკეული სტატიის მიუხედავად, ვერ მოხერხდა დაედგინათ რომანტიზმის არსი. განსაკუთრებით გაუჭირდათ მიეცვლიათ რომანტიზმის სათავეები, რომლებსაც ეძებდნენ ზალზერ პოეზიაში, ანტიკურ ლიტერატურაშიც, ქრისტიანული ეპოქის მწერლობაშიც, მუსლიმანური სამყაროს პოეზიაშიც. 1823 წელს დაწერილ „წერილში რომანტიზმის შესახებ“, იტალიელი რომანტიკოსი ალესანდრო მანძონი (1785-1873) აღნიშნავდა, რომ ტერმინ „რომანტიკულს“ სხვადასხვა, განსხვავებული განმარტება აქვს საფრანგეთში, გერმანიაში და ინგლისში, ხოლო იტალიაში „რომანტიზმი“ ესმით როგორც გარკვეულ შეხედულებათა სისტემა, რომელიც გამორიცხავს მითოლოგიის გამოყენებას, მონურ მიზანძვას კლასიკოსებისადმი, კლასიციზმისათვის დამახასიათებელ წესებს.⁴⁹

შ ე ნ ი ზ ზ ე ნ ბ ი

1 იხ. The Works of Lord Byron, Letters and Journals, edited by R. E Prothero, vols I-VI, vol. IV. London-New York, 1900, p. 274.

2 А. С. Пушкин, Письмо П. А. Вяземскому. — Собрание сочинений в десяти томах, т. IX, М., «Художественная литература», 1962, с. 163.

3 В. Г. Белинский, Сочинения Александра Пушкина. Статья вторая. — Полное собрание сочинений, т. VII, М., Изд-ство АН СССР, 1955, с. 144.

4 М. Ф. Овсянников, Эстетическая концепция Шеллинга и немецкий романтизм. — В кн.: Шеллинг. Философия искусства, М., 1966, с. 20.

5 იხ. 'Romantic' and Its Cognates The European History of a Word, edited by Hans Eichner. Manchester U. P., 1972, p. 4.

об. Deutsche Literaturkunde 29/30. Stuttgart, 1890, S. 17.

7. Herder. Samtliche Werke. Suphan, Berlin, 1877, Bd. IV, S. 139; Bd. V, SS. 360, 361.

8. ф330, ф. V, з3. 385; ф. XIV, з3. 444; 9. ф330, ф. XXXII, з3 30; 10. ф330, ф. XXXII, з3. 316; 11. ф330, ф. XIV, з3. 440; 12. ф330, ф. IX; з3 525; 13. ф330, ф. I, з3. 266.

14. Schillers Werke in fünf Banden, Bd. I. Volksverlag Weimar, 1962, S. 315.

15 **Фридрих Шлегель**, Эстетика. Философия. Критика. В двух томах т. 1. М., «Искусство», 1983, с. 73.

16. ф330, ф. I, з3. 77; 17. ф330, ф. I, з3. 77-78; 18. ф330, ф. I, з3 103; 19. ф330, ф. I, з3. 140; 20. ф330, ф. II, з3. 402; 21. ф330, ф. I, з3: 182;

22 см. Литературные манифесты западноевропейских романтиков. Изд-ство Московского университета, 1980, с. 149.

23. ф330, з3. 150.

24 **Фридрих Шлегель**, Эстетика. Философия. Критика; т. I, с. 294-295.

25. ф330 ф. II, з3. 285; 26 ф330, ф. II з3. 287; 27. ф330, з3. 321; 28: ф330, ф. II, з3. 322.

29 **А. В. Шлегель**, Суждения, мысли и идеи о литературе и искусстве. — В кн.: Литературные манифесты западноевропейских романтиков, с. 127.

30. ф330, з3. 128; 31. ф330, з3. 131; 32. ф330, з3. 132-133.

33 Н.—Д. Dehnke, A. W. Schlegels Berliner und Wiener Vorlesungen und die romantische Literatur. — In: „Weimarer Beiträge“, 1968, № 4.

34 A. W. Schlegels samtliche Werke, hrsg von E. Böcking, Bd. V. Leipzig, 1846, S. 5.

35 **Л. Тик**, Любовные песни немецких миннезингеров. — В кн.: Литературные манифесты западноевропейских романтиков, с. 108-109.

36. ф330, з3. 110-111.

37 Н. Heine, Die romantische Schule. — In: Heines Werke in fünf Banden, Bd. IV. Volksverlag Weimar, 1962, S. 189.

38. ф330, з3. 195.

39 **А.-Л.-Ж. де Сталь**, О Германии. — В кн.: Литературные манифесты западноевропейских романтиков, с. 384.

40. ф330, з3. 385; 41. ф330, з3. 386.

42 **Виктор Гюго**, Предисловие к изданию 1824 года сборника «Оды и баллады». Собрание сочинений в пятнадцати томах, т. XIV. М., «Художественная литература», 1956, с. 29-30.

43. ф330, з3. 31; 44. ф330, з3. 82-93.

45 **Д. Берше**, Полусерьезное письмо Златоуста к сыну. — В кн.: Литературные манифесты западноевропейских романтиков, с. 486-488.

46 **Стендаль**, Что такое романтизм? Спрашивает г-н Лондонно. Собрание сочинений в пятнадцати томах, т. VII. М., изд. «Правда», 1959, с. 114.

47 **Стендаль**, Расин и Шекспир. Там же, с. 26.

48. ф330, з3. 58.

49 **А. Мандзони**, Письмо о романтизме к маркизу д'Адзельо. — В кн.: Литературные манифесты западноевропейских романтиков, с. 520-521.

დიאלოგი სახალხო არტისტთან

დაბადების სამოცდამეათე და ხასცენო მოღვაწეობის ორმოც-
დამეათე წლისთავი შეუხსრულდა მერაბ ხინიკაძეს — ცნობილ ქა-
რთველ მსახიობს, თეატრალურ და საზოგადო მოღვაწეს, ხელოვანს,
რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი ბათუმის
მუდმივმოქმედი პროფესიული თეატრის შექმნასა და განვითარე-
ბაში, როგორც მის ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ მშენებელს, მის ჰე-
მარიტ ბურჯს აწ განსვენებულ იუსუფ კობლაძესთან ერთად, მის
მშვენებასა და სიამაყეს.

მ ხინიკაძის ხაიუბილიცო საღამოს ინფორმაციას წაიკითხავთ
ჩვენი ჟურნალის ამ ნომრის განყოფილებაში „გასულ ორ თვე-
ში“ იმის წინ კი საქართველოს სახალხო არტისტი მერაბ ხინიკაძე
„ჭოროხის“ რედაქციაში მოვიწვიეთ. გაიმართა გულახდილი საუბა-
რი თეატრალური ხელოვნების თითქმის ყველა ასპექტზე. გთავა-
ზობთ ამ დიალოგის სტენოგრაფიულ ჩანაწერს.

— ბატონო მერაბ, ვიცით, რომ თეატრით თქვენი გატაცება დაკავშირებულია
1932 წელს ბათუმში გამართულ რუსთაველის თეატრის გახსნისთან, როცა თქვენ
19-20 წლისა იყავით...

— ალბათ, ამას უკვე გატაცებას ვერ უწოდებ. ეს ცოტა მეტია, დაახლოებით. ის,
რასაც ხატოვანდ „დავალებას“, „უკურნებელ სენს“ ვეძახით. სწორედ ამ „უკურნებე-
ლმა სენმა“ დამრია ხელი, როცა ვნახე „ანზორი“ და „ლამარა“, მთელი ღამეები არ
მეძინა. რომ იტყვიან, ბუდიდან ამოვარდნილი ვიყავი. მაშინ გადაწყვეტიტ მტკი-
ცედ, რომ თეატრის გარეშე სიცოცხლე არ მინდოდა.

საერთოდ ასეა, თეატრში პირველად გაიცნობ არც თუ ისე ნიჟიერ არტის-
ტებს. მეც ასეთ არტისტებს გავეცანი. ოღონდ შემდეგ გავიგე; თეატრის წინ რომ
გამოეფინებოდნენ, ნიჟიერი არ გახლდნენ (ხორავა და დავითაშვილი არ ღებოდნენ თეა-
ტრის წინ!), მათ გავუხილე ჩემი გადაწყვეტილება. იმათ მიმიყვანეს ია ქანთარასთან,
სალიტერატურო-ნაწილის გამგე იყო. მეორე დღეს მან წარმადგინა სანდრო ახმეტელ-
თან.

ახმეტელმა გამომკითხა ყველაფერი: ვინ ვარ, სად ვცხოვრობ, მშობლები ვინ მყავს,
თუ ვსწავლობ... ბოლოს შემპირდა, „თეატრში წაგიყვანო“.

მერე გავიგე, რომ სანდრო ახმეტელი მივიდა აჭარის მთავრობაში და განუცხადა:
„მე ვამზადებ ახალგაზრდებს დალესტინისათვის, შუა აზიის რესპუბლიკებისათვის, იმათ
უქმნი თეატრს. და რატომ აჭარას არ უნდა მოეუშადაო...“

— ცხადია, სიამოვნებით მიიღეს ზისი წინადადება. გამოცდები ჩაიბარა თვითონ

ახმეტელმა და თქვენც მოხვდით იმ თორმეტ ასლგაზრდას შორის, რომელიც დიდმა რეჟისორმა 60-დან შეარჩია სტუდიაში ჩასარიცხად...

— ისე, მანამდეც უყავი თეატრით: გატაცებული, მაგრამ არ მაკავებდნენ დრამატულ წრეში.

— ვიცით, რომ იმ დრამატულ წრეს ბათუმის პედაგოგიურ ტექნიკუმიში, სადაც სწავლობდით, ხელმძღვანელობდა ვასო ურუშაძე, საკმაოდ სოლიდური ფიგურა მაშინ. დედოქაროვ თეატრში.

— სწორედ ვასო ურუშაძესთან მივედი და არ მიმიღო.

— დაგიწუნათ?

— დამიწუნა. ერთხელ გამოვეცხადეს, რომ თეატრი დგამსო „ანზორს“. ჰოდა, მასობრივ სცენებში ხალხი არისო საჭირო. გაგვაგზავნეს მოსწავლეები. სცენაზე რეჟისორი გადიოდა დიდო ანთაძე. გავესინჯეს და... დიდო ანთაძემაც გამომისტუმრა: არ ეარეგებო. რომ დაიდგა ეს სპექტაკლი უნდა გენახათ, როგორ ვუყურებდი ჩემს ამხანაგებს სცენაზე.

— გული დაგწუდებოდათ...

— რასაკვირველია.

— უნდა ვიგულისხმოთ, რომ თქვენი ყველაზე მკაფიო თეატრალური შთაბეჭდილება იმ პერიოდს განეკუთვნება...

— დიახ.

— აი, გვითხარით, როგორ, რით გავიტაცათ სიუჟეტმა, მთლიანად სპექტაკლმა, თუ ცალკეულმა როლებმა?

— ჯერ ერთი, თვითონ სპექტაკლი იყო რაღაც ზღაპრული, როლებს ხომ ნულარ იკითხავთ, თამაშობდნენ ხორავა, დავითაშვილი, ვასაძე... საოცარ შთაბეჭდილებას ახდენდნენ.

ასევე „ლამარაში“ — ვანიკო აბაშიძე, გიორგი დავითაშვილი, აკაკი ვასაძე, აკაკი ხორავა, თამარ წულუკიძე... „ლამარა“ და „ანზორი“ თავიდან ბოლომდე ზეპირად ვიცოდით. ჰოდა, ყველა როლს ვთამაშობდით.

— მარტოა, თქვენთვის, თუ წარმოუდგენელი ვინმეს?

— წარმოუდგენელი ამხანაგებს, ყველა როლს ვთამაშობდით და უბედნიერესი კაცი ვიყავი.

— მაგრამ რამდენადაც თქვენს შესახებ დაწერილი ერთი მონოგრაფიიდან გვახსოვს, იქაში დიდი ენთუზიაზმით არ შეხვედრიან თქვენს არჩევანს, რუსთაველის თეატრის სტუდიაში ჩასარიცხვას.

— და, ძმები, დედა, მამა, ყველა წინააღმდეგი იყო. იმიტომ, რომ მათ არ იცოდნენ, რა იყო თეატრი, რა დანიშნულება ჰქონდა...

— ბარემ ის საინტერესო ეპიზოდიც გავისხენით, მერაბ-ბატონო, როგორ გავაცილეთ, მამამ, რომელიც ასე წინააღმდეგი იყო თქვენი წასვლისა.

— ერთი საბანი (მასხოვს, ნაჭრებისაგან შეკერილი საბანი იყო დედაჩემისა). ერთი ლეიბი და ერთიც ბალიში მოვხვეი და მეზობელთან დავმალე. ნაშუადღევს მოვიკიდე ზურგში (მაშინ მანქანა არ იყო) და ჩამოვედი ქობულეთის სადგურში. იქიდან მახარაძის მატარებელს უნდა გამოეყოლოდი ბათუმში, ბათუმიდან კი, სხვა სტუდიელებთან ერთად, თბილისს უნდა გავმგზავრებულყავი.

როგორც ჩანს, ჩემმა დამ გამცა — გაიპარა, წავიდა თბილისში და...

იცით, მე კარგი ცხენი მყავდა. საერთოდ ცხენებით ძალიან გატაცებული ვიყავი და კარგი ცხენიც მყავდა. ჩემი ლაპარაკი ესმოდა. ჰოდა, ედგეგარ სადგურში, გელი მატარებელს და ვხედავ: ჩემს ცხენს მამაჩემი მოაგვლევს. ავღელდი. ვიფიქრე, თუ დამიწყო ახლა ყვირილი და უკან დაბრუნება მომთხოვია, რა თქმა უნდა, ძალიან ცუდია, რად-

გან არ დავემორჩილები-მეთქი. მაშინვე გადმოხტა ცხენიდან, ამოვიდა ბაქანზე, შოვიდა ჩემთან, უსიტყვოდ — ამოიღო ფული, ხელში ჩამიღო, ასევე უსიტყვოდ შებრუნდა, მოახტა ცხენს და გაქუსლა.

— თქვენ, ბუნებრივია ეს მიიღეთ, როგორც გზის დალოცვა?

— დიახ, ისეთნაირად ვიყავი რომ... ერთი წელი გავიდა და მე სახლში არ ჩამოვსულვარ. არდადეგების დროს მხოლოდ ერთი დღით ჩამოვედი. თეატრი მოსკოვს მიდიოდა საგასტროლოდ და მეც მივყვებოდი.

— ეს 1933 წლის გასტროლები იყო, არა?

— დიახ. 1935 წელს დავამთავრეთ სტუდიის „აპარული სექცია“ და იუსუფ კობალაძესთან ერთად თეატრში ჩამრიცხეს.

ჩვენთან ერთად მიიღეს „აპარული სექციის“ პირველი ჯგუფის კიდევ სამი წევრი: ისკენდერ კაიკაციშვილი, გრიშა კობახიძე და ნუცა ფხაკაძე. ჩვენ ყველა სპექტაკლში ვიყავით დაკავებული და თეატრში ვირიცხებოდით, როგორც მსახიობები.

— ასე რომ, პირველი როლი პროფესიულ სცენაზე რუსთაველის თეატრში შეასრულეთ.

— ასეა. პირველი როლი ვითამაშე „თეთნულდში“. ოთხი ძმიდან ერთ-ერთს ვთამაშობდი. ასეთი მომენტი მასხოვს: სპექტაკლი რომ დამთავრდა, გრიში მოვიხსენი და მივდივარ გასასვლელში. იქ შემხვდა გიორგი დავითაშვილი. მომკიდა ხელი, როგორც ბავშვი, ამიყვანა ხელში, მაკოცა და ასე მითხრა: „ეს რა როლია, მაგრამ შენ, გატყობ, კარგი მსახიობი დადგებიო“. ახალბედა ასე დამლოცა გიორგი დავითაშვილმა და ეს არ დამავიწყდება ჩემს ცხოვრებაში.

— საინტერესოა... გიორგი დავითაშვილი, ხომ ბათუმელი იყო წარმოშობით?

— როგორ არა, თავიც მოჰქონდა, რომ ბათუმელი იყო. სხვათა შორის, როდესაც მან შმაგას როლი ითამაშა ბათუმში, სპექტაკლის შემდეგ მთელი ღამე დადილობით ქუჩებში. ათეალიერებდა და იგონებდა ძველ ამბებს, უხაროდა, რომ ბათუმელი იყო.

— მსახიობის შემოქმედება ბევრად არის დამოკიდებული რეჟისორზე. ისიც ცხადია, რომ თქვენ ამ მხრივაც გაგიმართლათ, მეტადრე შემოქმედებითი მოღვაწეობის დასაწყისში (სანდრო ახმეტელი, დოდო აღუქსიძე, არჩილ ჩხარტიშვილი). შემდგომი წლებიდან ვის აღნიშნავდით რეჟისორთაგან, ვისთანაც საინტერესო იყო თქვენი მუშაობა.

— ვახტანგ ტაბლიაშვილს. კარგად მუშაობდა.

— ვინ იყვნენ და არიან თქვენი საყვარელი პარტნიორები?

— იუსუფ კობალაძე იყო ჩემი საყვარელი პარტნიორი. ჩვენ ერთმანეთს უსიტყვოდ ვუყვებოდით, ვუხიბვოდით, წეწვობილი ვიყავით ერთმანეთთან და სამწუხაროა, რომ თეატრმა სრულად ვერ გამოგვიყენა იუსუფი და მე. არ მოჰქონდათ ისეთი პიესები, სადაც ჩვენ პარტნიორები ვიქნებოდით. ხშირად ჩვენ ერთმანეთის დუბლიორებად გენიშნავდნენ და ეს არც ჩვენ, არც მაყურებელს არაფერს აძლევდა. ჩვენ პარტნიორები ვიყავით „ბრმაში“, „მოკვეთილში“, „თეატრში“, მე — თეატრში. ის — ალი-ფაშა, ის — ოტელო, მე — იაგო, „კიკვიძეში...“ როდესაც ჩვენ ვიყავით პარტნიორები, ძალიან ბევრს ვაკეთებდით.

ქალბიდან ნუცა ფხაკაძე იყო შეუდარებელი პარტნიორი. ასეთი ემოციური, ღრმა არტისტი მე პარტნიორად სხვა არ შემხვედრია. ის რომ ზეინახს თამაშობდა, მე-3 მოქმედებაში, მე ზურგით ვიდექი მაყურებლისაკენ და რომ მეუბნებოდა, „ქრისტე აღსდგაო“, ფეხებში ვეუბრდებოდი, ისეთი იყო... ნუცა ჩხეიძესთან მითამაშვია რამდენჯერმე „ღალატში“, „უდანაშაულო დამნაშავეში“, მითამაშვია ვერიკო ანჯაფარიძესთან, მაგრამ მომიტყვევს ყველამ, ნუცა ფხაკაძე საოცარი იყო, ზღაპრული. შენი ადგილი რომ იყო, თითქოს გაუჩინარდებოდა სცენიდან...

— თქვენი საყვარელი დრამატურგებიც დავისახელოთ.

— ჩემი საყვარელი დრამატურგები — პოლიკარპე კაკაბაძე და ჩეხოვი, თუმცა არ მომიხდა მათ პიესებში თამაში. სამაგიეროდ, ბევრი ვითამაშე ოსტროვსკი. მიყვარს ვალერიან კანდელაკი, ნოდარ დუმბაძე, ლევან გოთუა, არ დამავიწყდება როგორ წამიყვანდა ლევანი ყოველ დღით ზღვისპირას და როგორ ვამზადდებდი ერეკლეს...

— სულ რამდენი როლი გაქვთ ნათამაშევი?

— ალბათ, 150-მდე.

— მათგან რომელი მიგაჩნიათ იმ სიმაღლის ნამუშევრად, რომლებითაც შეიძლება იმაჟოს მსახიობმა მერაბ ხინიკაძემ?

— მე გამოვეყვით კიკვიძეს, მეფე ერეკლეს, იაგოს, ბეჟანას ნოდარ დუმბაძის „მე ვხედავ მზეში“, სელიმ ხიმშიაშვილს.

— ახლა, პირიქით, რომელი სცენური სახით ხართ უკმაყოფილო, მიგაჩნიათ, რომ არ გამოგივიდათ?

— უკმაყოფილო ვარ „პამელტი“. ვერ შევთანხმდით მე და არჩილ ჩხარტიშვილი.

საერთოდ რეჟისორებთან ბევრს ვლაპარაკობდი. თუ მივალწევდი რამეს, მივალწევდი, თუ არა და — მაინც იმას ვაკეთებდი, რაც მე მინდოდა და სულ იყო გამუდმებით ჩხუბი ჩემსა და რეჟისორებს შორის.

— ესე იგი, თქვენ არ იზიარებთ იმ აზრს, რომ რეჟისორი მთავარი ფიგურაა თეატრში, განუსაზღვრელი უფლებებით აღჭურვილი დიქტატორი?

— საქმე ისაა, რომ ეს დიქტატორობა ხშირად (ო, რა ხშირად!) მსახიობის შემოქმედებას ჰკლავს. მე, მაგალითად, ისეთი მსახიობი ვიყავი, რომ მოუშაღებელი არ მოვიდოდი სპექტაკლზე, რეპერტიუაზე, თუ რაიმე ლიტერატურა იყო, თუ აქ ვერ ვიშოვიდი, თბილისში ჩავდიოდი, ვსწავლობდი.

ოთარ-ბეგის როლი რომ მომცეს, მთელი ათი დღე საჯარო ბიბლიოთეკაში ვიჭექე და იქ ვსწავლობდი, ვინ როგორ ითამაშა, რა გააკეთა... მინდოდა, არ მეცლო გაკავალული გზით, ჩემი გზა მეპოვნა, მჭეროდა, თუ თავდავიწყებით იმუშავებ როლზე, არ შეიძლება არ გამოგივიდეს.

— ხომ არ არის ისეთი სახე კლასიკურ დრამატურგიაში, თუგინდ საბჭოთა დრამატურგიაში, რომლის თამაში, გულთბი გეწადათ, მაგრამ ვერ შეისრულეთ.

— მსახიობს ყველა კარგი როლის თამაში უნდა, მაგრამ ამის საშუალება სადაა!

— თეატრის ისტორიაში ბევრი არის შემთხვევა, როცა მსახიობს ძალზე ბედნიერი დებიუტი აქვს, იოლად იპყრობს მაყურებელს, გკერათ შემთხვევითობისა, თუ წინა პლანზე კანონზომიერებას აყენებთ?

— არის შემთხვევა, როცა მსახიობი ძალიან იოლად აღწევს წარმატებას, მაგრამ მალე ქრება. ესე იგი, მყარი საფუძველი უნდა ჰქონდეს. შეიძლება პირველადვე აღიარება ვერ მოიპოვო, მაგრამ თუ მყარი საფუძველი გაქვს, უსათუოდ მიაღწევ. მე არ მინდა დავასახელო ისინი, ვინც კარგად დაიწყეს, მაგრამ ვერ მიაღწიეს მიზანს.

— რა არის აუცილებელი, რომ კარგი მსახიობი გახდეს კაცი?

— შრომა და ნიჭი. უნდა იმუშაო განუწყვეტლივ. უწიგნური არტისტი არაფერს არ ჰგავს.

— თქვენ უკვე რამდენადაც უპასუხეთ შეკითხვას, რომელიც ახლა გვინდა დავისვათ და ვინაა რაიმე დაუშავოთ, შევაცხოთ. როგორ ემზადდებოთ პრემიერისათვის, საერთოდ, სპექტაკლში სათამაშოდ?

— მე მიკვირს, როცა ვხედავ, რომ ჩემი ამხანაგები სხედან ფოიეში, ლაპარაკობენ, ჩხუბობენ, მერე ეუბნებიან „შენი გამოსვლაა“ და გამოდიან. მე ამას ვერ ვიხამ. თეატრში ადრე მოვდივარ, ვიცვამ და ვზივარ კულისებში, არავის არ ველაპარაკები, „შევდივარ“ სახეში... სიტყვამ მოიტანა და იმასაც გეტყვით, არასოდეს არ ყოფილა ჩემს

პრაქტიკაში, რომ ჩემზე დაეწეროთ ბრძანება, რომ მე დამეგვიანოს, რეპეტიციას
დავსწრებოდე.

— გვახსოვს რაოდენ პოპულარული იყვნენ ბათუმში კობალაძე და ხინიჭაშვილი. არა,
ამ პოპულარობაზე რას იტყვი, როგორ უყურებთ მას?

— რასაკვირველია, სასიამოვნო ტვირთია ეს. არა მარტო ქალებს უხარიათ შექება,
კომპლიმენტები, ალტაცებული მზერა... მაშაყაცებსაც, მეტადრე მსახიობებს, აქვთ
ასეთი თვისება, მაგრამ დაუმსახურებელი ალტაცება, ქება, ტაში არ უნდა მიიღო.

— რას ფიქრობთ, თეატრში ახლად მოსული ახალგაზრდა მსახიობის დასში „ჩაწე-
რაზე“, საერთოდ მისი შემდგომი შემოქმედებითი ზრდის საკითხებზე?

— ერთხელ თეატრალურ ინსტიტუტში გამინაწყენდნენ იმის გამო, რომ ვთქვი:
ინსტიტუტში თეატრის ჩვენებს არ ასწავლიან—მეთქი. დიახ, როგორ უნდა მოიქცეს მსა-
ხიობი, თეატრში რომ მივა, არ იცის. ამას კი დიდი ყურადღება უნდა ექცეოდეს.

— რა აზრისა ხართ დღევანდელ ქართულ თეატრზე? კითხვა გლობალურად რომ
არ მოგეჩვენოთ, გთხოვო ძალიან მოკლედ გვათხრათ მის დღევანდელ წარმატებებზე,
მიმართულებებზე, იქნებ შენიშვნაც გაქვთ.

— დღევანდელი ქართული თეატრი რობერტ სტუჯუამ მსოფლიო არენაზე გაიყვა-
ნა და დიდი აღიარება მოუპოვა. მაგრამ ეს გზა რამდენად გამართლდება, შომაველის
საქმეა... ამ ცდებმა მთლად დააბნია ზოგიერთი რეჟისორი. არ იციან, როგორ დადგან,
რა დადგან. ყველა ცდილობს რაღაც „ფოკუსები“ გააკეთოს. მე კი ვუჩრევდი მათ, და-
ნებოდი ეს სტურუას, ამდენი თანაშემწე მას არ სჭირდება, არც ამდენი მიმდევარი.

— 20-30 წლის წინათაც პიესის, სპექტაკლის ერთი მთავარი ატრიბუტი იყო მო-
ნოლოგი. ახლა თითქმის გაქრა მონოლოგი სცენიდან. რა მიგაჩნიათ ამის მიზეზად?

— დაბალი დონე მსახიობებისა. დრამატურგიაც გაურბის უკვე მონოლოგს. შეგს-
პირი კი, მოგესხენებათ, სულ მონოლოგებით არის სავსე. მონოლოგზე იზრდება მსახი-
ობი.

— რა ამოცანები, რა პრობლემები დგას, თქვენის აზრით ახლა თეატრალური ხე-
ლოვნების წინაშე?

— დღეს მსოფლიო დაძაბული რიტმით ცხოვრობს და ამ დაძაბულობის ვითარე-
ბაში თეატრმა უნდა განახორციელოს ისეთი სპექტაკლები, მაყურებელს შეეძას რომ
მისცემს, ამ დაძაბულობის რაღაცენიარად შენელებას რომ შეუწყობს ხელს, კეთილ გან-
წყობილებას შექმნის. თეატრი, რა თქმა უნდა, ტრიბუნაა და, თუ საქირო დარჩა, მო-
წოდების სიმაღლეზე უნდა იდგეს.

— დღევანდელობის რიტმისათვის ფეხის აწყობა, ალბათ, ეხება ბათუმის თეატრსაც.

— დიახ, და, უპირატეს ყოვლისა, რეპერტუარი!

— როგორ მიგაჩნიათ პირობითი დაყოფა, ეგრეთ წოდებული ზღვარი დედაქალა-
ქისა და პერიფერიის თეატრებს შორის?

— იუსუფ კობალაძე ბოლომდე მძაფრად განიცდიდა ასეთ დაყოფას. რა დავიმა-
ლოთ, მეც ასევე განვიციდი ამ „გრადაციას“. მიმაჩნია, რომ კულტურის სამინისტრომ
ისე უნდა დააყენოს საქმე, რომ თუ არის თეატრი, კიდევ უნდა იყოს თეატრი თავისი
სიმაღლით, მოწოდებით და არა პროვინციულის იარლიყით და აქედან გამომდინარე
შეღავათებით. ხომ არ ვამბობთ ნოდარ დუმბაძეზე — „თბილისელი მწერალიო?“
მისი ნაწარმოებები ხომ საერთო ქართულია! ნოდარ დუმბაძეს თბილისშიც და რაიო-
ნებშიც თამაშობდა. რაიონში იმ დონეზე უნდა ვითამაშოთ, როგორც თბილისში. თუ,
სამწუხაროდ, ვერ ვითამაშობთ იმ დონეზე, ვისაც ეს ეხება, არ უნდა მისცენ ნება ასე-
თი სპექტაკლების ჩვენებისა. მაშინ არ იქნება ეს დაყოფა.

— მოგესხენებათ, პანეფთისი ერთი პატარა ქალაქია ლიტვაში, იმაზე ნაკლები მნი-
შვნელობისა ამ მოძმე რესპუბლიკისათვის, ვიდრე ბათუმში საქართველოსათვის. იქ კი,

ვიცი, რა დონის თეატრია. იქ წაშლილია ზღვარი, რაზეც ახლა ვლაპარაკობდით. იქ უამრავი ხალხი საგანგებოდ ჩადის სპექტაკლების სანახავად.

— იყო დრო, ჩვენთანაც ჩამოდიოდნენ პრემიერაზე, ჩამოდიოდნენ ბათუმელები, თბილისში რომ სწავლობდნენ ან მუშაობდნენ და უყვარდათ ჩვენი თეატრი, ჩამოდიოდნენ თბილისელებიც, ქუთაისელებიც, ფოთელები, მანარაძელები... ვანა ასევე არ იყო, როცა მარჯანიშვილის თეატრს ქუთაის-ბათუმის თეატრი ერქვა?

— მოდი, ერთი ტრადიციული კითხვით დავამთავროთ, მერაბ-ბატონო, ჩვენი დიალოგი: რომ გქონდეთ საშუალება ნახევარი საუკუნით უკან დაბრუნებისა, ყველაფრის თავიდან დაწყებისა, როგორ მოიქცეოდით, შეცვლიდით რაიმეს განვლილ ცხოვრებაში, ან სულ სხვაგვარად ხომ არ წარმართავდით?

— მე ჩემი თეატრალური საქმიანობით კმაყოფილი ვარ. ძალიან ბევრი ტყვილი, მაგრამ უფრო მეტი სიხარული მოუტანია ჩემთვის თეატრს და არ ვისურვებდი რაიმე კორექტივი შემეტანა ჩემს განვლილ ცხოვრებაში. ასე რომ, კმაყოფილი მივდივარ თეატრიდან.

— თქვენ თქვით „მივდივარ“. ეს, ალბათ, არ არის ზუსტი სიტყვა და დღეს, თქვენს საიუბილეო დღეს, თქვენი მაცურებლების სახელით, გისურვებთ კიდევ დიდხანს არ წასულიყავით თეატრიდან, კიდევ დიდხანს თქვენეული რწმენით და სიმართლით ემსახურათ მშობლიურ თეატრს.

— გმადლობთ. ჩემი ძვირფასი მაცურებლისადმი მადლობისა და თაყვანის მეტი რა მეტქმის! იგი ხომ ყოველთვის მაქეზებდა, მანებევრებდა, მამაძლებდა და ჩემი ბოლო სიტყვაც მისდამი მხურვალე მადლობაა და გულწრფელი სურვილი — კარგი, პროფესიული თეატრალური წარმოდგენები არ მოჰკლებოდეს აწ და მარადის!

საუბარი ჩაწერა ზაზა პეტრიაშვილმა.





ს ე მ ი ნ ა რ ი

— გავ-გიჟ-დე-ბი! — დამარცვლა სიტყვა ჩემმა თანაკურსელმა სიმპა-
თიურმა მარინემ. იგი ფეხმორთხმული ზის საწოლზე, ხელში ვარდის-
ფერყდიანი პოლიტეკონომიის სახელმძღვანელო უჭირავს და გუგაგაფა-
რთობებული თვალებით ისე მიცქერის, ღამის ჩამყლაპოს.

ვამშვიდებ, მაგრამ ამაოდ. ან რა დაამშვიდებს. ზვალ სემინარი-
გვაქვს, ორი თემაა მოსამზადებელი — ათი საკითხი ხუთი წიგნიდან.
იოლი როდია, თანაც ეს დღეები ისე წაეწყო ერთმანეთს და ისე გაიძურ-
წა, რომ...

მეტი რა გზაა, ღამის გათენება მოუწევს.

— გაწყლით ბიჭები, ლექცია თქვენ არ გადარდებთ და სემინარი!.. —
მარინემ ვაჟები ჩემი თამალობით დალოცა, სათვალე ნერვიულად მოიხსნა,
ლოგინიდან მოხერხებულად წამოდგა, მაგიდიდან სკამი გამოწია და და-
ჯექი, ფეხზე რატომ დგებარო, — მანიშნა.

— რა მეშველება, ვიცი გამომიძახებს, — აწუწუნდა ისევ მარინე, —
ერთი კვირაა ამ სემინარის მოზადებას ვაპირებ... — ხელში წიგნი აიღო,
ერთხანს უგულოდ ფურცლა, მერე თავი წაწოსწია და შემომხედა, —
საშინლად მეზარება წიგნის კითხვა. — დასძინა საოცრად თბილი და დამ-
ყოლი ხმით.

— ერთ ბედს ქვეშა ვართ, მარინა, მე და შენ. — შევაწიე სიტყვა.
როდის-როდის დაწყენარდა.

„მორჩა-მეთქი“, — ის-ის იყო გავიფიქრე მცირე პაუზით გულდადინ-
ჯებულმა, რომ მარინემ მეტად ტრაგიკული სახე ზიილო გამოუვალ მდგო-
მარეობაში ჩაჯარღნილ ადამიანავით და ისევ ძველებურად წამოიძახა:

— ნამდვილად გავგიჟდები!

მართალია, ცოტას კი შევცბი, ზაგრამ არ დავიბენი. ერთი-ორი სა-
აღერსო სიტყვა შევაწიე დასაშოშმინებლად. რაღა მაინცდამაინც ჩემს
ხელში და ჩემს თვალშუა უნდა გაგიჟებულიყო, თუ კი ასეთი ზვედრი
მწერა საბოლოოდ?.. ევრიკა! თავში ნათელმა აზრმა გამიელვა, რაღაც
საკმაოდ ეფექტური შედეგი გამოიღო და საუბრის თემაც იოლად შეცვალა.

— ახალი ლექსი ზომ არ შეგითხზავს?

მარინე ზოულოდნელ შეკითხვას არაჩვეულებრივი სიღინჯით შეხვდა. შევატყვე, იმის გაგება სურდა, ვეხუმრებოდი თუ არა. დიდხანს ორჭოფობდა და პასუხიც დაუგვიანდა.

— გინდა წავიკითხო? — უცებ აჭიკჭიკდა მარინე, მოწყენილი და გაბრაზებული გამოძეტყველება უმაღლესი სახიდან. თაროდან ზოხრდილი რვეული თუ რვეულების შეკერა გადმოიღო, მაგიდაზე ზუსტად ჩემს ცხვირწინ დადო და ფურცელას შეუდგა.

— გუშინ დავწერე, ისე მომწონს რომ... არ დაიბეჭდავენ?

მარინეს რამდენიმე ლექსით გაემდიდრებინა უკვე გასათხოვი ვოგონების უბის წიგნაკები. მისი პოეზია ჯერ ჩვენს კურსს გასცდა, მერე ფაკულტეტს, ბოლოს ინსტიტუტსა და ერთ მშვენიერ დღეს კიდეც დაიბეჭდა. ცხოვრებაში რა არ ხდება და მწერლობაში, მით უმეტეს! გასაოცარი ის გახლდათ მხოლოდ, რომ მარინეს ლექსებს გათხოვილებიც და გასათხოვრებიც ერთნაირად ეძალებოდნენ და იდგა რიგი და ვაი-უშველებელი, სანამ მათ უბის წიგნაკებში არ ჩაიქსოვებოდა უიქლო სიყვარულის რაფსოდია, მეოცნებე ქალწულის ფიქრები, აქაფებული მარილიანი ზღვის თავზე მოფარფატე თოლიასფერი მზეჭაბუკის გამოუცხადებლობით გამოწვეული ღიზილნარევი სევდა, წვიმის წვეთების ნაზი მელოდიურობა და პარკში ობლად მდგარი ტირიფების გულისამაწყვებელი ჩურჩული.

— მისმენ? — აწყად გადმოხედა მარინემ.

მეტი რა გზა მქონდა, სმენად ვიქეცი. იმის შეგრძნება, რომ ამოდენა პოეტი ვიხსენი გაგაფებისაგან, მთლად თუ არა, დროებით ჩაინც, სიამოვნებას მგვრიდა. უფრო მეტიც, გულწრფელად მიხაროდა.

მარინემ კითხვა დაიწყო:

— შენ ქალი ხარ,
იცი? — ქალი,
ჩუმი უნდა იწვოდე.
— მერე რაა,
რომ ქალი ვარ,
რაა ქალის სიცოცხლე!..

მარინე ხმადაბლა და გამოძეტყველებით კითხულობდა, თვალელები ოდნავ წიელულა. ხან მე მიცქეროდა, ხან ჩემს თავს ზემოთ კედელზე ჩამოკიდებულ ფერწერულ ტილოს, რომელზედაც ახალგაზრდა, სანდომიანი გარეგნობის ვაჟი, ყვავილების კონით ხელში მკერდიდან გულის ამოვარდნაღღ მოელოდა გულისწორს, მას კი, ალბათ, დათქმულ დროზე მოუსვლელობა არ ადარდებდა დიდად.

მარინემ კითხვა დაამთავრა. გაოგოტყდებოდა და ლექსი მომეწონა. არ დამიმაღავს — შევაქე და უკეთესი თუ არა, ამაზე უარესი არასდროს

დავეწეროს-მეთქი, წავაქეზე. მარინემ თანხმობის ნიშნად თავი დამიკრა და გაიღიმა...

ის-ის იყო მორიგი ლექსის წაკითხვას იწყებდა, ოთახში ომარა შემოვიდა და საქმიანი კაცივით აფუსფუსდა.

— ხომ ჯანმრთელად ხარ? — შეწუხდა მარინე.

ომარამ მარინეს შეკითხვა უპასუხოდ დატოვა, ერთი გულიანად ამოიოხვნეშა და ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე პოლიტეკონომიის დაკონსპექტებული სემინარი მოითხოვა. მარინემ წიგნი აიღო და ხელში შეაჩენა.

— ეს რაა? — პირი ღიად დარჩა ომარას.

— წაგნი!

— წიგნი რომაა, მეც ვხვდები.

— მაშინ რატომ კითხულობ?

— მე სემინარი მინდა.

— მანდ სწერია.

— არ გადამრიო! — ძალით გაიოცა ომარამ! — ამნაირი ოთხი მაქვს სახლში.

ომარა თანაკურსელი გახლდათ, არც იმდენად წყნარი, შეხედულება რომ აქვს და არც იმდენად უენო, სემინარზე რომ დაგამახსოვროს თავი. ისე გულკეთილი და თბილი ბიჭია, არავის უნახავს არც მაგის ნაწყენი კაცი და არც მაგის ხელში გადაშლილი წიგნი;

— რა ნა ვქნა? — სახეზე ფერი წაერთვა ომარას.

— ლოგინზე ჩამოჯექი, — ვურჩიე მე.

შევატყვევ აიმრიზა.

— შენ რა, უკვე მოამზადე სემინარი?

— ჯერ არა, მაგრამ გათვალისწინებული მაქვს... — ვანუგეშე.

— რომელ სემესტრში?

პასუხისათვის მზად არ ვიყავი და დაედუმდი.

— ბიჭებო, ახალი ლექსი არ გინდათ წავიკითხოთ? — აჟღურტულდა ძველებურად მარინე და ჭკვიანურ თვალებში ცის ნათელი ჩაუდგა.

— არა! — უკმეხად, ჩაგრამ სამართლიანად მიუგო ომარამ.

ბუნებრივია, ასეთი შეხლა-შემოხლის შემდეგ პოეზიის საღამო თუ დილა დამთავრდა. დღის წესრიგში ისევ სვალინდელი სემინარი დადგა.

— რა გვეშველება? — იკითხა დაზაფრულმა ომარან.

რისი იმედის ღიმცემი მე გახლდით, თავი გადაუქუნ-გადმოვუქნიე და აზრით ჩემი სამძიმარი გამოვხატე.

— არა, მართლა გავვიჟღებო! — გააბა მარინემ, — ასეთი რამ თუ გავი-გონიათ, ხალხო, ლექტორი გიყვარდეს და მისი საგანი — არა?

ომარამ ხელები გაშალა და თავი ჩაქინდრა.

— როგორ არა, — ამოვიღე ხმა, — უკუღმადაც გაჩივია, რამდენიც გინდა!

მოულოდნელად სიჩუმე ჩამოწვა ხმაურსა და ჟრიაშულს შერეულ ოთახში. ბოლოს მაინც ომარამ გვიხსნა.

— რუსიკოსთან წავიდეთ, — თქვა და გასხივოსნებული თვალებით შემოგვხედა ორთავეს, — მგონი, მერი და თინაც იქ იქნებიან.

— რა იცი? — ჰკითხა მარინემ.

— ვიცი.

— მაშინ წავიდეთ!

ქუჩაში ცივი ზღვაური ქროდა.

* * *

რუსო, როგორც ამხანაგები ვეძახით, იგივე რუსუდანი, როგორც პასპორტში სწერია, მერი, თინა, იგივე თინათინი კურსის ფრიალოსანი სტუდენტები გახლავთ. ან გოგონებს ყველა საგნის სემინარები ყოველთვის დროულად, სრულად და მშვენივრად ჰქონდათ შესრულებული. სიბეჯითე უფასდებათ კადეც. მათი ფოტოსურათები, დანაპირებისამებრ, უნდა გამოკრულიყო ჩვენი დეკანატიის პირდაპირ სახელდახელოდ გაწყობილ სტენდზე, ახლა სატირული ჟურნალი „ბზიკი“ რომ ჰქილია, იმ ადგილას, მაგრამ...

გეზი რუსიკოს ბინისაკენაა აღებული...

* * *

ადარ მახსოვს, პირველად ვინ თქვა, ბაზარში შევიდეთო. მარინე იტყოდა უთუოდ, ომარა მაგდენს რას მოიფიქრებდა, მე კი, ჩემი ჯიბის შემხედვარეს... ასეა თუ ისე, ახლა ბაზარში ვართ და ზურდა ფულებს ვითვლით. სამ მანეთაზე აგროვდა. ქაღალდის პარკი შევიძინეთ და შემოღვრამომძალებულ დახლებს დავეყვით.

— რა ღირს, ბიძია, წაბლი?

— მანეთი.

მარინემ შემოგვხედა და გვანიშნა, ძვირად აფასებს, რა ვქნა, ვიყიდეო თუ არაო. ორჭოფობა წაბლის პატრონმა შეგვატყო და გაეღიმა;

— ოთხმოცად იყოს, ჯეელები ჩანხართ, წაიღეთ, შეგერგოთ! — თქვა და ქაღალდის პარკისაკენ წაიღო ხელი.

მარინემ ისევ შემოგვხედა.

— ჩვენ, ბიძია, სტუდენტები ვართ. — ვთქვი და სტუდბილეთი, ჩემდა გასაოცრად, გულისჯიბეში რომ ჩამრჩენოდა, ათრთოლებული თითებით ამოვიღე და წაბლის განყიდველს გავუწოდე.



— რად მინდა? — გაკვირდა ღროული კაცი.

— წესია ასეთი, ბიძაჩემო, თხუთმეტ მაისამდე ნახევარ ფასში გვეყიდავენ თენის ყველაფერი. თვითმფრინავ-მატარებლის ბილეთებიდან დაწყებული, თქვენი წაბლით ღამთავრებული.

— ბართლა? — უზარმაზარი კითხვის ნიშანი აუტორტმანდა წაბლის გამყიდველს თვალებში, პირი კი თანდათან ისე გაუფართოვდა, რომ გულ-შეკანებული მარინე სასწოროს ბარემ სამი ფეხის ნაბიჯით მოვაშორე...

...სიცილი ომარას შესკდა, მერე მარინეს გადაედო, მეც ჩამითრია და ყველაზე ბოლოს წაბლის გამყიდველი ახორხოცდა.

— ნახევარ ფასად, თქვე ჯეელებო; ნახევარ ფასად, არა? — იძახდა იგი მაღიმალ და პარკში გამეტებით ყრიდა წაბლს.

მაღლობა სათითაოდ გადავუხადეთ და გამოვეშვიდობეთ. ფული არ მოუთხოვია და აბა, ჩვენ როგორ შევკადრებდით მამისტოლა კაცს.

* * *

რუსომ ომარა რომ დაინახა პირთაძე წაბლით სავსე პარკით ხელში, უმაღ გამოუკეთდა მოღრუბლული სახე, მობრძანდითო, ვითომ ყველას გვითხრა, ჩაგრამ რას გამოგვაპარებდა! უპირატესობა ვის მხარეზე იყო, მშვენივრად ვგრძნობდით და ისიც მედროშესავით ღირსეულად შეგვიძღვა ოთახში.

— ხუთოსნებს ჩვენი გაერთიანებული ვაშა! — სამოსანი სტუდენტების პირობაზე მშვენიერი მისაღება გამოგვივიდა.

— ვინაა რომ ხეაურობს მანდ? — მოგვესმა მეტად ნაცნობი ხმა.

თვალებს არც ერთი არ ვუჯერებთ. ჯუმბერა ზის და პოლიტიკონომიის სემინარს აკონსპექტებს. მეორედ ღოსვლა იყო ნამდვილად...

— ჯუ, მანქანითა ხართ? — აჟღერტულდა მარინე.

— არა „ლიშენია“ მაქვს..

ძლივს დავეტიეთ რუსოს „ერიცახე“ ოთახში. ზოგი სკამზე ჩამოჯდა, ზოგი ლოგინზე, ზოგიც რადიატორზე, ომარას კი ნოხი დაუგეს და იატაკზე ერგო ადგილი.

— ჩვენ რუსო... — წამოიწყო მარინემ, ომარამ გააგრძელა, და...

— ამოიღე ბიჭო ენა, პატარა წამოგვეშველე, სემინარზე კი არ ხარ გამოძახებული. — მუჯღუგუნთან ერთად მარინეს გაწიწმატებული ხმა შემომესმა და ძკლავი ამეწვა.

ამოვიღე ენა, წამოვეშველე გასაჭირში ჩავარდნილებს. უფრო მკაფიოდ, გასაგებად და რაც ღთავარია, მოკლედ ვუამბე რუსოს ჩვენი სტუმრობის მიზეზი.

— მართლა? — არ დაგვიჯერა მასპინძელმა.

— მართლა. — დაბეჯითებით, ლამის ერთად წამოვიძახეთ სანთავებ.
დაგვიჯერა რუსომ და რაკი დაგვიჯერა, მისებურად გაგვიცინა.

— ჩვენც ვწერთ, ორი საკითხი დავასრულეთ მხოლოდ.

— შენ და ჯუმბერაი?

— მე, ჯუმბერამ, ასლიკამ, მერიმ და თინამ. — სათითაოდ ჩამოთვალა რუსომ ცოდნამოწყურებული ხალხი.

— ახლა სად არიან?

— პურის საყიდლად ჩავიდნენ, მალე მოვლენ, მთელი დღე ლუკმა არ ჩაგვიდვია პირში, სტუმრობაც ანას ჰქვია, ერთად ვისადილებთ.

— არ მშია, — თქვა მარინემ და ზურგი შეაქცია ჯერ კიდევ გაუწყობელ მაგიდას.

— არც მე, — მხარი აუბა ოზარამ.

— ახალი ნასადილევი კი ვარ, მაგრამ... — რა ცუდია, როცა კაცს უარის თქმა არ შეგიძლია!..

* * *

მაგიდაზე ჯერ აჯიკით შებრაწული ქათამი გამოიჩნდა, მრგვალ-მრგვალი მჭადები, ლამაზად დაჭრილი ხაჭაპურები, დაწნილი პრასი, ძეგვე და მწვანეულობა, შემდეგ კი სანლიტრიან ბოთლში ჯაჭვებშიმდგარი სახლში გამოხდილი არაყი.

თამაძობა ჯუმბერამ ითავა, მოადგილეობა — ოზარამ, მერიქიფეობა — მე. საათივით აეწყო ყველაფერი. თითო-თითო ჭიქის შემდეგ ვინღა ისმენდა გოგონების ხეწნა-წუდარას — დღეს გეყოფათ, სუფრა უნდა ავაღაგოთ, რაღენი საწერი გვაქვს, ხომ იცითო!

— ბიჭებო, ბიჭებო! — ფეხზე წამოდგა თამადა, — ამ სასმისით...

* * *

დრო გადიოდა. ჭაჭის არაყი არაყოფდა. სასმისები განუწყვეტლივ ივსებოდა და იცლებოდა. არაყის ბოთლი თანდათან ცარიელდებოდა, ჩვენ ვივსებოდით მოზღვაებული გრძნობებით. გამხელილ ფიქრებს ბევრზე ბევრი სევდიანი თუ ღიმილიანი ლოგონება მოსდევდა თან.

დღევანდელი დღე იწურებოდა, ხვალ კი სემინარი გველოდა...



— კაცო, ზომ კარგად ითამაშეს ბათუმელებმა „კრილია სოვეტოვ-თან“?

— კი!

— ზომ ღირსეულად მიიღეს პირველი ლიგის საგზური?

— რა თქმა უნდა!

— აბა, უკაცოფილო რატომ ხარ?

— ფეხბურთი ფეხბურთია, მაგრამ იმისთანა წვიმაში თამაშისათვის წყალბურთის საგზურიც გვეკუთვნოდა.

* * *

— იცი, რა უთქვამს ჩელებამეს?

— არ ვიცი და მითხარი.

— სპორტული კარიერა კალათბურთით დავიწყე, ფეხბურთით გა-

ვარძელე და წყალბურთით დავამთავრე.

* * *

— ქალო, მონილოცე, ჩვენები პირველ ლიგაში არიან!

— რა გახარებს, შე უბედურო, ჩეორე ლიგაში გული ხელით დაგქონდა და პირველში თუ გადაგივარდა, მერე სად მიხვალ!

* * *

— კადეტოვის მაგივრად ფინალური მატჩი ჩვენი პროუკომის თავმჯდომარეს როგორ ემსახვა, თუ იცი, რა მოხდებოდა?

— ??

— ორივე გუნდს უსაგზუროდ დატოვებდა.

რეზიზ სანადირაძე.



ანჟორ ზამზამიძე

გიორგი მურვანიძე

პაპა, დინამოელებო!

„...უკანასკნელი წუთი მატჩისა... ბათუმის „დინამო“ იგებს და კვლავ აგრძელებს შეტევას, იბრძვის ისე გულდაგულ, თითქოს ანგარიში საერთოდ არ იყოს გახსნილი. კიდევ რამდენიმე წამი და ბათუმის „დინამოს“ უდიდესი სიამოვნებით გზას დავულოცავთ პირველ ლიგაში“...

ეს გახლავთ დოკუმენტური ჩანაწერი, კოტე მახარაძის უკანასკნელი სიტყვები იმ დაუფიქრარი მატჩის ტელეკომენტარიდან, მთელ საქართველოს რომ ამცნო ბათუმის „დინამოს“ ქეშმარიტი ტრიუმფი.

— ჩემზე ბედნიერი კაცი ამ წუთებში, მე მგონია, არავინ არის!.. ეს იყო ჩემი ოცნება, ჩემი სანატრელი სიხარული.

ეს რევაზ ჩელებაძე აპარის რადიოს მიკროფონთან თქვა მატჩის დამთავრებისთანავე. რა შესანიშნავია, რომ ამ სიტყვებს ამბობს ფეხბურთელი, რომელმაც ქეშმარიტად უდიდესი წვლილი შეიტანა ამ გამარჯვებაში!

მოუესპინოტო ვეტერანსაც — ადამიანს, რომელსაც ბევრი გაუკეთებია ქართული ფეხბურთისათვის ჯერ. ომამდე, როგორც ფეხბურთელს, ახლო წარსულში კი ბათუმის „დინამოს“ მესაქცეს — საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს, სპორტის ოსტატ ალექსანდრე ელიაშვილს. უამინდობამ მის საშუალება არ მისცა უშუალოდ სტადიონზე დასწრებოდა მატჩს და, ტელევიზორთან მჯდომი, მხურვალედ ქომაგობდა მშობლიურ გუნდს. იმ საღამოს სახლში რომ ვეწვიეთ წარსულში სახელოვან სპორტსმენს, უნდა გენახათ რა რიგ გახარებული იყო, ბევრის მომსწრე და მნახველი ემოციებს ვერ ფარავდა:

— დღეს ჩვენმა ბიჭებმა მოუგეს გუნდს, რომელსაც უმაღლეს ლიგაში თამაშის დიდი გამოცდილება აქვს... თბილისის „დინამოსაც“ უჭირდა მასთან თამაში. ჩვენმა ბიჭებმა ყველაწარაღ დაჯახნეს მეტოქე. არ შემოძლია არ აღვნიშნო რევაზ ჩელებაძის წვლილი. მისმა მოსვლამ, მისმა დიდმა გამოცდილებამ სტიმული მისცა გუნდს. კარგად აუბეს მხარი ბიჭებმა და, აი, რას მიაღწიეს! მიაღწიეს იმას, რასაც დინამოელთა არაერთი თაობა ესწრაფვოდა. ყოჩაღ, ჩემო ძვირფასებო, დიდი მადლობა თქვენ!

ეს მოკლე ინტერვიუ კი სულ ახლახან, შუა დეკემბერში ჩამოვართვი ბათუმის მკვიდრს — ამჟამად კუბიზიფიკის გორაკის სახელობის დრამის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირექტორს და მსახიობს ვილი მუსოიანს, რომელიც მშობლიურ ქალაქში დასასვენებლად იმყოფებოდა.

— კარგა ხანია ვოლგისპირა ქალაქში ვცხოვრობ და ეს გარემოება მკარანახობს „კრილია სოვეტოვის“ გულშემატკივარი ვიყო. მაგრამ, ჩვენში დარჩეს და, პირველი მატჩის დღეს კუბიზიფიკის ამახ უფლებას ვერ მივცემდი თავს. იმ დღეს ჩემი გული და

გონება განუყოფლად ჩემი მშობლიური ბათუმის „დინამოს“ ეკუთვნოდა! მიუხედავად იმისა, რომ ბათუმელიმ წააგეს ის შეხვედრა, საუკეთესო მთაყმედელია დაუფრთხილეს კუიბიშვილ გულშემატკივრებაზე. ისინი ფრიალ ნასიამოვნები ღარიბენ დინამოელთა აზრიანი, შემტვენი თამაშით და გადაჭრით მათ ანიჭებდნენ უპირობესობას. სამი კვირის შემდეგ ბათუმიდან დაბრუნებულ საოლქო სპორტკომიტეტის წარმომადგენელს საგანგებოდ შევხვდი და წაგებული მატჩის ამბები გამოვიკითხე. უნდა მოგესმინათ რა დაუფარავი სიმპათიებით ლაპარაკობდა იგი. არავითარი პრეტენზია არ გვაქვს, პატიოსან ბრძოლაში დაგვაზანესო, ისიც არ გვეძვეებაო, რომ მზიან ამხნაღში წავაგებდითო..

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ბათუმელებს მეტად ძლიერი მოწინააღმდეგე ჰყავდათ. აჭარის დედაქალაქში მარცხის მიუხედავად, „კრილია სოვეტოვმა“ მაინც შესძლო რუსეთის ჩემპიონობის მოპოვება.

ვამაუბ, თქვენით! დინამოელებო, ვაშა თქვენ დინამოელებო! ასე განაგრძეთ!

...მაშ ასე, „ბათუმის დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის არსებობის მანძილზე მოხდა ფაქტი, რომელიც ოქროს ასობით შევა არა მარტო მის სამოცწლოვან ისტორიაში. ამ გამარჯვებით კიდევ ერთი მკაფიო ფურცელი ჩაიწერა ქართული ფეხბურთის სახელოვან მატჩანეში!

ეს ფურცელი გადაიშალა 1983 წლის 12 ნოემბერს, შაბათს, 17 საათსა და 46 წუთზე, ბათუმისათვისაც უჩვეულო თავსება წვიმამი.

ორი საათით ადრე კი...

ორი საათით ადრე, ესე იგი მატჩის დაწყებამდე, ხალხით გაქედნილი სტადიონი შეშფოთებით შესცქეროდა ზეცას, საიდანაც თითქოს საგანგებოდ ასპარეზობის დაწყების წინ, ერთბაშად, თითქოს გადმოპირქვევებული კოყიდან, წამოვიდა წვიმა და სულ რამდენიმე წუთში გუბებდალ დადგა მწვანე მიწაზე, რომელზეც, ის იყო, დაიწყო გადაწყვეტი, უაღრესად პასუხსაგები მატჩი „ა“ კლასის პირველ ლიგაში გადასასვლელი სამთა ტურნირისა — ბათუმის „დინამო“ — კუიბიშვილის „კრილია სოვეტოვი“.

მანამდე ფეხბურთით, რაღაც დიდი სიხარულის მოლოდინით ცხოვრობდა ბათუმი, მთელი აჭარა. სექტემბერში, სამტრედიის „ლოკომოტივთან“ შეხვედრის შემდეგ, გაჩნდა ზონაში პირველ ადგილზე გასვლის შანსი, დაიწყო ავიოტაჟი, რაც მანამდე უცნობი იყო სპორტული ბათუმისათვის. რა ენთუზიაზმით განიმსჭვალნენ გულშემატკივრები, რა მოუთმენლად ელოდნენ ცნობებს ჯერ საქართველოს და სომხეთის ქალაქებიდან, შემდეგ კუიბიშვილიდან და ფერგანიდან, როგორი ერთსულოვნებით სჯეროდათ გამარჯვების!

იმ შაბათს კი, თამაშის დაწყებამდე ხუთი-ექვსი საათით ადრე, იწყო გულშემატკივართა დინება სტადიონისაკენ. 16 საათამდე კარგა ხნით ადრე ფეხზე დასადგომი ადგილიც არ იყო ღარჩენილი. ოცი ათასზე მეტი ჭეშმარიტი გულშემატკივარი მზად იყო საყვარელი გუნდის საქმეგოდ.

რარიგ სასიამოვნო იყო, რომ ბათუმელებთან, აჭარის სპორტის მოყვარულებთან ერთად დინამოელთა გასამხნეველად ასობით სტუმარი გვეწვია მახარაძიდან, ლანჩხუთიდან, ფოთიდან, სამტრედიიდან, ქუთაისიდან, თბილისიდან...

მთელი საქართველოს ესოდენ დიდი ინტერესი ბათუმის „დინამოსადმი“ მარტოდღენ იმას არ განუპირობებს, რომ წლებიანდელი წელი ქართული ფეხბურთისათვის აშკარად წარუმატებელი გამოდგა, და რომ სეზონი მაინც მაყორული ნოტიო მთავრდებოდა ბათუმელთა მეოხებით.

ამ განუზომელი ინტერესის დასაკმაყოფილებლად საქართველოს ტელევიზიამ მოაწყო ორივე ტიპის პირდაპირი ტრანსლაცია. ეს მეტად რთული ტექნიკური პროცესი პირველად განხორციელდა. მით უმეტეს, მაღლობის მეტი რა გვეთქმის სახტელერადიოს და კავშირგაბმულობის სამინისტროს ხელმძღვანელობისადმი, უშუალოდ იმ სპეციალისტებისადმი, ვინც ეს საქმე უზრუნველყვეს!

მეორე ტაიმის პირდაპირი ტრანსლაცია, ისევე როგორც გადასასვლელი ტურნირის სამივე წინა ძენვედრისა, მოაწყო საქართველოს ოადიომ კომიტეტი (საქართველოს რადიო).

დავით ქლიბაძე, საქართველოს სასტელერადიოს სპორტული პროგრამების განყოფილების გამგე:

— ჯერ კიდევ აზოვიანის „კოტაგეთან“ სატანდე, როცა სავარაუდო გახდა, რომ დინამოელებს ელოდათ ვადათანასაყვია სეიტრალურ მოედანზე, სოჭში, ჩვენმა რედაქციამ დიწყო ზრუნვა მატჩების პიოდაპიო რადიოტრანსმისიის მოაწყობად. რედაქციის ინიციატივას უყოყმანოდ დაუჭირა მხარი კონიტეტის ნელმშედაელობამ. უფრო მეტიც, პირადად კომიტეტის თავმჯდომარემ, მადვიცნულმა სოჭნარ ფოფხაძემ წინადადება მოგვცა დაგვეგეგმა ტელერეპორტაჟებიც კუბიშევიდას და ფერგანიდან. როგორც იცით, ეს გეგმა რეალიზებულ იქა.

რაც შეეხება, სარელო საწყით სააუშიდან პირდაპირ რეპორტაჟს, ეს უპრეტენდენტო შემთხვევა გახლდათ და, აუნებრევი, დიდ რისკთან და დაბაბლონთან იყო დაკავშირებული სამაგიეროდ რესპუბლიკას იხილა ჩიბეხული საფეხბურთო სექტადი, უსლა გენახათ, თბილისში დაბრუნებულს, რა შურით მიყურებდნენ კოლეგები, საერთოდ ფეხბურთის მოყვარულნი! ხედსიერ კაცად მივაჩნდით ყველა, ვინც ბათუმის მატჩს დავესწარიო. საოცრად დიდი რეზონანსი ჰქონდა ბათუმელთა გამარჯვებას: თბილისში მეორე დღესაც ზემოხდნენ გულმემატიკერები, მდელვარებით იხსენებდნენ შეხვედრას პერიმეტებს.

მემაყება, რომ ვიხილე ეს არავეულბრეცად კარგი თამაში ბათუმელებისა. მე მოწმი გახლავართ თბილისის „დინამოს“ ყველა დიდმბმეველოვანი, სავტამო გამარჯვებისა ტაშკენტში იქნებოდა ეს, მოსკოვში, თუ დიუსელდორფში, და გულწრფელად გეტყვით: იმ მატჩებზე ნაკლები გაცდა და სიხარული არ მოუნიჭებია ბათუმელთა გამარჯვებას.

და კიდევ: გნებავთ ტრაბახად ჩამითვალეთ ეს, გნებავთ, ინტუიციად: მე პირველი სპორტული ჟურნალისტი ვარ, ვინც ჯერ კიდევ ზაფხულში ვიგრძენი, რომ წლივანდელ სეზონში ბათუმის „დინამოს“ გამარჯვების მოწამენი ვიქნებოდით. და, თუ გახსოვთ, მოვამზადე დიდი სიუჟეტი გუნდზე. გადაცემაში, რომელსაც ვუძღვებოდი ჩვენს ცნობილ დრამატურგთან ალექსანდრე ჩხაიძესთან ერთად, მონაწილეობდნენ მწვრთნელი ვალერიან ჩხარტიშვილი და თავდამსხმელი რევაზ ჩელებაძე. ჩხარტიშვილს მანამდე არ ვიცნობდი და ძალიან მომეწონა თავისი რეალისტური, ნათელი აზროვნებით, სოლო რევაზ ჩელებაძე ერთ-ერთი საუკეთესო მოსაუბრეა, ვისგანაც კი ოდესმე ინტერვიუ ამიღია!

კოტე მახარაძე, სპორტული კომენტატორი, საქართველოს სახალხო არტისტი:

— ბათუმში, ჩემი ბავშვობის ქალაქში, მე სტუმარი არ მეთქმის. ისიც კარგად მახსოვს აჟარის რადიოთი „ბ“ კლასში ახლადგადასული ბათუმის „დინამოს“ მატჩების რეპორტაჟები რომ გადამიცია ნიკოლოზ ოზეროვთან ერთად. ეს ამ ოცი წლის წინათ იყო...

ალბათ, ამან, უფრო კი ბათუმისადმი ჩემმა განსაკუთრებულმა სიყვარულმა მიყარნახა, პირველად ცხოვრებაში, დამერღვია ჟურნალისტური ეთიკა: აქ, კინოგადაღებაზე მყოფმა, რედაქციაში დავრეკე და ვთხოვე, რომ ფერგანის „ნეფტაიანითან“ მატჩზე სხვა კომენტატორი არ გამოგზავნათ, ჩემთვის მოეცათ ეს რეპორტაჟი...

რაც შეეხება კუბიშეველებთან ბოლო მატჩის რეპორტაჟს, სტაჟიანი გულშემატკივარი დაგვირწმუნება, რომ იმაზე ნაკლები ენერგია, გზნება; ემოცია როდი ჩადო მასში კოტე მახარაძემ, რამდენიც ცხრაშეტი წლის წინანდელ რადიორეპორტაჟში ტაშკენტდან, ჩვენთვის ყველასათვის საყვარელი თბილისის „დინამოს“ პირველი ჩემპიონობა რომ გვახარა უებრო ეროსი მანჯვალაძესთან ერთად!

ტელერეპორტაჟის დოკუმენტური ჩანაწერი:

„...კარგად ჩაწოდა ჩელებადეს. დარტყმა. არის, არის, არის, არის!

არ ვიცი რა მოსჩანს თქვენს ეკრანებზე, მე მონიტორი არა მაქვს, მაგრამ,  ახლა ტრიბუნებია საჩვენებელი.

ახლა ტრიბუნებია საჩვენებელი.

ბათუმელთა ზეის საზღვარი არა აქვს, ვინ გაიტანა ბურთი ვერც გეტყვით, ვინ მისწვდა, და ჩელებადის შესანიშნავი გადაცემის შემდეგ ბურთი კუიბიშევის „კრილია სოვეტოვის“ კარის ბაღეში მოათავსა.

ეს მოხდა მატჩის მეორე ნახევრის 21-ე წუთზე. ერთით-ნოლი ბათუმის „დინამოს“ სასარგებლოდ“.

ახლა ყველა სიყვარულით და პატივისცემით ეხსენებთ იმ პირველს და გადამწყვეტი გოლის ავტორის სახელს — ამირან გოგიტიყ.

ტელერეპორტაჟის დოკუმენტური ჩანაწერი:

„...მატჩის 79-ე წუთი... ჩელებადე... ბურთი უკან დარჩა, ჩელებადე გავიდა წინ, სახიფათო მდგომარეობა... თოფურია... დარტყმა — არის! არის!

ორით — ნოლი ბათუმის „დინამოს“ სასარგებლოდ.

— არ დაახრჩოთ ერთმანეთი, მეგობრებო!..

თუ კი პირველი გატანილი ბურთის შემდეგ ვამბობდი, არც კი ვიცი ვინ გაიტანა. მეთქი, მეორე ბურთი ზურაბ თოფურიამ მოათავსა კუიბიშევის „კრილია სოვეტოვის“ კარის ბაღეში.

ამრიგად მატჩის დამთავრებამდე თერთმეტი წუთით ადრე ანგარიში გახდა ორით-ნოლი ბათუმის „დინამოს“ სასარგებლოდ!“

...მოსკოველი საკავშირო კატეგორიის მსაჯის ანატოლი კადეტოვის საფინალო სასტენის ხმამ დააფიქსირა ბათუმელთა გამარჯვება.

რა ძნელი იყო ეს გამარჯვება!

რამდენი კარგი მოგონება დაგვიტოვა მატჩმა. და რაოდენ სასიამოვნოა, რომ სდანზე იყო დინამოელთა მრავალნაცადი, მტკიცედ შედუღებული კოლექტივი, გუნდი მამაცი, თავდადებული ვაჟკაცებისა, რომლებსაც ძალუძთ გააყეთონ ის, რაც საჭიროა, და რაც გააყეთეს კიდევ.

ალბათ, ძნელია გავიხსენოთ ასეთ პირობებში ასეთ მაღალ სპორტულ დონეზე ჩატარებული და მოგებული მატჩი!

მით უმეტეს ტბილია და საამაყო ეს გამარჯვება!

მით უფრო დიდი ჩვენი მაღლიერება დინამოელებისადმი, ჩვენი სიხარული და აღტაცება მათი შემართების, მათი დიდი ვაჟკაცობის გამო!

და, თუ შემდგომ ამ უკიდურესად დაძაბული სპორტული ორთაბრძოლის პერიბეტებს გავიხსენებთ, უბრალოდ, ალბათ, მაინც მეორე ტაიმის დასაწყისის ი! მტანჯველი წამები გაცოცხლდება მეხსიერებაში, როცა გაქვავებული სტადიონის თვალწინ კუიბიშეველთა მეკარემ ევგენი ფედოტოვმა მოიგერია რევან ჩელებადის მიერ დარტყმული თერთმეტმეტრიანი...

ჩვენი გამოჩენილი ფეხბურთელი მატჩის შემდეგ ამაზე იტყვის:

— მეორე ტაიმის დასაწყისში ჩემზე უბედური კაცი არ იყო... მით უფრო გახარებული ვარ ახლა, ნამდვილად უბედნიერესი კაცი ვარ. თბილისის „დინამოში“ მე ჩემპიონიც ვყოფილვარ, ევროპის თასიც აგვილია, ქვეყნის თასიც მოუპოვებია გუნდს, მაგრამ ეს წარმატება მაინც სხვაა. იქნებ იმიტომ, რომ მთელი სიმძიმე ავთანდილ გორგილაძეზე, ჩვენზე და კიდევ ერთ-ორ ფეხბურთელზე გადადიოდა, რასაკვირველია, ახალგაზრდებთან ერთად.

რა სულეირ ძალებს უნდა მოუხმო თერთმეტმა ფეხბურთელმა, რომ გამოუყენებული თერთმეტმეტრიანი დარტყმით გამოწვეული ფსიქოლოგიური შოკიც დაძლიო, არა

მარტო მრისხანე მეტოქეს, საკუთარ თავსაც აჯობო და ორი უპასუხო გოლი გაიტანო ასეთ მატჩში!

მაგონად დახვთ, რა შეუვალა საფეხბურთო ლოგიკა! ის ორი გოლი კანონზომიერად დაგვირგვინებდა იყო იმ შეგავიწოთ თავგახსოვისა, უდიდესი სენსაორებისა, რასაც უცლ-ლიალად უსდა გამოელო სასურველი შედეგი!

აქი გამოილო კიდევ.

იეუილებელია სიტყვებით გადოსცე ის, რაც მატჩის ბოლოს სტადიონზე ხდებო-და. ვეოც შემოდგომის სუსხიანი ქარი, ვეოც კოყისაირული წყისა ვერ ანელედა გა-მარჯვების სიხარულს, ზეიმობდა მოეკუნე სტადიონი, თავდავიწყებული აღფრთოვა-ხებით გამოხატავდა თავისი გუხდის უდიდესი წაომატებით გამოევეულ ბედსიერებას.

..საზღვარი არა აქვს დასავლეთ ტობიუხის წისა შეკობილ დინამოელთა სიხა-რულს, ხვევნა-კონას, მოლიცვებს... ფოტოფირზე სამუდამოდ აღიბეჭდება ფეხბურ-თელების, მათი მწვრთნელების სედენტისა სახეები, როგორც მარად მოსაგონარი ამ დაუვიწყარი დღისა.

აი, ისინი, ქვეშარიტი გმირები მატჩისა: იური მანინსვილი, ხასან წუწუნავა, ელი-შერ კაკაბაძე, ნუგზარ სვამიონსვილი, ვალერი შანიძე, ამირან გოგიტიძე, გელა კე-დელაძე, ზურაბ თოფურია, აკაკი ათუაფილი, რიფათ მაქირაფი, ავთანდილ გორგი-ლაძე, რევაზ ჩელებაძე!

მათთან ერთად იყვნენ და საერთო სიხარულს იზიარებდნენ მათი თანაგუნდელები: ჯუმბერ მენაბდე, ლევან ბაბულავიშვილი, გოჩა აბიჭაძე, ასლან ბალაძე, თენგიზ გელა-ჭეიშვილი, გია ზედანიია, და, რაღა თქმა უნდა, უფროსი მწვრთნელი ვალერიან ჩხარ-ტიშვილი, გუნდის უფროსი ანაორ კვაქაძე, მწვრთნელი თაბაზ ცინარიძე, ვეტერანი დინამოელები, საზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური და საოლქო საბჭოების ხელ-მძღვანელები, საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარე რამაზ გოგლიძე, ავტო-ნომიური რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული კომკავშირული ხელ-მძღვანელები..

იმ საღამოსვე მიიღეს გამარჯვებულებმა პირველი გულითადი მილოცვები და კი-დეც რამდენიმე დღეს გრძელდებოდა მათი ნაკადი.

გივი ჩოხელი — სპორტის დამსახურებული ოსტატი:

— ეს არის ჩვენი, ქართული ფეხბურთის დიდი მიღწევა. ვულოცავთ ბათუმელ დინამოელებს ესოდენ ბრწყინვალე გამარჯვებას და წარმატებებს ეუსურვებთ მომა-ვალში.

იგორ ფროლოვი — „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პასუხისმგებელი მუშაკი:

— ამ მატჩზე წამოსვლა ბევრს უნდოდა, მაგრამ უპირატესობა მე მომანიჭეს რო-გორც წარმოშობით ბათუმელს. ბათუმის „დინამოსთან“ ხომ მამაჩემის, ბორის ფრო-ლოვის ხსოვნაც მაკავშირებს. სულითა და გულით გილოცავთ, მეგობრებო, ფეხბურ-თელებსაც და გულშემოტიკერებსაც.

ვიაჩესლავ კოლოსკოვი — სსრ კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს უფროსი:

— ვულოცავთ აჭარის სპორტკომიტეტს, ფეხბურთის ფედერაციას, მწვრთნელთა შემადგენლობას, ბათუმის „დინამოს“ ფეხბურთელებს 1984 წელს პირველ ლიგაში მონაწილეობის უფლების მოპოვებას, ეუსურვებთ შემდგომ წარმატებებს საბჭოთა ფეხბურთის განვითარებაში.

ანზორ კავაზაშვილი — სპორტის დამსახურებული ოსტატი:

— მთელი გულით ვულოცავ დინამოელთა კოლექტივს, მწვრთნელებს, გულშე-მატიკერებს ესოდენ დიდ გამარჯვებას და ეუსურვებ ახალ და ახალ წარმატებებს პირველი ლიგის გუნდებთან შეხვედრებში, ქართული ფეხბურთის საღიღებლად. ყო-ჩაღ, ჩემო თანაქალაქელებო!

მილოცვები, მილოცვები... დავით ყიფიანისა, იპოლიტე ზვირიასი, სერგეი ზაჩინი, ზაჩინ ბათუმიელი მშენებლების, საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ეკიპაჟისა, გულშემმატიკეებისა უკრაინიდან, პოლდავეთიდან, ციმბირიდან...

იუზი ცაავა — საქართველოს სახალხო არტისტი.

— რაც თავი მასსოვს, გულშემმატიკი ვარ, დაუცხრომელი ტრფიალი ქართული ფეხბურთისა, შემტევი, ლაშაზი თამაშისა. ახლა ვფიქრობ, ბათუმის „დინამოს“ წარსულ წლებზე, აქ აღზრდილ შესანიშნავ ფეხბურთელებზე, მაგრამ ევრაივინ ვერ გააკეთა ის, რაც გააკეთეს ავთანდილ გორგილაძემ, რევაზ ჩელებაძემ, ხასან წუწუხაშამ, გია ზედანიამ, იური მამინაშვილმა, დინამოელთა ახალგაზრდულმა კოლექტივმა. გენაცავლეთ, ბიჭებო, გეხვევით, გკრცნით და გპირდებით, მომავალშიც გიერთოვლოთ, გულით გიჭიმავოთ, ცუდად არ გამოვიდეთ ბათუმის „დინამოს“ გულშემმატიკების როლში. ბარემ ერთი სურვილიც მიიღეთ ჩვენგან: უმაღლეს ლიგაშიც მალე გეხილოთ, გაგმრავლებინოთ, გაგემდიდრებინოთ ჩვენი, ზღვისპირული ფეხბურთის ტრადიციები.

ტრადიციებს ამ საუკუნის დამდეგს ეყრებოდა საფუძველი.

რა საამაყო ისტორიის ფურცლები.

1923 წელი. ბათუმის ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოებას გუნდი ერთ-ერთი უძლიერესია არა მარტო საქართველოში, მთელ ამიერკავკასიაში. მის ღირსებას იცავენ იმ დროისათვის ცნობილი ფეხბურთელები: რ. პოლოსკი, კ. ბორმანი, ძმები ს. და ა. იოკამიძეები, ლ. პოპოვი, ა. აბაშიძე, ს. კარაყულიანი, ა. ფაჩულია... გუნდი, ერთ-ერთი პირველი ჩვენს ქვეყანაში, ატარებს საერთაშორისო ამხანაგურ მატჩებს.

1927 წელს ფოთში გამართულ საქართველოს ჩემპიონატში გამარჯვების შემდეგ ფეხბურთის ბათუმში ხანგრძლივი კრიზისი დაუდგა, მაგრამ ათი წლის შემდეგ კვლავ აღორძინდა ბათუმის „დინამო“ და ჩაიდა რესპუბლიკის მეწინავე კოლექტივების რიგებში.

1939 წლიდან „დინამო“ საკავშირო სარბიელზეა — მონაწილეობს ქვეყნის ჩემპიონატში „ბ“ კლასის გუნდებს შორის. აქ მიიღეს მამინ დიდი ფეხბურთის საგზური ბ. ფროლოვმა, რ. კარიჩევმა, გ. აროშიძემ, კ. პეხლევანიძემ, ა. კალენჯანმა, ა. ჩოლოკიანმა, რომლებიც შემდეგ წარმატებით იცავდნენ თბილისის „დინამოს“, მოსკოვის „ტორპედოს“, ერევნისა და მინსკის „დინამოს“ გუნდების ღირსებას.

დიახ, ბათუმი მუდამ იყო კარგი ფეხბურთელების სამკედლო. ალექსანდრე ელიავა, იბრაიმ სარჯველაძე, გენო მენაბდე, ანზორ კვაჭაძე, ილია დათუნაშვილი, როინ კვასხაძე, ანზორ კავაზაშვილი, ვახტანგ ქორიძე, თემურ ესებუა, ნოდარ ხიზა... ნიშვილი, რევაზ ჩელებაძე... რომელი ფეხბურთის მოყვარულისათვის არაა ცნობილი ეს სახელები!

იყო და დარჩა ბათუმი პერსპექტიული ფეხბურთელების აღმზრდელად, თბილისის „დინამოს“ ერთ-ერთ მთავარ ბაზად... დღესაც მის შემადგენლობაში არიან მალხაზ მახარაძე, გოჩა ჩიჭოვანი, დავით კუცია, გია გურული...

ცამეტი წელია ბათუმის „დინამო“ მეორედ რომ დამკვიდრდა „ა“ კლასის მეორე ლიგაში. ცამეტ წელიწადს იბრძოდა იგი პირველი ლიგის საგზურისათვის, სანუკვარ მიზანთან ყველაზე ახლოს იყო 1974 წელს, მაგრამ უიღბლო გამოდგა მისთვის ყირგიზეთის დედაქალაქში გამართული ფინალური ტურნირი.

დარჩა მოთმინება, იმედი მომავლისა.

ჯიუტად სწამდა ბათუმელ გულშემმატიკარს საყვარელი გუნდისა, სწამდა და სჯეროდა, რომ დადგებოდა სანატრელი ჟამი გამარჯვებისა.

საგულისხმო დეტალი: მაშინაც, ცხრა წლის წინათ მისი ყოფილი მოთამაშე, სპორტის ოსტატი ვალერიან ჩხარტიშვილი ედგა სათავეში „დინამოს“. მკაცრ და მომ-

თხოვნ, მუდამ დინჯ, ერთდობრებულ მწვრთნელს მხარში ედგნენ ყოფილი დინამოელები — სპორტის ოსტატი ანზორ კვაჭაძე და თამაზ ცინარიძე.

მზრუნველობას და ყურადღებას არ აკლებდნენ ფეხბურთელებს „დინამოს“ საოლქო საბჭო, რესპუბლიკისა და ქალაქის ხელმძღვანელობა, ათასობით ფეხბურთის მოყვარული აჭარასა და მის ფარგლებს გარეთ.

ვ. ჩხარტიშვილი: — მაღალი სათამაშო დისციპლინა, ვარჯიშისადმი სერიოზული დამოკიდებულება და, რაც მთავარია, სკუთარი ძალების რწმენა — აი, ჩვენი წარმატების საფუძველი. მნიშვნელოზა აქვს იმასაც, რომ ამბიციებით თავს არ ვიტყუებდით. სამეფოში მოხვედრაზე ვოცნებობდით მხოლოდ. მაგრამ, როგორც კი გავიჩინდა ზონაში და შემდეგ გადასასვლელ ტურნირში გამარჯვების შანსები, გუნდმა მთლიანად გამოიყენა ისინი.

— დაცხრა ვნებათაღელვა, მოპოვებული გამარჯვება უკვე ისტორიის კუთვნილებაა, წინ ახალი, გაცილებით უფრო სერიოზული ამოცანებია გადასატრელები — მონაპოვარს ხომ შენარჩუნება, განმტკიცება სჭირდება. ჰოდა, რას გვეტყვით მომავალზე, როგორ გვსახებათ იგი, თუნდაც საერთო კონტურებში?

ვ. ჩხარტიშვილი: როგორც აღბათ, გულშემატკივრებმა იციან, დიდ ფეხბურთს, სამწუხაროდ, საშუალოდ გამოეთხოვა რევან ჩელებამ.

გუნდის ძირითადი ბირთვი უცვლელი დარჩა. მაგრამ, ბუნებრივია, საჭიროა ძალების განმტკიცება. ამ მიზანს ისახავდა ახალგაზრდა პერსპექტიულ ფეხბურთელთა შესარჩევი ტურნირი, რომელიც 9-11 დეკემბერს გაიმართა თბილისში. ჩვენი გუნდიდან თბილისის „დინამოში“ საწვრთნელ შეგარებაზე მიიწვიეს მეკარე ასლან ბაღაძე და ნახევარმცველი აკაკი ათუაშვილი.

„ბათუმის „დინამოში“ თამაშის სურვილი გამოთქვეს მცველებმა: ამირან ანდლუ-ლაძემ ვანის „სულორიდან“ და ტარიელ დურდიძემ თბილისის „დინამოდან“. მათ გარდა შევარჩიეთ ხუთი-ექვსი ფეხბურთელი და საქართველოს სპორტკომიტეტის წინაშე დავსვით მათი ჩვენს გუნდში გადმოყვანის საკითხი.

— ასე რომ, პირველი ლიგის დებიუტანტი ბათუმის „დინამო“ იმედით შესცქერის მომავალს...

ვ. ჩხარტიშვილი: თითოეულ ჩვენგანს კარგად ესმის, თუ რა სიძნელე მოგვედის ახალ საფეხბურთო ჩემპიონატში. ცხადია, მეტოქეები უფრო გამოცდილნი არიან. საპატიო და ამავე დროს დიდად პასუხსაგებია, რომ ბათუმელები პირველად დაიცავენ მშობლიური ქალაქის ღირსებას ჩვენი ქვეყნის პირველობაზე პირველი ლიგის გუნდებს წორის და აქც ვაპირებთ იმედი გავუცრუოთ მრავალრიცხოვან თავყვანისმცემელს.



ინსტიტუტის 25 წლისთავი

საქართველოს კომუნისტური პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნ. ბერძენიშვილის სახელობის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დაარსების 25 წლისთავისადმი მიძღვნილი სხდომა და სამეცნიერო სესია.

იგი შეხავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ე. ხარაძემ. მოხსენება თქვა „ნ. ბერძენიშვილის სახელობის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დაარსება, მოღვაწეობა, პერსპექტივები“ გააკეთა ინსტიტუტის დირექტორმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა დ. ხასუტაიშვილმა.

ინსტიტუტს დაარსების 25 წლისთავი მიულოცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებლების განყოფილების გამგის მოადგილემ მ. უგრესელიძემ, ხოლო საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს სახელთ მიესალმა აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე დ. დიასამიძე.

ინსტიტუტს დაარსების 25 წლისთავი მიულოცეს აგრეთვე ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ სამეცნიერო მუშაობის დარგში ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა მ. გაფრინდაშვილმა, ამავე ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის სწავლულმა მდივანმა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ი. ჯალა-

ღაიამ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ვ. ტენოვამ, აფხაზეთის დ. გუგლიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა შ. ისაღ-ივამ, ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის განყოფილების გამგემ დოცენტმა დ. დიასამიძემ, ბათუმის ბოტანიკური ბაღის დირექტორმა, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა ნ. შარაშიძემ, ორგანიზაციისა და მართვის პრობლემების საკავშირო-სამეცნიერო ინსტიტუტის აჭარის განყოფილების ხელმძღვანელმა ა. ართმელაძემ, პლატეკური მასების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბათუმის ფილიალის დირექტორმა ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატმა ნ. ჩხეიძემ, ხოლო სამახსოვრო აღრესები გადასცეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა „მეცნიერების“ მთავარმა რედაქტორმა ვ. ძიძიგურმა, საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების პასუხისმგებელმა მდივანმა ფ. ხალვაშმა, სუბტროპიკული ნაყოფის შენახვისა და გადამუშავების სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი და ექსპერიმენტულ-საკონსტრუქტორო ინსტიტუტის დირექტორმა ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატმა გ. პაპუნიძემ.

სამეცნიერო სესიამ მოიხილა მოხსენებები, რომლებიც წაიკითხეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა შ. ძიძიგურმა, დოცენტმა ჯ. ბარდაველიძემ, აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ა. რობაქიძემ, დოცენტმა დ. მოურაიძემ.

სხდომისა და სამეცნიერო სესიის მუშაობა შეაჯამა საქართველოს სსრ მეც-

ნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ე. ხარაძემ.

ბუნების მკვლევართა ფორუმი

ბათუმში ჩატარდა XV საუწყებთაშორისო და I რესპუბლიკური კონფერენცია „ზღვის ნაპირები“, რომელიც მოაწვევს აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭომ, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მსოფლიო ოკეანის პრობლემათა კომისიის სახელმწიფო ჯგუფმა „ზღვის ნაპირები“ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებამ „საქზღვისნაპირდაცვამ“.

კონფერენციაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის, უკრაინის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიების, მოსკოვის, ლენინგრადის, არხანგელსკის, მურმანსკის, ყირიმის, ბალტიისპირეთის ქალაქების, შორეული აღმოსავლეთის სამეცნიერო ორგანიზაციებისა და დაწესებულებების 120-მდე წარმომადგენელი.

კონფერენცია გახსნა ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატმა პროფესორმა ვ. ზენკოვიჩმა.

შეხავალი სიტყვით გამოვიდა აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. უნგიაძე.

კონფერენციაზე მოხსენებით „ნაპირთა დაცვის საზღვარგარეთული გამოცდილებიდან“, „საქართველოს შავი ზღვისპირა სანაპიროს ჩამოყალიბების პროცესთა გამოკვლევის შედეგები“, „საქართველოს შავი ზღვისპირა სანაპიროს დაცვის საინჟინრო გადაწყვეტები“, „შავი ზღვის ნაპირთა დაცვის სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემა“, „წყალქვეშა კანიონების სათავეთა დინამიკა“ გამოვიდნენ გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი ვ. ზენკოვიჩი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატები ვ. საყვარელიძე, თ. მელაძე, ვ. კოვალიოვი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი გ. საფიანოვი და სხვები.

ბაქინსკა ლენინი უკრაინკას
მემორიალური დაფა

ქართველი ხალხი სათუთად ინახავს უკრაინული ლიტერატურის კლასიკოსად ლესია უკრაინკას ხსოვნას. მისი ცხოვრება და მოღვაწეობა მტკიცედ იყო დაცვირებული ჩვენს სამშობლოსთან.

ლესია უკრაინკას გულწრფელად უყვარდა საქართველო, აღფრთოვანებდა სათუმის მუშათა კლასის რევოლუციური შემართება. ამ სიყვარულისათვის, მაღალმხატვრული შემოქმედებითი მეგვიდრობისათვის ქართველმა ხალხმა სამაგიერო პატივი მიაგო პოეტ ქალს.

1871 წელს იენი ქალაქის კულტურისა და დასვენების ზღვისპირა პარკში დაიდგა ლესია უკრაინკას მარმარილოს ბიუსტი, ახლა კი ნინოშვილის ქუჩაზე საზეიმოდ გაიხსნა მემორიალური დაფა. მასზე ამოკვეთილია პოეტი ქალის ხსენ, ზოლო ქვემოთ ქართულ და უკრაინულ ენებზე წარწერილია: „ამ სახლში ჩერდებოდა 1905, 1907, 1908, 1911, 1912 წლებში დიდი უკრაინელი პოეტი ქალი ლესია უკრაინკა“.

მემორიალის ავტორია უკრაინის სსრ სახალხო მხატვარი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ალექსანდრე სკობლიოვი. იგი მან საჩუქრად გადასცა ჩვენს ქალაქს.

დაფის გახსნაზე სიტყვით გამოვიდნენ მწერალი ა. შერვაშიძე, ბათუმის № 7 საშუალო სკოლის მოსწავლე თ. მუჟანაძე, შ. რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი რ. კომახიძე.

მემორიალის ავტორმა ალექსანდრე სკობლიოვმა გულითადი მადლობა გადაიხადა უკრაინელი ხალხის გამოჩენილი შვილის ლესია უკრაინკას სახელის უკვდავოფისათვის, საზი გაუსვა ქართული და უკრაინელი ხალხების მეგობრობას, რომელსაც საფუძველი ჩვენმა დიდმა წინაპრებმა ჩაუყარეს.

ი. ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა მორიგ პრემიერად უჩვენა ლევან გოთუას ორმოქმედებიანი დრამა „მეფე ერეკლე“. იგი გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს მიეძღვნა.

სპექტაკლი დადგა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ რეჟისორმა ე. ჩაიძემ, მხატვრულად გააფორმეს საქართველოს სსრ დამსახურებულმა მხატვარმა თ. სუროშილმა და ა. არაბულმა, მუსიკალურად — აპარის ასსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ თ. შამილაძემ, ფარიკაობის სცენები დადგა მ. ალაფიშვილმა.

სპექტაკლში სიმღერებს ასრულებენ მ. კუხიანიძის სახელობის აპარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის მომღერლები აპარის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის გ. ნოღაიდელისა და აპარის ასსრ დამსახურებული არტისტის ა. ანანიძის ღირსშესაძლებლობით.

ერეკლე მეფის როლს ასრულებს საქართველოს სახალხო არტისტი ი. ცანავა.

როლებს ასრულებენ საქართველოს სსრ სახალხო არტისტები ა. მეგლაძე, ხ. მეგრელიძე, მ. შერვაშიძე, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები გ. ახვლედიანი, ს. თურმანიძე, ნ. მესხიძე, აპარის ასსრ დამსახურებული არტისტები ვ. დოლიძე, ბ. ინწიკრელი, რ. კაკაურიძე, ე. მაღაყშაძე, აპარის ასსრ კულტურის დამსახურებული მუშაი მ. ნაბირელი, ი. კობალაძის სახელობის პრემიის ლაურეატი ლ. აბულაძე, მსახიობები კ. კობალაძე, თ. კეყერაძე, ნ. იაკობაძე, მ. ხუხუნაშვილი, ნ. ძიძიგური და სხვები. სპექტაკლს წარმატება სცდა.

საინტერესო გამოფენა

აპარის მხატვართა კავშირის საგამოფენო ღარბაზში გაიხსნა აპარის მხატვ-

ართა ნამუშევრების გამოფენა, რომელიც რუსეთისა და საქართველოს დამოუკიდებლობის 200 წლისთავს მიეძღვნა. ვერნისა-უზე შესავალი სიტყვით გამოვიდა აპარის მხატვართა კავშირის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი ხ. ინაიშვილი, სიტყვით გამოვიდნენ გამომცემლობა „საბჭოთა აპარის“ მთავარი რედაქტორი ე. დავითაძე, პოეტი ც. ანთაძე, საგამოფენო ღარბაზის დირექტორი, ხელოვნებათმცოდნე ლ. შარაშიძე.

გამოფენაზე წარმოდგენილია 51 მხატვრის 91 ნამუშევარი. აქ არის ფერწერული, გრაფიკული, დეკორატიული-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები და სხვა. მოწონებას იმსახურებს ს. ხოლუაშვილის „მეფე ერეკლე“, დ. ინაიშვილის „ტრაქტატი“, „მსახიობი და როლი“, ა. აირაპეტოვის „გეორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერა“, ხ. ინაიშვილის „ნატურმოკრი ხილით“, ა. ბაკურიძის „მხატვარი ტყეში“, ს. ართმელაძის „დედსასწაული აპარაში“, თ. ჯალაღანიას „ექო“, გ. პაპიძის „ვახტანგ VI“, ი. მარტინოვის „გაზაფხული ჩაის პლანტაციაში“ და სხვ.

საინტერესო საღამომები

ი. ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო თეატრში გაიმართა საქართველოს სსრ სახალხო არტისტის მერაბ ხინიკაძის დაბადების 70 და სასცენო მოღვაწეობის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საინტერესო საღამო.

საღამო მიჰყავდა შ. რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორს ნ. ღუმბაძეს.

საქართველოს კომპარტიის აპარის საოლქო კომიტეტის, აპარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და აპარის ასსრ მინისტრთა საბჭოს სახელით იუბილარს მიესალმა პარტიის აპარის საოლქო კომიტეტის მდივანი ნ. გუგუნივა.

რუსთაველის სახელობის თბილისის თეატრალური ინსტიტუტის კოლექტივის

სახელით გამოვიდა ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი ნ. არველაძე, ხოლო შ. რუსთაველის სახელობის თბილისის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სახელით — სსრ კავშირის სახალხო არტისტი რეჟისორი რ. სტურუა. მისასალმებელა სიტყვით გამოვიდნენ აქრთვე საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ვ. ტაბლიაშვილი, ნ. პერძენიშვილის სახელობის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკი ე. ზოიძე. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს წარმომადგენელი ვ. ძიგუა, აქარის ასსრ კულტურის მინისტრის მოადგილე გ. ლლონტი, მეტეხის თეატრის მთავარი რეჟისორი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი ს. მრეკლიშვილი, გმირი დედა ნ. სურმანიძე, საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი ვ. ლასამიძე, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი კინორეჟისორი ნ. სანიშვილი, ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. ბაჭელიძე, საქართველოს სსრ თეატრალური საზოგადოების წარმომადგენელი დრამატურგი გ. ბათიაშვილი, პოეტი ზ. გორგილაძე. გაზეთ „საბჭოთა აქარის“ მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის განყოფილების გამგე ნ. ჯაფარიძე, შ. რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიკური ინსტიტუტის სტუდენტი ი. მუშაძე, ი. ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის დრამატული თეატრის მსახიობი, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ნ. საყანდელიძე, ი. ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო თეატრის მსახიობებმა წაიკითხეს მერაბ ხინკაძის შესახებ სხვადასხვა წლებში გამოქვეყნებული წერილების ფრაგმენტები, მისალოცი დეპეშები.

* * *

ამავე თეატრში გაიმართა საქართველოს სსრ სახალხო არტისტის გაიოზ გოგიბერიძის დაბადების 60 და სასცენო

მოღვაწეობის 45 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.

სცენაზე გამოდიან თეატრის ანსამბლის წევრები თ. მეიშვილი, ა. ქარჩავა, მ. ხუტუნაშვილი, კ. კობალაძე და იუბილარის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველ ფურცლებს აცნობენ დამსწრეთ.

საიუბილეო საღამოს ხსენის აქარის ასსრ კულტურის მინისტრი ბ. მახარაძე.

სცენა ეთმობათ საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს ც. აბზიანიძეს, აქარის ასსრ დამსახურებულ არტისტს ლ. ჯიბლაძესა და გ. გოგიბერიძეს, რომლებმაც წამოადგინეს სცენა თ. ჭილაძის პიესიდან „როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის“.

შემდეგ წაიკითხეს პარტიის აქარის ხოლქო კომიტეტის, აქარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და აქარის ასსრ მინისტრთა საბჭოს მისასალმებელი ადრესი.

საღამოზე გამოვიდნენ აქარის მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების თავმჯდომარე ნ. საგინაძე, კულტურის მუშაკთა პროფკავშირის აქარის ხოლქო კომიტეტის თავმჯდომარე ნ. მეგრელიძე, აქარის ასსრ განათლების სამინისტროს რეჟისორული მეთოდკაბინეტის გამგე შ. ჩიჭოვანი, კომკავშირის აქარის ხოლქო კომიტეტის მდივანი შ. აბაშიძე, მხატვრული კონტის ოსტატი. მსახიობი თ. ზაინდრაძე, ჩოსტაკოვიჩის რაიონის ქვემოხანის საშუალო ხოლოს დირექტორი ვ. უდენტი, ხელვაჩაურელი მეჩაბე მ. წითელიძე, ა. წუწუნაძის სახელობის მახარაძის სახელმწიფო დრამატული თეატრის მთავარი რეჟისორი და დირექტორი ვ. ჩიგოვიძე, პოეტი გ. ქათამაძი, შ. რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი თ. ლომთათიძე, № 1 ქართული საშუალო სკოლის დირექტორი ც. შარაძე, ტანკერ „ვახტანგ კიკელიძის“ კაპიტანის პირველი თანამშრომელი ნ. კუხიკია, აქარის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე პ. სულაბერიძე, რეჟისორის დამსა-

ზურბული არტისტი ნ. საკანდელიძე, ხულოს სარაიონო კულტურის სახლის მხატვრული ხელმძღვანელი ე. ქონიძე და სხვები.

* * *

საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის ნაზი კეჭეყმაძის დაბადების 70 და სასცენო მოღვაწეობის 50 წლის-თავისადმი მიძღვნილი შემოქმედებითი საღამო გახსნა და მსახიობის ცხოვრება-სა და შემოქმედებაზე ილაპარაკა საქართველოს თეატრალური საზოგადოების აჭარის განყოფილების თავმჯდომარემ დრამატურგმა ა. ჩხაიძემ.

მსახიობს მიესალმნენ ლანჩხუთის რაი-ონის კულტურის სახლის სამხატვრო ხელმძღვანელი თ. პაიჭაძე, საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი ი. გორდელაძე, თბილისელი ექიმი დ. ბარათაშვილი, ი. ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელ-მწიფო თეატრის მსახიობი, საქართვე-ლოს სსრ დამსახურებული არტისტი თ. სულხანიშვილი, პედაგოგიის მეცნი-ერებათა კანდიდატი ი. ბიბილიაშვილი, კ. მარჯანიშვილის სახელობის თბილი-სის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობი, საქართველოს დამსახურებუ-ლი არტისტი ნ. მიქელაძე, ხულოს სახა-ლხო თეატრის რეჟისორი ს. თავართქი-ლაძე, საქართველოს სსრ სახალხო არ-ტისტი ვ. მახარაძე, ხელვაჩაურის სარა-იონო კულტურის სახლის დირექტორი ხ. დოლიძე, აჭარის პროფსაბჭოს მდივან-ი გ. კიკნაძე, შ. რუსთაველის სახელო-ბის ბათუმის პედაგოგიკის თანამშ-რომელი ა. გელაძე, რ. ერისთავის სახე-ლობის გორის სახელმწიფო თეატრის მსახიობი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ვ. კახნიაშვილი, მოსწავლე ვ.

ცირეკიძე, მსახიობი ა. ქარჩაძე, პოეტი ჯ. ქათამაძე, ჩოხატურისა და მახარაძის რაიონების მშრომელთა წარმომადგენ-ლები, რაიონებისა, სადაც პირველად ეზ-იარა მომავალი მსახიობი თეატრალურ ხელოვნებას. ბავშვთა ანსამბლმა „იამ“ და აჭარის ასსრ სახელმწიფო ანსამბლის წევრებმა შეასრულეს სიმღერები.

სამეცნიერო სესია

პედაგოგიკა

შ. რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სააქტო დარბაზში გაიმართა პროფესორ ალექსანდრე ჩავლეიშვილის დაბადების 75 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნი-ერო სესია. იგი მოაწვევს პედაგოგიურმა ინსტიტუტმა, საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილებამ და ი. გოგებაშვილის სახელობის საქართველოს სსრ პედაგოგიური საზოგადოების აჭა-რის განყოფილებამ.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა ინს-ტიტუტის რექტორმა პროფესორმა დ. ბაღაძემ. მოხსენებებითა და მოგონე-ბებით გამოვიდნენ პროფესორი ნ. დუმ-ბაძე, დოცენტები ე. ჭიჭეიშვილი, პ. ჭო-რბენაძე. საქართველოს მწერალთა კავ-შირის განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი პოეტი ფ. ხალვაში, პედაგოგი-კის მეცნიერებათა კანდიდატი ი. ბიბი-ლიაშვილი, აჭარის ასსრ განათლების მინისტრი ვ. წულუკიძე, პროფესორი შ. ნიუჩაძე, ხელოვნებათმცოდნე ლ. შა-რაშიძე, დოცენტი პ. ნაცვლიშვილი, პო-ეტი ც. ანთაძე, მეცნიერი მუშაკი ნ. ნო-ლიაშვილი, ხულოს რაიონის ხისამირის საშუალო სკოლის დირექტორი მ. ვაბა-იძე და სხვა.



მთავარი რედაქტორი
ალექსანდრე სამსონია

სარედაქციო კოლეგია:

აზიზ ახვლედიანი, გიორგი ბაჩიჩილაძე, ზურაბ გორგილაძე, მამია
ვარშანიძე (პასუხისმგებელი მდივანი), შოთა ზორიძე, დავით თედორაძე,
გიორგი სალუჟვაძე, ჯემალ მათიშაძე, ალექსანდრე ჩხაიძე, ფრიდონ
ხალვაში, დავით ხახუბაიშვილი, ჯემალ ჯაყელი.

რედაქციის მისამართი: ბათუმი, ენგელსის ქ. № 21. ტელ. 3-33-71

გადაეცა წარმოებას 9.12.83, ხელმოწერილია დასაბეჭდად 21.12.83, საგამო-
მცემლო თაბახი 5, შეკვეთის № 3350, ემ 00889, ქალაქის ზომა
60X90¹/₁₆, ტირაჟი 5.000.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის
საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის აჭარის ასსრ პოლიგრაფიული საწარმოო
გაერთიანება, ბათუმი, ლუქსემბურგის, 20.

Государственный комитет Грузинской ССР по делам изда-
тельств, полиграфии и книжной торговли. Полиграфическое
производственное объединение Аджарской АССР. Батуми,
ул. Р. Люксембург, 20.

6/18



3360 40 333.

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„ЧОРОХИ“

ОРГАН СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ
ГРУЗИИ И АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ
ИНДЕКС 78118